დამოუკიდებელი და ზეპარტიული
WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2022 წლის 5 - 11 დეკემბერი
N 50 1462
ფასი 3 ლარი და 90 თეთრი



4

„მოიხადოს სასჯელი, თუ კაცი ჰქვია!“

## ვახტანგ ნოზაძე:

## სააკაშვილი ციხიდან 70 წლის უნდა გამოვიდეს!





## ელიშერ გვენეტაძე:

## პოლი-ტიკურ ვირთხას ვადა გასდის!

10



5

## ციცინო შავაძე:

გიული ალასანიას ვეკითხები — შენი შვილი სხვის შვილებს რომ ხოცავდა, მაშინ სად იყავი?



## არის პირველი პრეცედენტი:



9

## კახა კალაძემ კოლექტიური ნოდარმელაძე დაამარცხა!



## ნაცლიბერასტებო, ქართული ენიდან სიტყვა „მშვიდობა“ საერთოდ ხომ არ გააქროთ?

2-3

# ომის პროპაგანდისტებო, გზა მშვიდობისა... პოლიტიკური მოუსავლეთისაკენ!

*დამდეგ 2023 წელს თბილისის სლოგანი იქნება „მშვიდობის ქალაქი".*
*დედაქალაქის მთავარ ნაძვის ხესთან, რომელიც ტრადიციულად თავისუფლების მოედანზე დაიდგმება, წარწერა „მშვიდობის ქალაქი" ქართულ და ინგლისურ ენებზე განთავსდება.*




ანტისამშვიდობო აქცია თბილისში, თავისუფლების მოედანზე. 2022 წლის 30 ნოემბერი.

# ჩვენ - მშვიდობა!

თბილისის საახალწლო სლოგანმა — **„მშვიდობის ქალაქი"** — ნაცლიბერასტული სექტა კრაზანების ბუდესავით აშალა და ააფუთფუთა. ის პოლიტიკოსები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ჟურნალისტები და ე.წ. მედიამენეჯერები, რომლებიც უკრაინაში ომის დაწყების დღიდან პროპაგანდისტულ ძალისხმევას არ იშურებენ, რათა საქართველოში მეორე ფრონტი გაიხსნას და ქართული ქალაქების თავზე რუსული ბომბები ჩამოცვივდეს, თბილისის ცენტრში **სიტყვა „მშვიდობის"** აბდღვრიალებას სამარცხვინოდ მიიჩნევენ და იჭაჭებიან — ხელისუფლებას ამის უფლება არ უნდა მივცეთო!

ნაცლიბერასტული სექტის რამდენიმე კინკილა წარმომადგენელმა ამა წლის 30 ნოემბერს თავისუფლების მოედანზე, სადაც თბილისის მთავარი ნაძვის ხე და სლოგანი — „მშვიდობის ქალაქი" უნდა განთავსდეს, საპროტესტო აქციაც კი მოაწყო. აქციის მონაწილეებმა — ცნობილმა **ხექალა ნატა ფერაძემ** და სხვებმა — განაცხადეს, რომ საქართველოს ხელისუფლება მოძმე უკრაინელ ერს „მშვიდობას ახარბებს", ხოლო საქართველოს მოქალაქეებს ეუბნება — **ჩვენ რომ არ ვიყოთ, აქაც ომი დაიწყებოდაო!**

ეს მართალია —

**დღეს საქართველოს ხელისუფლებაში „ქართული ოცნების" მაგივრად ნაციონალური მოძრაობა და მისი სატელიტები რომ იყვნენ, ომი უკვე კარგა ხნის დაწყებული იქნებოდა და ქართველებს ჩვენი ბუჩა, ჩვენი მარიუპოლი, ჩვენი ხერსონი და ჩვენი ხარკოვი გვექნებოდა.**

აკი, უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენელმა **არესტოვიჩმა** პირდაპირ თქვა — **საქართველოს ხელისუფლებაში დღეს ომის ადამიანები არ არიან, ქვეყნის სათავეში სააკაშვილი და მისი გუნდი რომ ყოფილიყვნენ, რუსეთს მეორე ფრონტს უეჭველად გაუხსნიდნენო!**

თავად ის ფაქტიც, რომ ნაცლიბერასტული სექტის წარმომადგენლები თბილისის ცენტრში სამშვიდობო სლოგანის განთავსების წინააღმდეგ გამოდიან, მხოლოდ ერთ რამეზე მეტყველებს — მათ საქართველოში არსებული მშვიდობა აღიზიანებთ! ამ ომის პროპაგანდისტებს სურთ, ის მოხდეს, რისკენაც საქართველოს ხელისუფლებას უკრაინის თავდაცვისა და უშიშროების საბჭოს მდივანი **დანილოვი** მოუწოდებს — **დაძარით ტანკები სოხუმისა და ცხინვალისაკენ, რათა რუსეთის ჯარი უკრაინელი ქალებისა და ბავშვების ხოცვიდან ქართველი ქალებისა და ბავშვების ხოცვაზე გადაერთოსო!**

მართალია, ნაცლიბერასტული სექტის წარმომადგენლები კატეგორიულად უარყოფენ ბრალდებას, რომ ომის პროპაგანდისტები არიან და საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა სურთ, მაგრამ თავიანთი ქმედებებით ყოველთვის ადასტურებენ, რომ ომის პროპაგანდისტები არიან და საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა სურთ!

დიახ, **როცა აპროტესტებ მშვიდობას შენს ქალაქსა და ქვეყანაში, ეს პირდაპირ ნიშნავს, რომ ომის პროპაგანდისტი ხარ!**

დიახ, **როცა სამარცხვინოდ მიგაჩნია იმის ხაზგასმა, რომ უმძიმეს დროს შენი ქვეყანა მშვიდობის შენარჩუნებას ახერხებს, ეს პირდაპირ ნიშნავს, რომ შენს ქვეყანაში მშვიდობა არ გინდა!**

აბსოლუტურად სწორად შენიშნა თბილისის მერმა **კახა კალაძემ — ამ ადამიანებს მშვიდობის შესახებ უწყინარი სლოგანი კი არა, თავად მშვიდობა აღიზიანებთო!**

თბილისის საახალწლო სლ-




ანტისამშვიდობო აქცია თბილისში, თავისუფლების მოედანზე. 2022 წლის 30 ნოემბერი.

## თქვე მართლა სამარცხვინო და უხერხულო ნაცლიბერასტებო, თუ ასე გრცხვენიათ მშვიდობის და თუ ასე გეუხერხულებათ, რომ საქართველო ომის ცეცხლში არ არის გახვეული, ვინმემ დაგიშალათ, ადგეთ და მოძუძგოთ ამ „სამარცხვინოდ და უხერხულად" მშვიდობიანი ქვეყნიდან?!

## კვირგვინოსნები

**ირაკლი ღარიბაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



საგანგაშო ინფორმაცია მოვისმინე, რომელსაც გადამოწმება სჭირდება, **თითქოს PSP-ს აფთიაქებში ეკითხებიან მომხმარებელს — ძვირი, ხარისხიანი წამალი სურს, თუ უხარისხო თურქული?** ეს არის პირდაპირ მტრობა და რეაგირება სჭირდება!

„პირველი არხი"

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



წელს ჩვენი საახალწლო სლოგანია **„მშვიდობის ქალაქი".**

გასული წელიწადნახევრის განმავლობაში საქართველოში პოლიტიკური პროცესები სხვაგვარად რომ წარმართულიყო და კონკრეტულ ჯგუფს ძალაუფლება დაებრუნებინა, **თბილისი დღეს ნამდვილად იქნებოდა არა მშვიდობის, არამედ ომის ქალაქი,** რაც თბილისმა თავის თავზე არაერთგზის იწვნია და რისი გამეორება არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ.

„რეზონანსი"

**სოზარ სუბარი**
*მოძრაობა „ხალხის ძალის" წევრი*



**კეზერაშვილს** ამბიცია აქვს, ეს ქვეყანა მართოს და იმ ფულის ლეგალიზება მოახდინოს, რომელიც მოიპარა. **ნაციონალურ მოძრაობას რებრენდინგი არ გამოუვა,** მას ზურგზე ძალიან მძიმე წარსული აწევს, რასაც ვერ ჩამოირეცხავს.

„რეზონანსი"

**ირაკლი კობახიძე**
*„ქართული ოცნების" თავმჯდომარე*



სამივე კანდიდატი — **მელია, ხაბეიშვილი და მუმლაძე** — არის ერთმანეთზე უინტელექტო და ერთმანეთზე სამარცხვინო — **საზოგადოება ნახავს, რამდენად გოიმურია თავისი არსით ის პარტია, რასაც ნაციონალური მოძრაობა ჰქვია.**

„ინტერპრესნიუსი"

# ნაცლიბერასტებო, ქართული ენიდან სიტყვა „მშვიდობა“ საერთოდ ხომ არ გავაქროთ?

ოგანის — **„მშვიდობის ქალაქის“** წინააღმდეგ **ხექალა ნატა ფერაძემ და სხვა ნაცლიბერასტებმა** თავისუფლების მოედანზე აქცია რომ გამართეს, იმ აქციის მონაწილე ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ერთ-ერთი ძველი დამფუძნებელი **დავით დვალიც** იყო, რომელმაც განაცხადა: ***„როდესაც გმირი ერი შენს დაუძინებელ მტერს ებრძვის თავგანწირვით, სიცივეს, შიმშილს იტანს ჩვენივე ნათელი მომავლისთვის, „მშვიდობის“ ქონით ნიშნის მოგება არის უკიდურესი სიმდაბლე და გარეწრობა! ეს წარწერა დაუყოვნებლივ უნდა მოვაშოროთ!“***

ტელეკომპანია „კავკასიის“ დამფუძნებლისა და ხელმძღვანელის **ნინო ჯანგირაშვილის** განცხადებით, ***„მარტო ღრჯო და უტაქტო კი არა, ჩლუნგიც უნდა იყო, რომ საახალწლოდ „მშვიდობის ქალაქობით“ მოიწონო თავი მაშინ, როცა ყურის ძირში ომია, საქართველოს მოქალაქეები ამ ომში იღუპებიან, საქართველოს დანარჩენი მოქალაქეები გულგაგლეჯილები ადევნებენ თვალს ყოველდღე ბავშვების მკვლელობას... საშიშია ამათ ხელში ცხოვრება. საშიში და სამარცხვინო“.***


ანტისამშვიდობო აქცია თბილისში, თავისუფლების მოედანზე. 2022 წლის 30 ნოემბერი.

იქნებ პრორუსულ და ანტიუკრაინულ ლოზუნგებად გამოვაცხადოთ და გავაუქმოთ ქართულ ენაში არსებული და ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად გამოყენებული ფრაზები — **„მშვიდობა მოგცეს ღმერთმა“, „მშვიდობით იარე“, „ხომ მშვიდობით ხარ“, „მშვიდობის ფასი არაფერია“, „ღმერთს — დიდება, ჩვენ — მშვიდობა“** და ა.შ.

გარდა ამისა, თუ სააკაშვილის რეჟიმის დროს ქართულ რესტორნებში რუსული სიმღერების აჟღერება აკრძალული იყო და 500-ლარიან ჯარიმას ექვემდებარებოდა, **ახლა ქართულ რესტორნებში და, ზოგადად, ქართულ სუფრაზე მშვიდობის სადღეგრძელო ავკრძალოთ!** კერძოდ, **ვინც ქართულ სუფრაზე მშვიდობის სადღეგრძელოს იტყვის და საქართველოში მშვიდობას ისურვებს, არამხოლოდ სოლიდური ფულადი ჯარიმით დაისაჯოს, არამედ ავტომატურად გამოცხადდეს უკრაინის მტრად და პუტინის აგენტად!**

# თქვენ – მშვიდობით!

**სცენარისტი ქეთი დევდარიანი** ამბობს, რომ ***„ჩვენს ქვეყანას მართავს უზნეო ხამების კარტელი, რომელიც ახალ წელს უკრაინელებს შუქს, გოზინაყს და მშვიდობას შეახარბებს“,*** ხოლო საქართველოში ლგბტ სექტისა და „თბილისი პრაიდის“ ერთ-ერთი უსტაბაშის **გიორგი თაბაგარის** თქმით, ***„ძალიან უხერხულია „მშვიდობის ქალაქი“, თან ძალიან!“***

## გესმით? მშვიდობა ყოფილა სამარცხვინო! უხერხული ყოფილა, რომ თბილისი მშვიდობის ქალაქია და საქართველო მშვიდობის ქვეყანაა!

კი მაგრამ, **თქვე მართლა სამარცხვინო და უხერხულო ნაცლიბერასტებო,** თუ ასე გრცხვენიათ მშვიდობის და თუ ასე გეუხერხულებათ, რომ საქართველო ომის ცეცხლში არ არის გახვეული, ვინმემ დაგიშალათ, ადგეთ და მოძუძგოთ ამ „სამარცხვინოდ და უხერხულად“ მშვიდობიანი ქვეყნიდან?! **თბილისი გესირცხვილებათ, საქართველო გესირცხვილებათ, მშვიდობა გესირცხვილებათ და რაღა გინდათ აქ? რა საერთო გაქვთ ამ ქვეყანასთან და ამ ქალაქთან?** მაზოხისტები ხომ არა ხართ, რომ სირცხვილითა და უხერხულობით იტანჯავთ თავს? ჩაალაგეთ ბარგი და ჰაიდა იქითკენ, სადაც „სამარცხვინო“ მშვიდობის მაგივრად „საამაყო“ ომი ჰგიებს!

**რადგან უკრაინაში ომია, ქართველებს, თურმე, უფლება არა გვაქვს, ჩვენს ქვეყანაში მშვიდობა გვინდოდეს და გვიხაროდეს!**

**თურმე „მშვიდობის ქალაქი“ უკრაინელებისათვის ნიშნისმოგები სლოგანი ყოფილა!**

ნაცლიბერასტებო, რა ვქნათ, ქართული ენიდან სიტყვა „მშვიდობა“ საერთოდ ხომ არ გავაქროთ?




## იქნებ პრორუსულ და ანტიუკრაინულ ლოზუნგებად გამოვაცხადოთ და გავაუქმოთ ქართულ ენაში არსებული და ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად გამოყენებული ფრაზები — „მშვიდობა მოგცეს ღმერთმა“, „მშვიდობით იარე“, „ხომ მშვიდობით ხარ“, „მშვიდობის ფასი არაფერია“, „ღმერთს — დიდება, ჩვენ — მშვიდობა“ და ა.შ.

ჩვენ, აწმყო დროის ქართველებს, ნაცლიბერასტი სექტანტებისაგან აღარაფერი გვიკვირს, მაგრამ წარმოგვიდგენია, ათწლეულებისა და ასწლეულების შემდეგ გაოგნებისაგან როგორ დააღებენ პირს იმ დროის ქართველები, როცა საისტორიო ქრონიკებიდან შეიტყობენ, რომ 21-ე საუკუნის 20-იან წლებში საქართველოში არსებობდნენ ადამიანები, რომლებიც თავიანთ ქვეყანაში მშვიდობის არსებობას აპროტესტებდნენ და მშვიდობის რცხვენოდათ!

**მომავლის ქართველებს, ალბათ, ძალიან შერცხვებათ, რომ საქართველოში ოდესღაც ასეთი ქართველები ცხოვრობდნენ!**

ჩვენ კი დღესვე შეგვიძლია, **პოლიტიკური მოუსავლეთისაკენ მშვიდობიანი გზა ვუსურვოთ ომის პროპაგანდისტებს, რომლებსაც საქართველოში მშვიდობის რცხვენიათ და მშვიდობა ეუხერხულებათ!**

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**მამუკა მდინარაძე**
*პარლამენტარი*



წლების განმავლობაში არსებობდა მითები, თითქოს ნაცები **პროფესიონალები და „სვეცკები“** იყვნენ... რამდენად **გოიმები და არაპროფესიონალები** არიან, რომ პარტიის თავმჯდომარეობის კანდიდატებად ჰყავთ **ხაბეიშვილი, მელია და მუმლაძე.**

„POSTV“

**მერაბ ფაჩულიაშვილი**
*მწერალი*



**სააკაშვილი** იმიტომ იყო გამოგზავნილი საქართველოში, რომ **არეულობა გამოეწვია და ომში ჩავეთრიეთ ჩვენც.** დღეს ქვეყანა რომ არ არის ომში ჩათრეული, ყველა ოჯახი რომ კმაყოფილია ამით, ეს არაა დასაფასებელი?

„ალია“

**არჩილ თალაკვაძე**
*პარლამენტარი*



თვალს ვადევნებთ პოლიტიკურ გარბენს მოკლე დისტანციაზე — **ვინ იქნება მეტად აგრესიული, კომიკური** და ვინ მეტად დაუმტკიცებს **სააკაშვილს,** რომ ვითომ მის ჯანმრთელობაზე ზრუნავს.

„ინტერპრესნიუსი“

**სოსო მანჯავიძე**
*პოლიტოლოგი*



დღეს **სალომე ზურაბიშვილის** წინაშე ახალი ამოცანა დასახეს მისმა კურატორებმა — **მან უნდა შეიწყალოს მიხეილ სააკაშვილი და ნიკა გვარამია.**

„ალია“

**გიგა ბუკია**
*კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი*



ძალიან გულსატკენია, რომ ჩვენ თავის დროზე **ავირჩიეთ პრეზიდენტი, რომელმაც საკუთარი ქვეყნის საპყრობილეში ვერ გაძლო!**

„ახალი თაობა“

# „მოიხადოს სასჯელი, თუ კაცი ჰქვია!“

## ვახტანგ ნოზაძე:

# სააკაშვილს კიდევ უნდა მიუსაჯონ, ციხიდან 70 წლის უნდა გამოვიდეს!



„ამოსაძირკვია ყველა, ვინც სააკაშვილის სისტემაში ერთხელ მაინც იყო ჩაფლული!“




„მამის შეცდომებზე შვილმა პასუხი არ უნდა აგოს, მაგრამ მამის რეჟიმის მიერ გაუბედურებულ ხალხს რომ თანაგრძნობა გამოუცხადოს, ამას წინ არაფერი უდგას!“

*„55 წლის კაცი რომ დედის კალთას ამოეფარება, იმის საქმე წასულია“,* ***— ამბობს მსახიობი ვახტანგ ნოზაძე და ეხმაურება სააკაშვილის ექიმებისა და ადვოკატების განცხადებებს მათივე კლიენტის გათავისუფლებასთან დაკავშირებით:***

— უკვე შეწუხებული ვართ სააკაშვილის ავადმყოფობაზე ლაპარაკითა და მათ მიერ დადგმული უნიჭო სპექტაკლებით. ხალხო, იმაზე დიდი სირცხვილი რა უნდა იყოს, ამ კაცმა, საქართველოს პრეზიდენტი რომ იყო და მისი მთავარსარდალი ერქვა,

**ომის დროს ჯერ მიწაზე იხოხა და ახლა 55 წლის კაცი დედის კალთას ამოეფარა, ციხიდან როდის გაიყვანს. ან წიგნი არ წაუკითხავს, ან ფილმი არ უნახავს, თუნდაც დესპოტი მმართველები როგორ ადიან ეშაფოტზე, ან როგორ სხედან საპყრობილეში?**

ეს კაცი ოროსანი ბავშვივით წევს საავადმყოფოში, ავადმყოფობას იგონებს და დედა მიშველეო, გაიძახის. რაღაც ღირსება ხომ უნდა გაგაჩნდეს! მოკლედ, რაც კი გოიმობა იყო, სააკაშვილმა ყველაფერი იკადრა.

**— სააკაშვილის ავადმყოფობის მდგომარეობაზე უცხოელების დასკვნა გამოქვეყნდა, კომპეტენტურმა ქართველმა ექსპერტმა ამ დასკვნას ბოლი უწოდა — ესე იგი, დასკვნა დაწერილია ყველაფერზე და არაფერზე. გჯერათ, რომ სააკაშვილი წნეხის ქვეშაა?**

— უბრალოდ, ციხეში არ უნდა ყოფნა და ჭინჭყლი ბავშვივით ფეხებს აბაკუნებს. მართლა რაღაც რომ სჭირდეს, ქვეყანას აიკლებდნენ. არაფერი დაემართება, შეიძლება წონაში დაიკლოს და მოუხდება. მოიხადოს სასჯელი, თუ კაცი ჰქვია!

**— თუკი მას სალომე ზურაბიშვილი შეიწყალებს? ამბობენ, რომ საახალწლოდ სააკაშვილი გარეთ იქნება...**

**– თუკი ზურაბიშვილი მას შეიწყალებს, ეს იქნება კიდევ ერთი სირცხვილი და ყველაზე დიდი შეცდომა, რაც კი შეიძლება მოხდეს საქართველოს უახლეს ისტორიაში.**

ან შვილმოკლულ დედებს როგორ უნდა შეხედოს ამის შემდეგ? წამოწოლილი ფაფას რომ ჭამს, იმის გამო უნდა გამოუშვან? მურტალოსი არ იყოს, ციხე მაგისთვის ბაირამობაა, ამიტომაც კიდევ უნდა მიუსაჯონ, ციხიდან 70 წლის უნდა გამოვიდეს! ისე კი, თუნდაც ამის მერე რა ნამუსით გაივლის დიდუბის პანთეონთან, სადაც ბუტა რობაქიძე მოკლეს, ან — კორტებთან, სადაც ბიჭები ჩაცხრილეს, ან — ორთაჭალაში, ან — ოქროყანაში... საქართველოს რომელ კუთხეში შეძლებს ჩასვლას, მაგას და მაგის ხელქვეითებს ყველგან სისხლი აქვთ დაღვრილი...



**ამოსაძირკვია ყველა, ვინც სააკაშვილის სისტემაში ერთხელ მაინც იყო ჩაფლული!**

**— გიული ალასანიამ განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლებასთან პრეტენზია არა აქვს და მისი შვილი შეიძლება მოწამლული იყოს მესამე ქვეყნის მიერ...**

— ვის რაში სჭირდება მაგის მოწამვლა, თუ ასეთი რამ მოხდა, მწამლავი ისევ თავისიანებში მოიკითხონ. რომელი ალექსანდრე მაკედონელი ეგ არის, საიდუმლო სტრატეგია აქვს შემუშავებული თუ აინშტაინია და ახალი ატომური ბომბის ნახაზები აქვს? მე უფრო სხვა რამ მგონია — პატიმრები თავს რომ მოიგიჟიანებენ და სტაციონარში ათავსებენ, ზუსტად მაგ მდგომარეობაშია.

**— ედუარდ სააკაშვილმა სინანული გამოთქვა საქართველოში მამის დაბრუნების გამო, თუმცა, არაფერი უთქვამს მისი რეჟიმის დროს განადგურებულ ადამიანებზე...**

— ეგენი სხვა რეალობაში ცხოვრობენ. პალიკო ნოზაძის გმირი ერთ პიესაში ამბობს, შეცდომის დაშვებაზე დიდი ცოდვა შეცდომის მონად დარჩენააო. ეგენი შეცდომის მონად არიან დარჩენილები, ბოდიში ერთხელაც არ მოუხდიათ — არც მამას, არც შვილს. **მამის შეცდომებზე შვილმა პასუხი არ უნდა აგოს, მაგრამ მამის რეჟიმის მიერ გაუბედურებულ ხალხს რომ თანაგრძნობა გამოუცხადოს, ამას წინ არაფერი უდგას.** ახლა ყოფილი მხედართმთავარი იმით კი არ იტანჯება, საქართველოს რა ტანჯვაც მოუტანა, ოთახში რომ ჩაკეტეს, ის ტანჯავს და დედის კალთას ეფარება.

**— ნაციონალური მოძრაობის მიერ გამართულ აქციაზე გაცილებით მეტ მომხრეებს ელოდნენ, თუმცა, აქცია მალე დასრულდა, პარტიაშიც არეულობაა...**

— ხალხი ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატს უყურებს, რა დროს ნაცმოძრაობაა? ან ხაბეიშვილის აქციაზე ვინ მივიდოდა? ამ ხალხს უნდა ვუმკურნალოთ, ნახეთ, რამდენი გზააბნეულია მათთან მიკედლებული! ისე კი, ესენი მართლა სააკაშვილზე როდი წუხან, იმას დარდობენ, სიტუაციის არევა რომ არ გამოუვიდათ და ქვეყანა ომის ქარცეცხლში ვერ გახვიეს. ხომ ხედავთ, **ნატა ფერაძეს** არც ის მოეწონა, თბილისის მერმა თბილისს მშვიდობის ქალაქი რომ უწოდა. მოკლედ, მძიმე კლინიკური ფონია!

***— რას ეტყოდით მიხეილ სააკაშვილს?***

— რა დედა აგიტყდა, ბიჭო, 55 წლის ხარ და კიდევ დედის კალთას ხარ ამოფარებული? თუ კაცი ხარ, ბოლომდე მოიხადე სასჯელი, იმდენი დანაშაული გაქვს ჩადენილი, წლები უნდა დაიმატო და საქართველოს ბოდიში მოუხადო!

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***

## კვირგვინოსნები

**ნიკა მელია**
*ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე*



**არაფორმალური მმართველობა** როგორც ქვეყანაში უნდა იყოს აღმოფხვრილი, ასევე დაუშვებელია, ოპოზიციურ პარტიაში ვინმეს ჰქონდეს სურვილი, თავს მოახვიოს საკუთარი **არაფორმალური მმართველობა.**

„პირველი არხი“

**ლევან ხაბეიშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარეობის კანდიდატი*



ტყუილია სპეკულაციები, რომ **ჩემი კანდიდატურა რაიმე სახით იქნება ჩახსნილი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარეობიდან,** ჩვენ არასერიოზული ადამიანები არ ვართ.

„პირველი არხი“

**ანზორ მელია**
*ექიმი, ნიკა მელიას მამა*



„გაპაზორდა“ **ხაბეიშვილი** და იმიტომაც **ჭიაბერაშვილს** უყენებენ ახლა, ეს სჭირდება **ივანიშვილს,** რა ჭკვიანი კაცი ყოფილა, ყოჩაღ, **ივანიშვილი.**

„აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი“

**სევდია უგრეხელიძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



**„წმინდა სისხლის“ ნაცი მე ვარ,** მაგრამ კანდიდატობას არ ვაპირებ!

„GTMEDIA“

**გია ვოლსკი**
*პარლამენტის ვიცე-სპიკერი*



**ხაბეიშვილი,** როცა ეტყვი, დაწვება, **მელია** ეგეთი ადვილი დასამორჩილებელი არაა.

„TV იმედი“

# ციცინო შავაძე: გიული ალასანიას ვეკითხები – შენი შვილი სხვის შვილებს რომ ხოცავდა, მაშინ სად იყავი?

*მსჯავრდებული ნაცბელადის ჯანმრთელობის გარშემო ატეხილი პოლიტიკური კაკოფონია იქამდე მივიდა, რომ მისმა ადვოკატებმა სასამართლოს შუამდგომლობით მიმართეს, სააკაშვილი სასჯელის მოხდისაგან სრულად გათავისუფლდეს ან პატიმრობა გადაუვადდესო. სწორედ ამ ამბავს ეხმაურება 2008 წელს სააკაშვილის რეჟიმის მიერ წამებით მოკლული ქართველი სერჟანტის როინ შავაძის ქვრივი* ციცინო შავაძე, *რომელიც ჩვენთან ინტერვიუში აცხადებს:*




— დარწმუნებული ვარ, **ნაძირალა სააკაშვილი თავს იკატუნებს და ისეთი არაფერი სჭირს, რომ საზღვარგარეთ გაუშვან სამკურნალოდ!** როგორც ვიცი, საქართველოში არ არსებობს კანონი, რომელიც პატიმრის უცხოეთში მკურნალობას ითვალისწინებს და სააკაშვილი კანონზე მაღლა რატომ უნდა დააყენონ? **მაგ მკვლელს ისედაც არ მიუღია ის სასჯელი, რომელსაც იმსახურებს და ჯობს, ხმა ჩაიკმინდოს, ნუ ტირის და 6 წლით მაინც ჩაჯდეს ციხეში!**

**— მიგაჩნიათ, რომ 6-წლიანი პატიმრობა სააკაშვილისთვის ცოტაა?**

— დიახ, სააკაშვილისთვის მისჯილი სასჯელით ძალიან უკმაყოფილო ვარ! მას იმდენი ხალხი ჰყავს მოკლული და ისეთი ვაჟკაცები ჩაუხოცა საქართველოს, რომ სამუდამო პატიმრობა ეკუთვნის!

## „სააკაშვილს ბიუჯეტიდან ფულის გაფლანგვაზე ასამართლებენ, საჭიშე ბიჭების დახოცვისთვის კი ერთი ბრალიც არა აქვს წაყენებული!“

## სააკაშვილი პრეზიდენტობის დროსაც ლაჩარი იყო და პატიმრობაშიც ლაჩრულად იქცევა, ქალივით მოთქვამს და ცდილობს, ხალხს თავი შეაცოდოს, მაგრამ არ შევიცოდებთ!

ჩვენი ტირილი, გოდება და ცრემლები მიიტანეს გულთან სააკაშვილმა და მისმა ხროვამ? ჩვენ შეგვიცოდეს და შეგვიბრალეს? **ეს მკვლელები და ჯალათები ქართველი ხალხისაგან თანაგრძნობას ნუ ელოდებიან!**

**— რას ეტყოდით სააკაშვილის დედას, რომელიც აცხადებს, რომ მის შვილს პრეზიდენტობის დროს არათუ დანაშაული არ ჩაუდენია, არამედ შეცდომაც კი არ დაუშვია?**

— ასეთ უტიფრობასა და უნამუსობაზე რა უნდა ვთქვა?! გიული ალასანიას ვეკითხები — შენი შვილი სხვის შვილებს რომ ხოცავდა, მაშინ სად იყავი? **ერთხელ მაინც გიცდია, რომელიმე შვილმოკლული დედის გულში ჩაგეხედა? ერთხელ მაინც შესულხარ იმ ქალების მდგომარეობაში, რომლებსაც შენმა ლაჩარმა შვილმა ვაჟკაცი მეუღლეები ჩაუწვინა მიწაში?** კიდევ ვამბობ: **აღშფოთებული ვარ და გული მტკივა, რომ სააკაშვილს ბიუჯეტიდან ფულის გაფლანგვაზე ასამართლებენ, საჭიშე ბიჭების დახოცვისთვის კი ერთი ბრალიც არა აქვს წაყენებული!**

**— ფიქრობთ, რომ ქვეყანაში სამართლიანობა ბოლომდე დღესაც არ არის აღდგენილი?**

## – მართლაც სამართლიანია, რომ ნაძირალა სააკაშვილი, მერაბიშვილი, ახალაიები და მათნაირნი დღეს ქვეყნის სათავეში აღარ არიან, მაგრამ სხვა მხრივ ვერ ვიტყვი, რომ ქვეყანაში სამართალმა იზეიმა!



**ან სამართლიანობა აღდგენილად როგორ უნდა ჩავთვალო, როცა ჩემი მეუღლის — როინ შავაძის ყველა მკვლელი დღემდე დაუსჯელი და თავისუფალია?!** ორი წლის წინათ სტრასბურგში საქმე მოვიგეთ და ევროპულმა სასამართლომ საქართველოს სახელმწიფოს როინ შავაძის საქმის ხელახლა გამოძიება დაავალა, თუმცა, დღემდე არაფერი გაკეთებულა და საქმე ისევ თაროზე აქვთ შემოდებული.

მიუხედავად ამისა, იმედს მაინც არ ვკარგავ, რომ ურმით მოსიარულე სამართალი ოდესმე ჩემამდეც მოაღწევს! **მწამს, დადგება დღე, როცა სააკაშვილი, მერაბიშვილი და სხვა ჯალათები პასუხს აგებენ ყველა დანაშაულისათვის, რაც საქართველოსა და ქართველი ხალხის წინაშე ჩაიდინეს!**

**— თუმცა, ნაციონალები კვლავ ხელისუფლებაში მოსვლას ცდილობენ და ამისათვის ყველაფერზე მიდიან! როგორ ფიქრობთ, გამოუვათ პოლიტიკური რევანში?**



— არა მგონია, ქართველი ხალხი ისე დაბრმავდეს, რომ ეს მკვლელები და ჯალათები ქვეყნის სათავეში დააბრუნოს! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნაციონალებმა ციხეებში ქართველი კაცები გააუპატიურეს და თუ ჩვენი ხალხი მათ ამას შეარჩენს, მაშინ საქართველო აღარ იარსებებს! მინდა, ვირწმუნო, რომ ეს არასოდეს მოხდება! **საქართველო მარად იარსებებს, ოღონდ — ბინძური ნაციონალების გარეშე!**

*ესაუბრა* **ჯაბა ხუბუა**

## კვირგვინოსნები

**უჩა ნანუაშვილი**
*ყოფილი სახალხო დამცველი*



გირგვლიანის საქმეზე **სააკაშვილს** პატიმრობა მიუსაჯეს, მაგრამ გირგვლიანის საქმის მოსამართლეები: **მურუსიძე და გიგიტაშვილი** დააწინაურეს, რადგან მათ შეასრულეს ხელისუფლების დაკვეთა.

„პალიტრანიუსი“

**ჯამბულ გამცემლიძე**
*2008 წელს მოკლული გიორგი გამცემლიძის მამა*



ნაციონალური მოძრაობა ვერასდროს ველარ მოვა ხელისუფლებაში, მათ **სისხლის სუნი სცემთ უკვე და რეპრესიების მანქანის ჩართვა უნდათ,** არ გამოუვათ არაფერი, ტყუილად საუბრობენ ხელისუფლებაში დაბრუნებაზე.

„ალია“

**დავით ხიდაშელი**
*ბიზნესმენი*



საქართველოს კანონმდებლობა ისეა შექმნილი, რომ **მთავრობა ნამდვილად უსუსური და დაუცველია,** მე მთავრობის არ მწყინს, კანონმდებლობაა შესაცვლელი — **მე როგორ დამიცავს, თავისი თავი ვერ დაუცავს?**

„ინტერპრესნიუსი“

**მამუკა ხაზარაძე**
*„ლელოს“ ლიდერი*



თუ ჩვენ დავინახავთ, რომ ნაციონალურ მოძრაობას უბრუნდება ისეთი რეაქციული ძალები, როგორიცაა, მაგალითად, **ვანო მერაბიშვილი** და ა.შ. მე პირადად და ჩვენი პარტია **ვერანაირ პერსპექტივას ვერ ვხედავთ მათთან არც თანამშრომლობის ან რაიმე ურთიერთობის გაგრძელების.**

„ალია“

ცენტრმა „ემპათიამ“, რომელსაც მგზნებარე ნაცი და არაერთ სიყალბეში მხილებული მარიამ ჯიშკარიანი ხელმძღვანელობს, პატიმარ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით სქელტანიანი დასკვნა დაწერა, ადვოკატმა შალვა ხაჭაპურიძემ კი ამ დასკვნის საფუძველზე სასამართლოში შუამდგომლობა შეიტანა — სააკაშვილი სასჯელის მოხდისაგან გაათავისუფლეთ ან პატიმრობა გადაუვადეთ და სამკურნალოდ უცხოეთში გაუშვითო! რეალურად, რამდენად სანდოა ნაცმიდრეკილი „ემპათიის“ დასკვნა და არსებობს თუ არა საფუძველი სააკაშვილის საზღვარგარეთ გასაშვებად? ამ საკითხზე ცნობილ სასამართლო სამედიცინო ექსპერტს მაია ნიკოლეიშვილს ვესაუბრებით:





ცენტრ „ემპათიის“ პრეზიდენტი მარიამ ჯიშკარიანი და მის მიერ მოწვეული ექსპერტების ერთი ნაწილი სააკაშვილის სამედიცინო დასკვნის გასაჯაროებისას

## მაია ნიკოლეიშვილი:

# გაოგნებული ვარ იმ თავხედობითა და არაკომპეტენტურობით, რასაც სააკაშვილის შესახებ „ემპათიის“ სამედიცინო დასკვნაში ვკითხულობ!



— როგორც აღმოჩნდა, სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებულ დასკვნას, რომელიც ცენტრ „ემპათიის“ მიერ დაქირავებულმა სასამართლო საექსპერტო კომისიამ დადო, არ ერთვის ამერიკელი სპეციალისტის მიერ შესრულებული ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. სააკაშვილის ადვოკატმა **შალვა ხაჭაპურიძემაც** დაადასტურა, რომ „ემპათიის“ მიერ მომზადებული დასკვნა, რომლის საფუძველზეც სააკაშვილისათვის სასჯელის გადავადებას ან მთლიანად გაუქმებას ითხოვენ, სასამართლოში ტოქსიკოლოგის დასკვნის გარეშე წარადგინა. აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა — **თუ „ემპათიამ“ სააკაშვილის კომისიური სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა ტოქსიკოლოგის დასკვნის გარეშე მოამზადა, რაზე დაყრდნობით წერია მასში ასეთი რამ:**

> *„აუცილებელია დროული დიაგნოსტიკა ტოქსიკური აგენტების, მათ შორის, ქიმიური შენაერთებისა და რადიაქტიური ნივთიერებების მიმართულებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, ინტოქსიკაციის ალბათობის გათვალისწინებით, მოსალოდნელია კომა და სიკვდილი“.*

**რასთან გვაქვს საქმე — უკიდურეს არაპროფესიონალიზმთან თუ გამიზნულ მანიპულაციასთან და საზოგადოების გაბრიყვების მცდელობასთან?** ვფიქრობ, ამ საკითხით პროკურატურა უნდა დაინტერესდეს, რადგან სამედიცინო დასკვნის გაყალბება სისხლის სამართლის დანაშაულია და თუ ეს დადასტურდება, ყველა ექსპერტი კანონის წინაშე აგებს პასუხს!

**— თქვენი აზრით, არსებობს თუ არა თუნდაც მცირედი ობიექტური საფუძველი, სასამართლომ სააკაშვილის ადვოკატების მოთხოვნა დააკმაყოფილოს და იგი სასჯელის მოხდისაგან გაათავისუფლოს ან თუნდაც სასჯელი გადაუვადოს?**

— საქართველოს კანონმდებლობით, მსჯავრდებული სასჯელის მოხდისაგან თავისუფლდება იმ შემთხვევაში, თუ მძიმე და განუკურნებელი სენით არის დაავადებული. ასეთი დაავადებების ნუსხა საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის სპეციალური ბრძანებით არის განსაზღვრული და თუ მსჯავრდებულს რომელიმე მათგანი აღენიშნება, შესაძლოა, სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლდეს ან სასჯელი გარკვეული დროით გადაუვადდეს. ასეთ შემთხვევაში იკრიბება სასჯელაღსრულების დეპარტამენტისა და ჯანდაცვის სამინისტროს ერთობლივი კომისია, რომელში შემავალი ექიმები ადგენენ, რამდენი ხნის სიცოცხლე აქვს დარჩენილი მძიმედ დაავადებულ მსჯავრდებულს და გასცემენ რეკომენდაციას მისი გათავისუფლების შესახებ.

**— ეს წესი მხოლოდ მსჯავრდებულებს ეხება თუ ბრალდებულებზეც ვრცელდება?**

— კანონმდებლობით მკაფიოდ არის განსაზღვრული, რომ სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლება ან სასჯელის გადავადება მხოლოდ მსჯავრდებულებს, ანუ ისეთ პატიმრებს შეიძლება, შეეხოს, რომლებსაც სასამართლოს მიერ უკვე აქვთ მისჯილი კონკრეტული სასჯელი, ხოლო ბრალდებულებს, რომელთათვისაც სასამართლოს განაჩენი ჯერ არ გამოუტანია და სასჯელი არ შეუფარდებია, ეს ნორმა ვერ შეეხება.

**„იქიდან გამომდინარე, რომ მიხეილ სააკაშვილი არამხოლოდ მსჯავრდებულია, არამედ რამდენიმე სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულიც გახლავთ, მასზე ვერც სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებისა და ვერც სასჯელის გადავადების წესი ვერ გავრცელდება!“**

## კვირგვინოსნები



**თაკო ჩარკვიანი**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*

**მელია** რამე თანამდებობაზე რომ შემოგვპაროდა, ხომ **ვერავინ აადლეზდა** იქიდან.

„ახალი თაობა“



**ბონდო მძინარაშვილი**
*ჟურნალისტი*

ევროპარლამენტმა რუსეთი რომ **ტერორიზმის სპონსორ სახელმწიფოდ** გამოაცხადა, ეგ **ხოშტარიების** ოჯახსაც შეეხება? მაგათაც ხომ ასპონსორებს რუსეთი?!

„ალია“



**დავით მათიკაშვილი**
*პარლამენტარი*

ვერ შეცვალეს ლეგიტიმურად არჩეული ხელისუფლება ტექნიკური მთავრობით, **ვერ დაანთეს ომის ცეცხლი საქართველოში** და ახლა პარლამენტის სასესიო დარბაზში უნდათ რადიკალების თავმოყრა.

„იმედინიუსი“



**ვახტანგ მეგრელიშვილი**
*„გირჩის“ წევრი, პარლამენტარი*

**ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარეობა მეც მინდა,** მართლა წარვდგებოდი გეგმით, რომლითაც ეს პარტია ბევრად ეფექტური იქნებოდა.

„პირველი არხი“



**რომან გოცირიძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*

„გირჩის“ დეპუტატმა **ვახტანგ მეგრელიშვილმაც** განაცხადა, რომ სურს, საკუთარი კანდიდატურა წამოაყენოს ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის პოსტის დასაკავებლად. იმდენს იზამს ეს ხალხი, რომ **ისე გავბრაზდები, ავდგები და ჩემს კანდიდატურას წამოვაყენებ** „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეობაზე.

„პირველი არხი“

იქიდან გამომდინარე, რომ მიხეილ სააკაშვილი არამხოლოდ მსჯავრდებულია, არამედ რამდენიმე სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულიც გახლავთ, მასზე ვერც სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებისა და ვერც სასჯელის გადავადების წესი ვერ გავრცელდება.

**როგორ წარმოუდგენიათ მის ადვოკატებსა და მხარდამჭერებს – სასამართლომ სააკაშვილი შუაზე უნდა გაჭრას და მისი ერთი ნახევარი, როგორც მსჯავრდებული, სასჯელის მოხდისაგან გაათავისუფლოს, ხოლო მეორე ნახევარი, როგორც ბრალდებული, ციხეში დატოვოს?**

ცხადია, სასამართლო კანონს ვერ დაარღვევს და ამას ვერ გააკეთებს.

**— თუმცა, ევროპარლამენტარების ერთი ჯგუფი საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებს, სააკაშვილს სასჯელი ჰუმანიტარული მიზნებით გადაუვადოს და სამკურნალოდ უცხოეთში გაუშვას!**

**– საქართველოს ხელისუფლებისადმი უცხოელების მოწოდება თუ მოთხოვნა – ჰუმანიტარული მიზნებით იხელმძღვანელეთ და სააკაშვილი სამკურნალოდ გაუშვითო, სხვა არაფერია, თუ არა კანონის დარღვევისა და სასამართლოს ფეხქვეშ გათელვის მოწოდება!**

ჯერ ერთი, ჰუმანიტარული მიზნებით გათავისუფლება მხოლოდ სამხედრო ტყვეებს ეხება და სააკაშვილი რომელი სამხედრო ტყვეა? **მისი მხარდამჭერები რომ გაიძახიან — მიშა პუტინის ტყვეაო, თუ მართლა სჯერათ ამის, მაშინ ადგნენ და პუტინს მიმართონ, ჰუმანიტარული მიზნით გაათავისუფლოს!**

**— და მაინც, ის სიმპტომები, რომლებიც „ემპათიის" მიერ წარმოდგენილი დასკვნის მიხედვით სააკაშვილს აღენიშნება, არის თუ არა საკმარისი იმისათვის, რომ სახელმწიფომ მისი უცხოეთში სამკურნალოდ გაშვების გადაწყვეტილება მიიღოს?**

— „ემპათიის" დასკვნაში წერია — შეიძლება, სააკაშვილს მხრისა და ბარძაყის სახსრების ენდოპროთეზირება დასჭირდესო! **საქართველოში ყოველდღიურად არაერთი ასეთი ოპერაცია კეთდება და ამისათვის საზღვარგარეთ წასვლა სულაც არ არის საჭირო.** იმავე დასკვნის მიხედვით, სააკაშვილს კუნთების ატროფია აღენიშნება, მაგრამ ვერც ეს გახდება მისი უცხოეთში გაშვების საფუძველი, რადგან სპეციალურ მასაჟებსა და ფიზიოთერაპიას, რაც ასეთ დროს არის საჭირო, საქართველოშიც **მაღალ დონეზე** ჩაუტარებენ.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინათ, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კუნთების ატროფია აღენიშნებოდა პატიმრობაში მყოფ **ლეკანოზ მამალაძესაც,** მაგრამ მისი უცხოეთში სამკურნალოდ გაშვება არავის მოუთხოვია. საზღვარგარეთ სამკურნალოდ არ გაუშვიათ არც უკრაინის ყოფილი პრემიერი **იულია ტიმოშენკო,** რომელსაც პატიმრობაში კუნთების ატროფია დაემართა და ციხიდან ეტლით გამოიყვანეს.

**— სააკაშვილის დაპატიმრებიდან წელიწადზე მეტია გასული და მთელი ამ ხნის განმავლობაში ყოველდღე გვესმის, რომ იგი კვდება, კვდება, კვდება... ეს რამდენად სერიოზულია?**

— „ემპათიის" მიერ წარმოდგენილ სააკაშვილის სამედიცინო დასკვნაში წერია:

*„№12 პენიტენციური დაწესებულებიდან №18-ში გადაყვანისას, ძალით შეყვანისას №18 დაწესებულებაში ადგილი ჰქონდა პატიმრების მხრიდან ხმაურს — ყვირილს, ძალის გამოყენებით პატიმრის გადმოთრევას რეანომობილიდან.* ***№18 დაწესებულებაში მას არ ჰქონდა 11 დღის განმავლობაში ძილის შესაძლებლობა, შუქის ჩაქრობისა და ტელევიზორის გამორთვის შემთხვევაში იწყებოდა საშინელი ლანძღვა-გინება პატიმრების მხრიდან... მოწყვლად მდგომარეობაში, სახელდახელოდ მოწყობილ ინტენსიურ პალატაში იგი იმყოფებოდა მარტო, დაძახილზე არ რეაგირებდნენ, კვლავ ისმოდა მისი მისამართით პატიმრების ყვირილი და სიცოცხლის მოსპობის მუქარა, ამ მდგომარეობაში გამოსაკვლევი პირი იმყოფებოდა სიცოცხლის მოსპობის რისკის ქვეშ".***

პირდაპირ გეტყვით, რომ ეს არის სრული ბოდვა და სიგიჟე, არაპროფესიონალიზმის პიკი! ჯერ ერთი, **რა სამედიცინო ექსპერტის სამსჯელოა, ერთი პატიმარი სხვა პატიმრების მხრიდან სიცოცხლის მოსპობის რისკის ქვეშ იმყოფებოდა თუ არა?** და მეორეც — **დაცულ დაწესებულებაში, სადაც უამრავი ბადრაგია და პატიმრები ერთმანეთისაგან იზოლირებული არიან, როგორ შეიძლებოდა, სააკაშვილი სხვა მსჯავრდებულთა მხრიდან სიცოცხლის მოსპობის საფრთხის წინაშე დამდგარიყო?**

და კიდევ:

**სააკაშვილს, რომელმაც საქართველოს ციხეები ნამდვილ საკონცენტრაციო ბანაკებად გადააქცია, რატომ გაუკვირდა, რომ პატიმრებმა აგინეს?!**

ერთი სიტყვით, **გაოგნებული ვარ იმ თავხედობითა და არაკომპეტენტურობით, რასაც სააკაშვილის შესახებ „ემპათიის" სამედიცინო დასკვნაში ვკითხულობ! ყოვლად დაუშვებელია, სასამართლო მედიცინა ტყუილებისა და მანიპულაციის იარაღად გამოიყენო! სხვა თუ არაფერი, ეს სისხლის სამართლის დანაშაულია!**

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***

**„ყოვლად დაუშვებელია, სასამართლო მედიცინა ტყუილებისა და მანიპულაციის იარაღად გამოიყენო! სხვა თუ არაფერი, ეს სისხლის სამართლის დანაშაულია!"**






**„საზღვარგარეთ სამკურნალოდ არ გაუშვიათ არც უკრაინის ყოფილი პრემიერი იულია ტიმოშენკო, რომელსაც პატიმრობაში კუნთების ატროფია დაემართა და ციხიდან ეტლით გამოიყვანეს!"**


ციხიდან ეტლით გამოსული იულია ტიმოშენკო მიტინგზე სიტყვით გამოსვლისას

**„ჰუმანიტარული მიზნებით გათავისუფლება მხოლოდ სამხედრო ტყვეებს ეხება და სააკაშვილი რომელი სამხედრო ტყვეა? მისი მხარდამჭერები რომ გაიძახიან – მიშა პუტინის ტყვეაო, თუ მართლა სჯერათ ამის, მაშინ ადგნენ და პუტინს მიმართონ, ჰუმანიტარული მიზნით გაათავისუფლოს!"**

## კვირგვინოსნები

**რატი ბრეგაძე**
*იუსტიციის მინისტრი*



შემიძლია, დაგიდასტუროთ ინფორმაცია, რომ **მიხეილ სააკაშვილი** ნამდვილად ეწევა **ელექტრონულ სიგარეტს.**

„რეზონანსი"

**მზექალა ქინქარაული-ქარსელაძე**
*საქართველოს საპატრიარქოს იურისტი, მსჯავრდებულთა შეწყალების საკითხთა შემსწავლელი კომისიის ხელმძღვანელი*



ახლა უფრო **ქალებსა და არასრულწლოვნებს იწყალებენ,** საერთოდ კი შეწყალებები შემცირდა. ვფიქრობ, ასეთი მიდგომა არასწორია. ციხეში მყოფ ადამიანს, თუ კარგად მოიქცევა, რაღაცის იმედი უნდა ჰქონდეს. **არ ვიღებთ მასალებს მკვლელობის, გაუპატიურების, ნარკოტიკის გასაღების, ანგარების მიზნით ადამიანის გატაცების, ქურდული სამყაროს წევრობისა და ოჯახური ძალადობის მუხლებით.**

„კვირის პალიტრა"

**მამუკა გვაძაბია**
*ანალიტიკოსი*



საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებას **დახუთული ოთახივით** განიავება სჭირდება.

„ახალი თაობა"

**სანდრო რაქვიაშვილი**
*„გირჩის" წევრი, პარლამენტარი*



ნაციონალურ მოძრაობაში **რაღაც გაუგებრობა ხდება,** დაველოდოთ, იქნებ რამე გამოუვიდეთ, შეიძლება, დაიშალონ!

„იმედინიუსი"

**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*



სანახაობაში ვართ — **სალამის მსოფლიო ჩემპიონატი მიმდინარეობს, დღის საათებში ნაციონალური მოძრაობის მიმართულებით ტრაგიკომედია გვაქვს** — „პოპკორნი" მოვიმარაგოთ და ვუყუროთ.

„ინტერპრესნიუსი"



## დასავლური პროპაგანდა ცდილობს, ქართველებს ჩაუნერგოს, რომ თვით ღმერთისა და ეკლესიის რიდიც არ უნდა ჰქონდეთ, რადგან ღმერთი „რუსი ოკუპანტია“, ხოლო მართლმადიდებლობა – მისი „ტანკი“!

*არნო ხიდირბეგიშვილი*

# ჯალალედინიდან დეგნანედინამდე



***პრორუსად გამოცხადებული „ქართული ოცნებისა“ და ბიძინა ივანიშვილის გაუთავებელი გმობის შემდეგ, ათეისტებით, რუსოფობებით, ჰომოსექსუალებითა და დასავლური სპეცსამსახურების აგენტებით დაკომპლექტებულმა რადიკალურმა ოპოზიციამ განახლებული ერთიანი ფრონტით შეუტია საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და მის წინამძღოლ ილია მეორეს, რომელიც საქართველოს უღმერთობის, უზნეობისა და გლობალიზმის შემოჭრისაგან იცავს.***

## აშშ-ის ელჩი 21-ე საუკუნეში იმავეს ცდილობს, რასაც ხვარაზმის შაჰი მე-13 საუკუნეში ცდილობდა!

ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ამა წლის 25 ნოემბერს, ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო დღეს, **ორი მამრობითი სქესის არსება** ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხრამუხის დედათა მონასტერში ძარცვის მიზნით შეიჭრა, 70 წლის მონაზონი კი, რომელიც მათთვის წინააღმდეგობის გაწევას ცდილობდა, სასტიკად სცემა და გააუპატიურა.

**რას უნდა მივაწეროთ, რომ ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოში, სადაც ქალის კულტი უხსოვარი დროიდან არსებობს, ქართველმა მამაკაცებმა ერთდროულად აღმართეს ხელი ქალზეც და ეკლესიაზეც? როგორც ხაშურისა და სურამის ეპისკოპოსმა სვიმეონმა** განაცხადა — ვინ არიან ის „არასწორად მოაზროვნენი, რომლებიც უბიძგებენ უპოვარ ადამიანებს ეკლესიის წინააღმდეგ ამხედრებისკენ“?

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს პრესმდივანმა, **დეკანოზმა ანდრია ჯაღმაიძემ** მომხდარში დაადანაშაულა **„გარკვეული მედიასაშუალებები, თეოლოგები და ექსპერტები“**, რომლებმაც, მისივე თქმით, „გაძლიერებული ანტიეკლესიური კამპანია“ გააჩაღეს.

და მაინც, საიდან მოდის ეს წრეგადასული უღმერთობა? რა თქმა უნდა, **სოროსისაგან,** რომელიც თავისი ფონდის — **„ღია საზოგადოების“** მეშვეობით „ალებს“ ტრადიციებსა და მართლმადიდებლობაზე დაფუძნებულ **„დახურულ“ საზოგადოებებს.** ეს უზნეობა მოდის აგრეთვე **ბჟეზინსკისგან,** რომლის დოქტრინაც ამერიკის ერთადერთ მტრად საბჭოთა კავშირის ნანგრევებში ცოცხლად გადარჩენილ **რუსულ მართლმადიდებლობას** მიიჩნევს.

ზემოხსენებული „არასწორად მოაზროვნე“ ევროქართველები მრავლად არიან რადიკალურ ოპოზიციაში, რომლის ხერხემალსაც სოროსის ფონდის დიპლომირებული კურსდამთავრებულები წარმოადგენენ — სწორედ ისინი, ვინც ე.წ. ვარდების რევოლუციის გზით ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ ტაძრის კარებს სატვირთო მანქანებით ანგრევდნენ. **ამავე კატეგორიას განეკუთვნებიან ე.წ. პროდასავლური, რეალურად კი, ანტიქართული ტელევიზიები თავიანთი ათეისტი, რუსოფობი და ჰომოსექსუალიზმის აპოლოგეტი ჟურნალისტური პერსონალით; ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები, ანუ ე.წ სამოქალაქო სექტორი ლგბტ თემის ხელმძღვანელობით.** ხელისუფლებაში მათ მთავარ დასაყრდენს ომბუდსმენი **ლომჯარია** და პრეზიდენტი **ზურაბიშვილი** წარმოადგენენ.

მთელი ეს **„ფენოვანი ტორტი“** საქართველოში აშშ-ის ელჩმა **კელი დეგნანმა** გამოაცხო ზუსტად იმავე მიზნით, რაც **ჯალალედინს** ამოძრავებდა, როცა 1226 წლის 13 ნოემბერს თბილისი ააოხრა. დიახ, **ხვარაზმის შაჰი მე-13 საუკუნეში ცდილობდა, ხოლო აშშ-ის ელჩი 21-ე საუკუნეში ცდილობს, აიძულოს ქართველი ხალხი, უარვყოთ მართლმადიდებლობა და გავანადგუროთ ჩვენივე სახელმწიფოებრიობისა და დამოუკიდებლობის მთავარი ბასტიონი — საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია!**

თამამად უნდა ითქვას, რომ ცხრამუხის დედათა მონასტერში მომხდარი გაუგონარი დანაშაული **კოლექტიური დასავლეთის** ანტიქართული და ანტიმართლმადიდებლური საქმიანობის შედეგია — სწორედ იმ პროპაგანდის ნაყოფი, რომელიც ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის შთამომავლებს მოუწოდებს, ჩვეულებრივ ამბად მიიღონ ერთნაირსქესიანთა ქორწინება, უგულებელყონ ტრადიციული ოჯახის ინსტიტუტი, უარი თქვან დედასა და მამაზე და ჩაანაცვლონ ისინი ტერმინით — „მშობელი ნომერი 1“ და „მშობელი ნომერი 2“...

ერთი სიტყვით, **დასავლური პროპაგანდა ცდილობს, ქართველებს ჩაუნერგოს, რომ თვით ღმერთისა და ეკლესიის რიდიც არ უნდა ჰქონდეთ, რადგან ღმერთი „რუსი ოკუპანტია“, ხოლო მართლმადიდებლობა — მისი „ტანკი“!**

რა უნდა მოიმოქმედოს ასეთ სიტუაციაში ნამდვილმა ქართველმა? რა უნდა იღონოს საქართველოს ნებისმიერმა მოქალაქემ? გააგრძელოს ცრუპენტელობა, თითქოს „ევროატლანტიკური ღირებულებებისკენ“ სწრაფვა ქართველების ისტორიული არჩევანია თუ წინაპართა მსგავსად მახვილით დადგეს მართლმადიდებლობის დასაცავად, რადგან მართლმადიდებლობა და საქართველო სინონიმებია?!

**დარწმუნებული ვარ, ქართველმა ერმა ამ კითხვაზე სწორი პასუხი იცის!**

ქართველი ერი **ჯალალედინმა** ვერ გადააგვარა და ვერც **ჯალალედინის** თანამედროვე პოლიტიკური რეინკარნაცია — **ამერიკის ელჩი** დეგნანედინი **გადააგვარებს!**

***არნო ხიდირბეგიშვილი***




## კვირგვინოსნები



**მურმან დუმბაძე**
*პოლიტოლოგი*

**ჭიაბერაშვილი** ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარედ, კომიკურია!

„ახალი თაობა“



**რატი იონათამიშვილი**
*პარლამენტარი*

რადიკალურ ოპოზიციაში მიაჩნიათ, რომ, **თუ თავს დაესხმებიან ქართულ ეკლესიას,** მით მეტი შანსი ექნებათ ძალაუფლების ხელში ჩაგდებისა.

„რეზონანსი“



**დიმიტრი ბიძინაშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*

საარჩევნოდ ღიად ვიტყვი, ვინ არია ნაციონალებში სიტუაცია. **ჭიაბერაშვილი** ერთ-ერთი იყო, რომელიც 2016 წელს პარტიის გაყოფაში მონაწილეობდა.

„ახალი თაობა“



**გედევან ფოფხაძე**
*ყოფილი პარლამენტარი*

**„ქართული ოცნება“ ვერცხლისმოყვარულთა კლუბად იქცა.** თუ ასე გაგრძელდა, საქართველოს მომავალი **ირანისა და ლუკაშენკოს სივრცეში** იქნება.

„ახალი თაობა“



**ირმა ინაშვილი**
*„პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი*

**ლევან ხაბეიშვილი** თავისი ბუნებით **ჩეჩმის დირექტორია!**

„ალია“



**გიორგი ბარამიძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*

**ზურაბ ჭიაბერაშვილს** დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ვერ გავიგე, **ნაციონალურ მოძრაობასთან რა კავშირი აქვს.**

„ახალი თაობა“

# არის პირველი პრეცედენტი: კალაძემ კოლექტიური ნოდარმელაძე დაამარცხა!

***თბილისის მერმა კახა კალაძემ ტელეკომპანია „ტვ პირველსა“ და მის ჟურნალისტს, გადაცემა „დღის ამბების“ წამყვან მაია მამულაშვილს სასამართლო პროცესი მოუგო.***

შეგახსენებთ, რომ კალაძემ **„ჭუტავიზიად“ წოდებულ ტელეკანტორასა და მის ჟურნალისტს** სასამართლოში მას შემდეგ უჩივლა, რაც **მაია მამულაშვილმა** საკუთარ გადაცემაში განაცხადა, **თითქოს თბილისის მერმა ერთ-ერთი ტენდერიდან 60 მილიონი ლარი ჩაიჯიბა და ამის შესახებ კონკრეტული დოკუმენტაცია არსებობს.**

რა თქმა უნდა, **„ჭუტავიზიად“ წოდებულ სიცრუის მანქანასა** და მის ერთ-ერთ ჭანჭიკს — **ტელეწამყვან მამულაშვილს** კალაძის მიერ ტენდერიდან 60 მილიონი ლარის მითვისების დამადასტურებელი არანაირი დოკუმენტაცია არ გამოუქვეყნებიათ, რაც იმთავითვე ცხადყოფდა, რომ **კოლექტიური ნოდარმელაძე,** რომელიც პრიმიტიული ობივატელის ემოციებზე სათამაშოდ უტიფარ ტყუილებსა და ბინძურ მანიპულაციებს მიმართავს, დედაქალაქის თავკაცს ცილს სწამებდა და მის გაშავებას ცდილობდა.

მიუხედავად იმისა, რომ **„ჭუტელი“ მამულაშვილის** ცარიელ ნათქვამს — **კალაძემ ტენდერიდან 60 მილიონი ლარი მიითვისაო** — საზოგადოების საღად მოაზროვნე ნაწილი ისედაც არ დაიჯერებდა, თბილისის მერმა მაინც გადაწყვიტა, კონსტიტუციური უფლება გამოეყენებინა და ცილისმწამებელთათვის პასუხი სამართლებრივი გზით მოეთხოვა.

**ადრეც დავწერეთ და ახლაც გავიმეორებთ, რომ „ტვ პირველისა“ და მისი ჟურნალისტის წინააღმდეგ სარჩელის შეტანით კახა კალაძემ გაბედა ის, რასაც ხელისუფლების ბევრი წარმომადგენელი ვერ ბედავს — სამართლებრივ დავაში შევიდა ნაცპროპაგანდის ერთ-ერთ მძლავრ ინსტრუმენტთან და არ შეეპუა კოლექტიურ ნოდარმელაძეს, რომელიც ბევრი მაღალი თანამდებობის პირის დაშანტაჟებასა და დაშინებას ახერხებს.**

**თბილისის მერს,** რომელმაც „ტვ პირველისა“ და მისი ჟურნალისტისაგან გავრცელებული დეზინფორმაციის უარყოფა და მორალური ზიანის ასანაზღაურებლად **100 000 ლარი** მოითხოვა, სურდა, შეექმნა პრეცედენტი, თუ როგორ არ უნდა მოითმინოს მართალმა კაცმა ბინძური ცილისწამება და ყველაზე ცივილიზებული გზით როგორ აგებინოს პასუხი **ჟურნალისტიკას ამოფარებულ ნაცზონდერებს,** რომლებსაც ადამიანის ლაფში ამოსვრა და მორალურად განადგურება თამაშად და მღერად უჩანთ.

**„ასავალ-დასავალის“ 2022 წლის 12-18 სექტემბრის 38-ე ნომერში ვივარაუდეთ, რომ კახა კალაძე, რომელმაც „ჭუტავიზიად“ წოდებული სიცრუის მანქანისათვის სამართლებრივი ბრძოლის გამოცხადებით სამოქალაქო გმირობის ტოლფასი ნაბიჯი გადადგა, პირველი ქართველი პოლიტიკოსი იქნებოდა, ვინც კოლექტიური ნოდარმელაძის დამარცხების პრეცედენტს შექმნიდა. და კახა კალაძემ ეს პრეცედენტი შექმნა!**

თბილისის საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ სიმართლეს არ შეესაბამება ჟურნალისტ **მაია მამულაშვილის** მიერ ტელეკომპანია „ტვ პირველის“ გადაცემა „დღის ამბებში“ გაკეთებული განცხადება: **„კახა კალაძემ მხოლოდ ერთი ტენდერიდან 60 მილიონი მიიღო... ეს არის ოფიციალური ინფორმაცია, მე არ ვიგონებ... 60 მილიონი ჩაიდო კახა კალაძემ ჯიბეში... ჩვენ არ დაგვიწერია ეს დოკუმენტები“.** მოსამართლის გადაწყვეტილებით, ტელეკომპანია „ტვ პირველსა“ და მის ჟურნალისტ **მაია მამულაშვილს** გავრცელებული დეზინფორმაციის უარყოფა და კალაძისათვის მორალური ზიანის ასანაზღაურებლად **15 000 ლარის** გადახდა დაეკისრათ.

**ასე და ამრიგად, არის პირველი პრეცედენტი!**

**კოლექტიური ნოდარმელაძე** ოფიციალურად და სამართლებრივად სახელდებულია, **როგორც სიცრუის მანქანა!**

**„ჭუტავიზია“** ოფიციალურად და სამართლებრივად მხილებულია, **როგორც ცილისმწამებელთა ბუნაგი!**

როცა **კახა კალაძემ** „ტვ პირველისა“ და მამულაშვილის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა, იქვე განაცხადა — **თუ ჩემი მოთხოვნა დაკმაყოფილდება და ცილისმწამებლებს მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 100 000 ლარი დაეკისრებათ, ეს თანხა გაჭირვებულ ადამიანებსა და ოჯახებს მოხმარდებაო!** მართალია, სასამართლომ **კოლექტიურ ნოდარმელაძეს** 100 000-ის ნაცვლად 15 000 ლარის გადახდა დააკისრა, რაც დიდძალი თანხა ნამდვილად არ არის, მაგრამ რამდენიმე გაჭირვებული ოჯახისათვის ხელის გასამართად მაინც იკმარებს. თუმცა, აქ ფინანსურ-ეკონომიკურ ფაქტორზე უფრო მნიშვნელოვანი **მორალური ასპექტი** გახლავთ — **სიმბოლური იქნება, რომ თანხა, რომელსაც კოლექტიური ნოდარმელაძე თავისი ცილისმწამებლური საქმიანობის გამო გადაიხდის, იმ მოქალაქეების საჭიროებებს მოხმარდება, რომლებსაც ეს სიცრუისა და სიბინძურის მანქანა ყოველდღიურად უწამლავს ტვინსა და სულს!**

სხვათაშორის, **ნოდარ მელაძემ** განაცხადა — **„ტვ პირველი“ სასამართლოს მიერ დაკისრებულ თანხას ვერ გადაიხდის, რადგან მის ანგარიშებს ინკასო ადევს, ველოდებით, რომ აღსრულების სამსახური ტელევიზიიდან კამერებს წაიღებს ან მაია მამულაშვილის სახლიდან მაცივარსა და ტელევიზორს გაიტანსო!**

თავის მოკლე ჭკუით, **ანგლობს და ცინიკოსობს ნოდარ მელაძე, მაგრამ მის განცხადებაში ისიც იკითხება, რომ „ჭუტელები“ მორიგი იაფფასიანი პოლიტიკური სპექტაკლის გათამაშებას აპირებენ** — სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებაზე გამიზნულად იტყვიან უარს, რასაც, წესით, კანონმდებლობით დადგენილი ღონისძიებები უნდა მოჰყვეს და თუ აღმასრულებლები მიადგებიან, მაშინვე ერთ ამბავს ატეხენ — **აი, ხელისუფლება გვარბევს და მუშაობის საშუალებას გვისპობსო!**

მაგრამ აღარ გაგივათ ეგ გაცვეთილი ტრიუკები, პატივცემულო „ჭუტელებო“!

**აწი ვერც კანონზე მაღლა დადგებით და ვერც საკუთარ ნოდარმელაძეზე მაღლა ახტებით!**

მით უფრო, რომ **უკანასკნელი ლელვის ფოთოლიც, რომელიც ნოდარმელაძეს** გინილბავდათ, კახა კალაძემ კანონისა და სამართლის ხელით მოგაშორათ!

**ჯაბა ხუბუა**

## «ჭუტელებო», ვერც კანონზე მაღლა დადგებით და ვერც საკუთარ ნოდარმელაძეზე მაღლა ახტებით!


სამოქალაქო გმირობა, ანუ კახა კალაძე კოლექტიური ნოდარმელაძის წინააღმდეგ სამართლებრივ ბრძოლას იწყებს!

კახა კალაძეს, რომელიც საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და მსოფლიო საფეხბურთო ბრენდის – „მილანის“ ღირსებას წლების განმავლობაში იცავდა, ნამდვილად არ გაუჭირდება, საკუთარი ღირსება მელაძე-მამულაშვილის მიერ ნასროლი ტალახისაგან დაიცვას!

„ასავალ-დასავალი“. 2022 წლის №38

## კოლექტიური ნოდარმელაძე ოფიციალურად და სამართლებრივად სახელდებულია, როგორც სიცრუის მანქანა!

## კვირგვინოსნები

**თამარ ჩერგოლეიშვილი**
*„ტაბულას“ მფლობელი*



**კეზერაშვილი მონებად ყიდულობს პოლიტიკოსებს, ჟურნალისტებს, აქტივისტებს** და ისინი საკუთარ თავს აღარ ეკუთვნიან.

„აიპრესი“

**მიხეილ სარჯველაძე**
*პარლამენტარი*



ისეთ სპირალში შევიდა ნაციონალური მოძრაობა, **იქიდან გამოსაძრომიც აღარ არის** — ეს ყველაფერი ბორბალში მორბენალი ციყვის ძალისხმევას ჰგავს.

„იმედინიუსი“

**პეტრე მამრაძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



**ნაციონალური მოძრაობის დაშლა** გარდაუვალი იყო, რადგან შეკრულები იყვნენ საერთო დანაშაულით. **საბოლოო გახრწნის პროცესია,** ატომიზაციის, მამრავლებად დაშლის.

„TV იმედი“

**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*



ჩვენს ოპოზიციას ჰგონია, **თუ იტყვის, რომ ბიძინა ცუდია, ამით თვითონ კარგი გახდება,** მაგრამ ასე არ არის.

„კვირის პალიტრა“

**ზურაბ ბატიაშვილი**
*რონდელის ფონდის მკვლევარი*



ეს ვითარება ძალიან ჰგავს პირველ მსოფლიო ომს — **როგორც მაშინ, რუსეთს ახლაც მოუწევს კავკასიიდან გასვლა!**

„კვირის პალიტრა“

**ზაზა შათირიშვილი**
*ფილოსოფოსი*



სად გაგონილა, ხალხო — ქართველმა ბიზნესმენებმა ქართულ ეკონომიკაში ინვესტირებაზე ხელი აიღეთო, **კეზერაშვილს** კი **შავი ფული შავ პოლიტიკაში** ჩაადებინეთო!

„საქართველოს რესპუბლიკა“



## ედიშერ გვენეტაძე:

# პოლიტიკურ ვირთხას ვადა გასდის!

***ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ედიშერ გვენეტაძე საქართველოს სამარცხვინო ომბუდსმენის ნინო ლომჯარიას ანტისახელმწიფოებრივ და მოღალატეობრივ საქმიანობას აფასებს და აცხადებს, რომ, თუ ხელისუფლება დაუშვებს და ლომჯარიას ადგილზე ისევ ლომჯარიასნაირს დასვამს, მაშინ ქვეყანაში შესაძლოა, უმართავი პროცესები დაიწყოს:***

— სულ მალე სახალხო დამცველად წოდებული **ნინო ლომჯარია** პოსტს დატოვებს და სადაც მისი პატრონი ამერიკელები გაგზავნიან, აწი იქიდან შემოუტევს საქართველოს! დიახ, **სასიხარულოა, რომ ლომჯარიას, როგორც პოლიტიკურ ვირთხას, ვადა გასდის...** კაცმა რომ თქვას, ეს ყიამყრალი და რეგვენი ქალბატონი, რომელიც საქართველოს დაბომბვას შენატრის, განა ყოველთვის ვადაგასული არ იყო?

საერთოდ, სახალხო დამცველის პოსტი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბატონი **დავით სალარიძის,** ქალბატონი **ნანა დევდარიანისა** და ბატონი **სოზარ სუბარის** პერსონებს, ყოველთვის წარმოადგენდა უცხო სახელმწიფოების და მეტწილად შეერთებული შტატების სპეცსამსახურების ინტერესის სფეროს. შესაბამისად, **ზემოხსენებული პიროვნებების გარდა, თითქმის ყველა ომბუდსმენი ამერიკის საელჩოს ინსტრუქციებით მოქმედებდა.** მაგრამ, რაც ამ მართლაცდა პოლიტიკურ ვირთხას ნინო ლომჯარიას შეემთხვა, მსგავსი რამ, მგონი, არავის დამართნია... **გაგახსენებთ ნინო ლომჯარიას ვიზიტს პატიმარ სააკაშვილთან გლდანის ციხეში, სადაც პატიმრებმა სახალხო დამცველს დედა აგინეს და უკანასკნელი სიტყვებით მოიხსენიეს.**

ისე როგორ უნდა შეაზიზღო პატიმრების დამცველმა პატიმრებს თავი, რომ დედა გაგინონ? ხაზგასმით ვაცხადებ: **ნინო ლომჯარიას სააკაშვილის გარდა არცერთი სხვა პატიმრის უფლება არ დაუცავს, არასოდეს საქართველოს ინტერესები არ დაუცავს და ეს უზნეო ქალი ნებისმიერ დროს მზადაა, გრანტებზე გაყიდოს ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესები.**

**— ბატონო ედიშერ, მერედა, „ქართულმა ოცნებამ“ არ იცოდა, ლომჯარია ვინ იყო, სახალხო დამცველად რომ დაამტკიცა?**

— აი, ეს არის სწორედ იმ დამღუპველი კოჰაბიტაციის შედეგი, რომლითაც „ქართული ოცნება“ დასავლეთმა მოატყუა, აიძულა და უფრო მძიმე და არაპოპულარული გადაწყვეტილებები მიაღებინა. გაიხსენეთ, როგორი თავგამოდებით იცავდა და იცავს ნინო ლომჯარიას ამერიკის ელჩი კელი დეგნანი. როგორ ფიქრობთ, ეს შემთხვევით ხდება? დიახ,

**ნინო ლომჯარია საქართველოში უცხოეთის მიერ დანიშნული „ნაცზირატელია“! ეს არის მართლაცდა ნაძირალა, რომელიც საქართველოში მშვიდობას ებრძვის და დანარჩენ სექტანტებთან ერთად იმას აპროტესტებს, კახი კალაძემ თბილისს „მშვიდობის ქალაქი“ რატომ უწოდაო!**

ესენი უკვე სტრატოსფეროს იქით არიან გასული... ლომჯარია არის იმ სამარცხვინო პოლიტიკური ძალის დაქალი და „ძმაქალი“, რომლის ერთ-ერთმა ლიდერმა — „გირჩი“ ზურაბამ სოფელ ატოცთან უკანალი წამოიხადა და მერე განაცხადა — 10 ათასი რუსი საქართველოში რომ შემოვიდეს, უკრაინას ეს დიდ შვებას მისცემსო! ცხადია, ეს ხალხი იმაზე არაფერს ამბობს და არრას ფიქრობს, თუ რას უზამდა ის 10 ათასი გავეშებული რუსი ჩვენს ქვეყანას!

**— მაინც რატომ არიან ლომჯარია და მისი სექტა საქართველოს ომში ჩასათრევად ასე მოწადინებული?**

— ჩემი აზრით, ლომჯარიასა და მის სექტას ძალიან ბევრი ფული აქვთ აღებული თავიანთი პატრონებისგან და, შესაბამისად, ვალდებულებებშიც ყელამდე არიან ჩაფლული. ახლა ამერიკელები ითხოვენ იმ ვალდებულებების შესრულებას, რაც ლომჯარიასა და მისთანა გრანტიჭამიებს აშფოთებთ და ამიტომაც მოწადინებული არიან ქვეყნის ომში ჩასათრევად, რადგან ამ შემთხვევაში ამოქმედდება პრინციპი — „ომი ყველაფერს ჩამოწერს!“ სწორედ ამ პრინციპით იმოქმედა სააკაშვილმა 2008 წლის აგვისტოს ომში, როცა დახმარების სახით გამოყოფილი მილიარდობით დოლარი ჯიბეში გააქანა და ხალხისა და ქვეყნისთვის განკუთვნილი თანხები პირად კეთილდღეობასა და სექტის მგლური მადის დაკმაყოფილებას მოახმარა.

თქვენ, ალბათ, გაეცანით **მიხეილ ყაველაშვილის** განცხადებას იმის შესახებ, რომ სააკაშვილის სექტის ყოფილი მაღალჩინოსნები აფხაზეთისა და ცხინვალის მიმართულებით პროვოკაციებს გეგმავენ. ყაველაშვილი ჭკუადამჯდარი და სერიოზული კაცია და დარწმუნებული ვარ, ტყუილად არაფერს იტყვის. **ჩვენ საქმე გვაქვს ლომჯარიას სექტასთან, საშიშ ხალხთან, რომელიც მზად არის, საქართველო თვალსა და ხელს შუა გაწიროს, გაიმეტოს და თავისი პოლიტიკური ამბიციების დასაკმაყოფილებლად ნებისმიერ სიბინძურეს მოაწეროს ხელი!**

**— რატომ ვერ ახერხებს ქართული სახელმწიფო ლომჯარიას მსგავსი მოღალატეებისა და აგენტების განეიტრალებას?**

— გახსოვთ, საქართველო რა დღეში ჩააგდეს ცნობილი ბანდიტების, აფერისტების, ბიუჯეტის ვირთხებისა და ყაჩაღების — **რურუას, ოქრუაშვილისა და უგულავას** დაპატიმრების გამო? ახლა ლომჯარიას რომ ხელი მოჰკიდონ, ხომ წარმოგიდგენიათ, რა შეიძლება მოხდეს? შესაძლოა, საქართველოში სამოქალაქო ომი მოგვიწყონ! ერთადერთი გზა ამ მოღალატეების გასანეიტრალებლად არის მხილება... **მე ცხონებული ზვიად გამსახურდიას ერთგული ჯარისკაცი ვარ და რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ პირველი პრეზიდენტისა და დიდი მამულიშვილის ბრძოლის სტრატეგია სწორი იყო — მახვილი მხილებისა დღეს საქართველოს ხსნაა!** ზვიად გამსახურდია საქართველოს მტრებს ამხელდა და ამაში არ შემცდარა. შესაბამისად, **ნინო ლომჯარია და მისი „ბრაშკა“** სწორედ საქართველოს მტრები არიან და ყველგან უნდა ვამხილოთ! **ღმერთმა ნუ ქნას, ლომჯარიას ადგილზე საქართველოს ხელისუფლებამ ლომჯარიასნაირი მოღალატე და აგენტი დანიშნოს, თორემ შესაძლოა, ქვეყანაში უმართავი პროცესები დაიწყოს!**

**— რას ეტყვით ნინო ლომჯარიას?**

— ომბუდსმენად წოდებულ ამ სამარცხვინო არსებას ვეტყოდი — **ლომჯარია „ფანდარასტ!“**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***




## კვირგვინოსნები



**შალვა ნათელაშვილი**
*ლეიბორისტული პარტიის ლიდერი*

დღეს მორიგი სასწაული მოვისმინე პარლამენტიდან, **ვინმე ზარქუას** საინფორმაციო ღრუთი გაჟღერებული, რომ თურმე **საქართველოს კონსტიტუციის ავტორი** ყოფილა „გავრილოვა“ **ირაკლი კობახიძე.** მე ვიყავი საქართველოს კონსტიტუციის სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელი 1995 წელს და **კობახიძის** ლანდიც კი ახლომახლო არავის უნახავს. მოკლედ, ამათ მართლა არაფერი აღარ ეშველებათ.

„ახალი თაობა“



**ლევან ხაბეიშვილი**
*ლეიბორისტული პარტიის წევრი*

სრულიად სამართლიანად **ვებრძოდი შევარდნაძეს, ვებრძოდი სააკაშვილს და ვებრძვი ივანიშვილს,** მაგრამ ივანიშვილიც რომ აღმოჩნდეს სააკაშვილის მდგომარეობაში, ანუ არ ჰქონდეს სამართლიანი სასამართლოს უფლება, მე მასაც დავიცავ.

„ახალი თაობა“



**ვახტანგ მაისაია**
*ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში*

ყაზახეთში პირველად ბიულეტენში ხმის მიცემის გრაფებს საინტერესო ჩანაწერი ჰქონდა დამატებული — **„ყველას წინააღმდეგ“.** კარგი იქნებოდა, ბიულეტენში ასეთი გრაფა საქართველოშიც დაგვემატებინა.

„ახალი თაობა“



**ნინო ბურჯანაძე**
*პოლიტიკოსი*

იძულებული ვარ, საზოგადოების წინაშე ვთქვა, გავაფრთხილო ყველა, ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე — **თუ ასე გაგრძელდა პროცესი, 2024 წელს „ქართული ოცნება“ საკონსტიტუციო უმრავლესობას დაიწერს!**

„ალია“

**სოსო შატბერაშვილი:**

# სააკაშვილი პატიმრობაში არ არის, სანატორიუმში იმყოფება!



***პარტია „მემარცხენე ალიანსის“ ლიდერი სოსო შატბერაშვილი პატიმარ სააკაშვილის სიკვდილ-სიცოცხლის შესახებ ატეხილ ხმაურს „თითიდან გამოწოვილ სისულელეს“ უწოდებს და მიიჩნევს, რომ ნაცბელადის ადგილი არა ევროპის რომელიმე კლინიკაში, არამედ ქართულ ციხეშია:***

— დღეს, როცა ევროპის კონტინენტზე, ფაქტობრივად, მესამე მსოფლიო ომი მიმდინარეობს, ჩვენი მთავარი საფიქრალ-საზრუნავი ამ ომის თავიდან არიდება და ისედაც დაცლილი, სამ მილიონ მოსახლემდე დასული საქართველოს გადარჩენა უნდა იყოს, მაგრამ მთელი ქვეყანა დაკავებულია თითიდან გამოწოვილი სისულელის განხილვით, რასაც სააკაშვილის ავადმყოფობა და ვითომ პატიმრობა ჰქვია.

**— „ვითომ პატიმრობაში“ რას გულისხმობთ?**

— **სააკაშვილი პატიმრობაში არ არის, სანატორიუმში იმყოფება — „ვივამედის“ ლუქს პალატაში, სადაც უამრავ მნახველს იღებს, სარგებლობს ტელევიზორით, ინტერნეტით და ყველა იმ სიკეთით, რომელზეც საქართველოში არცერთ პატიმარს არ მიუწვდება ხელი.** სამწუხაროა, რომ ამ ფარსს ჩვენი ხელისუფლებაც წამოეგო და სააკაშვილის მდგომარეობაზე თვით იუსტიციის მინისტრი აკეთებს საჯარო ახსნა-განმარტებებს მაშინ, როცა ამაზე მაღალი სახელმწიფო თანამდებობის პირი კი არა, მაქსიმუმ, საბადრაგო სამსახურის ცვლის უფროსი უნდა ლაპარაკობდეს.

**— ე.ი. არ გჯერათ, რომ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა და მისი ციხეში გაჩერება არ შეიძლება?**

— **სააკაშვილის ციხეში ყოფნა გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს, რადგან იგი ისეთივე კრიმინალია, როგორიც ბევრი სხვა, ვინც საქართველოში იხდის სასჯელს!** საერთოდ, მიმაჩნია, რომ 6-წლიანი პატიმრობა, რომელიც სააკაშვილს აქვს მისჯილი, ძალიან ლმობიერი სასჯელია და ეს ნაც-ქოცების დანაშაულებრივი კოჰაბიტაციის შედეგი გახლავთ! სააკაშვილის დანაშაულებს მის მიერ შემოღებული და შემდეგ „ოცნების“ მიერ გაუქმებული პრინციპით — სასჯელთა შეკრებითობით რომ მივუდგეთ, **უკვე მისჯილ 6 წელს, როგორც მინიმუმ, 0 მაინც უნდა მიეწეროს და 60-წლიანი პატიმრობა მიესაჯოს!** უფრო მეტიც, სააკაშვილს ბრალი უნდა ჰქონდეს წაყენებული სამშობლოს ღალატისა და ქართული მიწების — კოდორის, ახალგორის, დავითგარეჯის გაყიდვისათვის, რაზეც **უვადო თავისუფლების აღკვეთა** ეკუთვნის!



## „სააკაშვილს ბრალი უნდა ჰქონდეს წაყენებული სამშობლოს ღალატისა და ქართული მიწების – კოდორის, ახალგორის, დავითგარეჯის გაყიდვისათვის, რაზეც უვადო თავისუფლების აღკვეთა ეკუთვნის!“

**— ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ გიული ალასანიამ ამერიკული ლობისტური კომპანიაც კი დაიქირავა, რომელმაც სააკაშვილის უცხოეთში სამკურნალოდ გადაყვანასთან დაკავშირებით პიარკამპანია უნდა წარმართოს. როგორ ფიქრობთ, გაუძლებს საქართველოს ხელისუფლება პოლიტიკურ ზეწოლას, რომელსაც მასზე სააკაშვილისა და ნაცმოძრაობის ევრო-ამერიკელი ლობისტები კიდევ უფრო გააძლიერებენ?**

— ამერიკის პრეზიდენტმა რუზველტმა ნიკარაგუის დიქტატორის სომოსას შესახებ თქვა — **ძაღლიშვილია, მაგრამ ჩვენი ძაღლიშვილიაო!** დღევანდელი კოლექტიური დასავლეთისთვისაც **სააკაშვილი „საკუთარი ძაღლიშვილია“** და მის გათავისუფლებას რომ მიაღწიონ, საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლის ყველანაირ მეთოდს გამოიყენებენ. ისე, რომ არა უკრაინის ომი, სააკაშვილი უკვე კარგა ხნის გათავისუფლებული იქნებოდა, რადგან ამერიკელები და ევროპელები საქართველოს ხელისუფლებაზე გაცილებით დიდ ზეწოლას განახორციელებდნენ, მაგრამ დღეს მათ საქართველოსა და სააკაშვილისთვის ნაკლებად სცალიათ.

**რაც შეეხება გიული ალასანიას მიერ დაქირავებულ ლობისტურ კომპანიას, იგი უცხოურ მედიასაშუალებებში პერიოდულად გამოაქვეყნებს შეკვეთილ სტატიებს, ვითომ სააკაშვილი კვდება, რაც, რა თქმა უნდა, ტყუილია.** პირადად მე სააკაშვილის არცერთი სიტყვის არ მჯერა! მეტიც, რასაც სააკაშვილი ლაპარაკობს, ყოველთვის იმის საპირისპირო უნდა ვიგულისხმოთ!

**— ანუ არც იმის გჯერათ, რომ სააკაშვილს ქართული პოლიტიკა აღარ აინტერესებს და საბოლოოდ ჩამოშორდა მას?**

— სააკაშვილი ქართულ პოლიტიკას არავითარ შემთხვევაში არ დაანებებს თავს, რადგან „პოლიტიკური ცხოველია“ და პოლიტიკის გარეშე არ შეუძლია!

## როგორც კი მას უცხოეთში სამკურნალოდ გაუშვებენ ან პატიმრობიდან გაათავისუფლებენ, მაშინვე იტყვის – 6 წელი პოლიტიკურ პატიმრობაში რომ არ გამეტარებინა, იძულებული ვიყავი, ფარსი გამეთამაშებინა და ივანიშვილის რეჟიმი გამეცურებინა, ახლა კი მზად ვარ, პუტინისტური რეჟიმისაგან საქართველოს გასათავისუფლებლად ახალი შემართებით ვიბრძოლოო!

იმედი მაქვს, „ქართულ ოცნებაში“ სააკაშვილს კარგად იცნობენ და ამ აფერისტს თავს არ გააცუცურაკებინებენ!

აქვე ხმამაღლა ვაცხადებ: **თუ სააკაშვილს სასჯელს გადაუვადებენ და საზღვარგარეთ სამკურნალოდ გაუშვებენ, ჩვენი პარტია დაუყოვნებლივ მოითხოვს, უცხოეთის კლინიკებში იქნას გადაყვანილი საქართველოს ციხეებში მყოფი ყველა პატიმარი, ვისაც სამედიცინო დახმარება ესაჭიროება!** თუ პატიმარი სააკაშვილი კანონზე მაღლა დაყენებასა და საზღვარგარეთ მკურნალობას იმსახურებს, მაშინ ამის უფლება ყველა სხვა პატიმარსაც ეკუთვნის!

**— როგორ ფიქრობთ, შეიწყალებს თუ არა სააკაშვილს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, რომელიც მანამდე აცხადებდა — ამას არასოდეს გავაკეთებო, მაგრამ ბოლო დროს, ცოტა არ იყოს, ორაზროვნად ლაპარაკობს?**

— დღეს საქართველოში იმდენი უპრინციპო და უშუბლისძარღვო პოლიტიკოსია, სულაც არ გამიკვირდება, სალომე ზურაბიშვილმა საკუთარი სიტყვები უკან რომ წაიღოს და სააკაშვილი შეიწყალოს!

ქუჩაში ფეხით დავდივარ, საზოგადოებრივი ტრანსპორტითაც ხშირად ვსარგებლობ, ბევრ ადამიანს ვხვდები და ყველა მეკითხება — გამოუშვებენ თუ არა სააკაშვილს? როცა ვეუბნები — არ ვიცი, სალომე ზურაბიშვილი როდის რას გადაწყვეტს-მეთქი, ხალხს ამაზე საშინელი რეაქცია აქვს და იდეის დონეზეც კი არ უნდა იმის დაშვება, რომ სააკაშვილმა შესაძლოა, სასჯელისაგან თავის დაძვრენა მოახერხოს!



## „თუ პრეზიდენტი ზურაბიშვილი სააკაშვილს შეიწყალებს, ამას ქვეყანაში საპროტესტო გამოსვლები და არეულობა მოჰყვება!“

**თუ პრეზიდენტი ზურაბიშვილი სააკაშვილს შეიწყალებს, ამას ქვეყანაში საპროტესტო გამოსვლები და არეულობა მოჰყვება, რაც მსოფლიოსა და რეგიონში მიმდინარე უმძიმესი პროცესების ფონზე, საქართველოს სერიოზული საფრთხეების წინაშე დააყენებს!**

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**ვახტანგ ძაბირაძე**
*პოლიტოლოგი*



**მიხეილ სააკაშვილი** დღეს, როგორც პოლიტიკური ფიგურა, **განადგურებულია!**

„ახალი თაობა“

**მამუკა ტუსკაძე**
*პოლიტიკური მოძრაობა „სოციალური სამართლიანობის“ ლიდერი*



**სააკაშვილს** ჩვეულებრივი დეპრესია და მისგან გამოწვეული სხვადასხვა სახის დაავადება აქვს, მაგალითად, კლაუსტროფობია და ასეთი რაღაცები, ჩაკეტილი სივრცის შიში და სხვა. საშინელი შიშები აქვს. ავადმყოფობის ძირითადი მიზეზი ეს არის. **მიშა ხვალ რომ გათავისუფლდეს, ზეგ უკვე კარგად იქნება!**

„ახალი თაობა“

**ირაკლი ლატარია**
*ეკონომისტი*



დღეს რომ მშვიდობაა და **თბილისი** არ ჰგავს **ხარკოვს, ზუგდიდი — ბუჩას, თელავი — ირპენს** და **სამტრედია — ნიკოლაევს**, ამას არ მიესალმებით? საქართველოს ისტორიაში ყველაზე დიდ მოღალატეს და სამშობლოს გამყიდველ **სააკაშვილს** ახსენებთ, როგორც დაჩაგრულს? მთელი გულით მაინტერესებს, **ასე როგორ გეზიზღებათ ეს საწყალი ქვეყანა!**

„ალია“

**თენგიზ ფხალაძე**
*საერთაშორისო ურთიერთობების საკითხთა სპეციალისტი*



საქართველო ერთ-ერთი პირველი გახდა **რუსული ტერორიზმის** მსხვერპლი.

„კვირის პალიტრა“



# კობახიძის

## ირაკლი კობახიძე:

**სწორედ მათ ჩამოიყვანეს მიხეილ სააკაშვილი საქართველოში. რა თქმა უნდა, ახლა ეს ადამიანები პასუხისმგებლობას გრძნობენ და ამის შედეგია ის, რომ ისინი გვთხოვენ მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლებას!**

***როგორც ჩანს, ცნობილი აფერისტისა და მანიპულატორის, საერთაშორისო მაწანწალად შერაცხილი სააკაშვილის ციხიდან გამოსაყვანად ბნელი ძალების მიერ წამოწყებული ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შედის!***

დედა-სულთანმა გიული ალასანიამ, რომელსაც ძალიან არ უნდა რუსუდან „ეპისკოპოსიძე" და პეტრე „მიტროპოლიტიძე" სააკაშვილს „სულითა თანა" უმღერონ, სასწრაფოდ კავშირი შეჰკრა ამერიკულ ლობისტურ პიარკომპანია **„გლობალ ჰორიზონთან". ამერიკელი აფერისტები, რომლებმაც სააკაშვილისა და გიულის მიერ ქართველი ხალხისთვის მოპარული ათეულათასობით დოლარი უკვე ჩაიჯიბეს და ხელშეკრულებაც გააფორმეს, ვალდებულებას იღებენ, ციხიდან სააკაშვილის გათავისუფლებისა და „სამკურნალოდ" უცხოეთში გაყვანის საკითხი საერთაშორისო არენაზე დაქოქონ!** როგორც ირკვევა, ამ შეთანხმებამ ამოქმედება დაიწყო და მსოფლიო მედიაში უკვე გახშირდა ცნობები ციხეში სააკაშვილის „გაუსაძლისი მდგომარეობის" შესახებ...

ამ ყველაფრის ფონზე საქართველოს ხელისუფლება სიმშვიდეს ინარჩუნებს და სააკაშვილის გარშემო განვითარებულ მოვლენებს ზუსტად ისე აკვირდება, როგორც კატა ხვრელიდან გამომძვრალ თაგვს... თავის მხრივ, სააკაშვილსაც უჩვეულო პოზა აქვს შერჩეული — **გატრუნულია და ჯერჯერობით ხმას არ იღებს.** ყოველ შემთხვევაში, ხელისუფლებაზე აშკარად აფეთქებული არ ამობს. ის კი არა, როგორც კი **ადვოკატმა ხაჭაპურიძემ** დააბრუნა — **მიშა მოწამლულია!** — მაშინვე აყვირდა — **არავის მოვუწამლივარ და პოლიტიკურ სპეკულაციებს შეეშვითო!**

ამ ყველაფრის შემხედვარე **სალომე ზურაბიშვილი** მართლაცდა რომ გალურსულია და პროცესებს თვალს გამტკნარებული სახით ადევნებს. მისი საქვეყნოდ ცნობილი დანაპირი — **„არა და არასოდეს!"** — ახლა უმკაცრეს გამოცდას გადის, თუმცა, დიდი ალბათობით, შეიძლება ითქვას, რომ სალომე ზურაბიშვილს ამ სიტყვებისგან უკვე აღარაფერია დარჩენილი. ეს რომ ნამდვილად ასეა, **ცნობილი აგენტისა და სააკაშვილის „სახალხო დამცველის" ნინო ლომჯარიას** ერთმა ფრაზამ დაადასტურა, როცა თქვა — **კლინიკა „ვივამედში" სააკაშვილის უმძიმესი მდგომარეობის შესახებ სალომე ზურაბიშვილს მოვახსენე და მან მითხრა, რომ სისტემატური კავშირი აქვს მარიამ ჯიშკარიანთან და მის „ემპათიასთან"!**

პრეზიდენტს რომ „ემპათიასთან" და იმ ჯიშკარიანთან ექნება კავშირი, რომელმაც, ყველა სერიოზული სამედიცინო ექსპერტის შეფასებით, სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სამარცხვინო, არაკომპეტენტური და, რაც ყველაზე მთავარია, „საციხო" დასკვნა დადო, ე.ი. ის პრეზიდენტი უკვე გაყიდულია და სააკაშვილის შესაწყალებლადაც მზად არის! **დარწმუნებული ვართ, დედასულთანი გიული ალასანია სალომე ზურაბიშვილისთვის ამ საქმის საფასურად არც მილიონებს დაიშურებს, არც — ბრილიანტებს, არც — ფარჩა-ატლასებს და არც ფეშენებელურ სახლს დედამიწის ნებისმიერ წერტილში, მაგრამ სააკაშვილის შეწყალებას ერთი გადაულახავი წინააღმდეგობა უშლის ხელს — ის ჯერჯერობით მხოლოდ ბრალდებულია და არა მსჯავრდებული!**

მთელი ამ ბაქანალიისა და პოლიტიკური პროსტიტუციის ფონზე, როცა ვინ ვისთან არის შეკრული და ვინ რას გეგმავს, ძნელი სათქმელია, **პარტია „ქართული ოცნების"** თავმჯდომარემ **ირაკლი კობახიძემ მიმდინარე პოლიტიკური პროცესების უზუსტესი ანალიზი შემოგვთავაზა და საზოგადოება გააფრთხილა, რომ ის, რაც სააკაშვილის გარშემო ხდება, მხოლოდ ბინძური სიმულაცია, რომლის აქტორებიც ქართველი და უცხოელი სიმულანტები არიან.**

აი, ირაკლი კობახიძისეული ანალიზიც:

> *„ნაცმოძრაობის კუთვნილი ერთ-ერთი ტელევიზიის ლიდერები სააკაშვილს თვითდაზიანებისკენ პირდაპირ მოუწოდებდნენ. ამის საპირისპირო განცხადებაც კი არ გაკეთებულა, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს იყო ამ ტელევიზიებისა და ნაცმოძრაობის პოლიტიკა.* ***მათ ადარდებთ მხოლოდ ის, რომ სააკაშვილის გათავისუფლებით ქვეყნის არევა უნდათ, რასაც ვერ ახერხებენ.*** *ვისაც ჩვენს ქვეყანაში მეორე ფრონტი უნდოდა, სააკაშვილი საქართველოში სწორედ მათ ჩამოიყვანეს. გაიმართა რაღაც კონფერენცია თუ ღონისძიება, სადაც მონაწილეობდნენ ცნობილი ოდიოზური ევროპარლამენტარები —* ***კუბილიუსი, ფონ კრამონი*** *და სხვები.* ***ეს კონკრე-***




არამკითხე მოამბეო...

# ესენი ვერ

***შესაძლოა, ცოტა უხეირო შედარებაც იყოს, მაგრამ, როგორც შევალიე დე გრიეს ცხოვრების ბედისწერად იქცა მეძავი მანონ ლესკო და ვერავითარმა ძალამ, თვინიერ სიკვდილისა, ისინი ერთმანეთს ვერ დააშორა, სწორედ ისე ვერ იშორებს საქართველო ევროპარლამენტარ ანა ფოტიგას, ამერიკის ყოფილ ელჩს საქართველოში იან კელის, ევროპარლამენტარ ვიოლა ფონ კრამონს, ევროპარლამენტარ კუბილიუსს, ამერიკული „ცერეუს" მაღალჩინოსან დევიდ კრამერს, ევროპარლამენტარ მარკეტა გრეგოროვას და თორნიკე გორდაძეს, რომელიც სააკაშვილის მძლავრობის ხანაში ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი იყო.***

## კოლექტიური ანა ფოტიგები, დევიდ კრამერები და იან კელები ჩვენი თვალსაწიერიდან ისევე გაქრებიან, როგორც „კუმისელი მოჩვენება"!




როგორც საქვეყნოდ ცნობილია, ულამაზესმა, მაგრამ გარყვნილმა **მანონ ლესკომ** საწყალობელ **შევალიე დე გრიეს** კარიერა და ცხოვრება დაუნგრია და გააუბედურა. **საქართველოს სწორედ ასეთივე ნგრევითა და უბედურებით ემუქრება სულიერად თუ ხორციელად მახინჯთა ის ერთობა, რომელიც პოლონელმა ევროპარლამენტარმა ანა ფოტიგამ 2022 წლის 29 ნოემბერს საგანგებო კონფერენციაზე წარმოგვიდგინა.** კონფერენციის სახელწოდება გახლდათ — **„ოლიგარქი, რუსული კავშირები, პუტინის ომი და საქართველოს მომავალი".** კონფერენცია, რომელშიც **იან კელის, თორნიკე გორდაძის, ანა ფოტიგასა და დევიდ კრამერის** გარდა **ოლექსი გონჩარენკო და მამუკა მამულაშვილი** მონაწილეობდნენ, ბიძინა ივანიშვილის დიდი ფოტოსურათის ფონზე მიმდინარეობდა. მოკლედ, **მთელი ეს „შანტრაპა", რომელიც საქართველოს ჭირისუფლად და თავგადაკლულ გულშემატკივრად ასაღებს თავს, აგერ უკვე რამდენი წელია, რაც ერთ ვაი-ვიშსა და უბედურებაშია... ამ ადამიანებმა, რომლებსაც ძაღლის ყბა აქვთ გამობმული, ტვინი წაიღეს — არიქა, ოლიგარქი ივანიშვილი საქართველოს ღუპავს! არიქა, საქართველოში დემოკრატია განსაცდელშიაო! არიქა, სააკაშვილს ციხეში კლავენ და უნდა ვიხსნათ!** ერთადერთი, რასაც ამ ნამუსგარეცხილი ხალხის ენა ვერ ამბობს, იმაზე მათი თვალები გველაპარაკებიან — **აფსუს, რა დროს დაიჭირეს ჩვენი მიშა,**

## კვირგვინოსნები



**გოგა ხაინდრავა**
*კინორეჟისორი*

კრამერის, ჭუტლექსას, კეზერას, ვანოს, ლიაკას, კიკუს, გირჩი-**შარვალჩახდილის, გიგაურის და ხაბეს** ანაბარა რომ დარჩება — ჯერ იმ პატრონს და ჰეგემონს რა ვუთხარი და მერე მათ მოწყობილ **რევოლუციას და გადატრიალებას!**

„ტვიტერი"



**თემურ ნანეიშვილი**
*აკადემიკოსი*

სამწუხაროა, რომ საქართველოს არ ჰყავს ნამდვილი ოპოზიცია. **ესენი რევანშისტები არიან, არ უნდათ საქართველოს წინსვლა** და ახლა მუშაობენ იმაზე, რომ ქვეყანამ არ მიიღოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი.

„რეზონანსი"



**მაკა ბოჭორიშვილი**
*ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე*

იმ კოლეგებს მსურს, მოგმართოთ, ერთმანეთს რომ ეჯიბრებით, **ვინ უფრო უკეთ გაალანძღვინებთ საკუთარ ქვეყანას უცხოელ მეგობრებს** — თქვენი ქმედებებით აზიანებთ საქართველოს სტრატეგიულ ინტერესებს!

„ინტერპრესნიუსი"



**დევიდ კრამერი**
*აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილი მაღალჩინოსანი*

ქართველი ხალხი რჩება ნატოს, ევროკავშირის, აშშ-ის მომხრედ, **პრობლემა ოლიგარქია, ივანიშვილი,** რომელიც პროცესებს კულისებიდან მართავს — **დროა, დავაწესოთ ინდივიდუალური სანქციები!**

„ამერიკის ხმა"

# სიმართლე



*ტული დაჯგუფებაა, გლობალური ომის პარტია, რომელსაც საქართველოში უნდოდა ვითარების არევა, ხელისუფლების ცვლილება, მეორე ფრონტი...*

*მე შევახსენებთ მიხეილ სააკაშვილის ერთ-ერთ მეგობარს* ***იულია ტიმოშენკოს,*** *რომელიც ციხიდან გამოვიდა „კალიასკით". მანამდე იყო უამრავი სიმულაცია...* ***ეს იყო მისი პირველი და ბოლო გამოჩენა ეტლით. მეორე დღეს წამოხტა ქალბატონი ტიმოშენკო ეტლიდან და ხომ არ გვაქვს ასეთივე სიმულაციასთან საქმე ამ შემთხვევაშიც?"***

პატივცემულო მკითხველო, ეს ყველაფერი ჭკუადამჯდარი და ქვეყნის ბედზე მოფიქრალი იმ ახალგაზრდა კაცის ნააზრევია, რომელსაც პოლიტიკური კარიერის დასაწყისში ზოგჯერ სიჩქარით და ზოგჯერ დაუფიქრებლობით ერთი-ორჯერ არცთუ სასიამოვნოდ მოსასმენი რაღაცრაღაცები წამოსცდა! ამის გამო ირაკლი კობახიძისთვის თავზე ხელი არ გადაგვისვამს და მწვავედაც გავკენწლეთ... თუმცა, იმის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა — **შალვა შავგულიძე და შალვა ხაჭაპურიძე** მკვლელი ნაციონალების ფაეტონში მოკალათდნენ; **ეკა ბესელიამ** ვანო ჯავახიშვილთან ცირკში დაიწყო მუშაობა; **ძმები ბერძენიშვილები** ისე, რომ ამ ამბავს ერთმანეთს არ უმხელენ, ჩუმ-ჩუმად გეი-კლუბში დაიპარებიან; **ელისტრატო ძილაძე** ისეა მოჭიმული, როგორც ჩანს, თემურ ალასანიას უპირებს გაუპატიურებას, ხოლო **გია ხუხაშვილისაგან** „ხუ"-ს გარდა არაფერი დარჩა — არც გვარი და არც სახელი!

მოკლედ, ბევრი რამ მოხდა, მაგრამ მოხდა ყველაზე მთავარი — **ირაკლი კობახიძის სახით საქართველოს ხელისუფლებას შეემატა ნიჭიერი და ინტელექტუალი პოლიტიკოსი, რომელსაც შეიძლება, ქვეყნისა და ხალხის ბედი ანდო!**

კობახიძე „ქართულ ოცნებაში" გამორჩეულად ნიჭიერი ლიდერია და ეს რომ ასეა, მისი ზემოხსენებული ანალიზიც ადასტურებს, სადაც ყოველი სიტყვა სიმართლეა! **მან უშეცდომოდ გამოიარა უმძიმესი პოლიტიკური კრიზისი, როცა გავრილოვთან დაკავშირებული არეულობის გამო იძულებული გახდა, პარლამენტის თავმჯდომარეობა დაეთმო. მაშინ ის წავიდა, რათა პარტიის ლიდერად მოსულიყო...**




მოკლედ, ისღა დაგვრჩენია, ამ ახალგაზრდა კაცს წარმატება ვუსურვოთ!

**რაც შეეხება სააკაშვილს, როგორც მეუბნებიან, ამ გამოპრუტუნებულ მარიამ ჯიშკარიანს მისი ჯანმრთელობის შესახებ, თურმე, ისეთი დასკვნა დაუწერია, გიულის ბიჭს უცხოეთში კი არა, ალბათ, პირდაპირ ხონის საგიჟეთში უკრავენ თავს!**

***დიტო ჩუბინიძე***

---

არამკითხე მოამბეო...

# მოვიშორეთ!

**თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის განცხადება, რომელმაც კოლექტიურ იან კელებს, დევიდ კრამერებს, ანა ფოტიგებსა და მათზე ატორღიალებულ თორნიკე გორდაძეებსა და მამუკა მამულაშვილებს უმძიმესი განაჩენი გამოუტანა, როცა განაცხადა:**

*„როდესაც კონკრეტული ადამიანები ბიძინა ივანიშვილს ოლიგარქს უწოდებენ და მის სანქცირებას ითხოვენ, ეს არის არამარტო უსამართლო განცხადება და შეფასება, არამედ სიბინძურე. ვინც ამას აკეთებს, ის სიბინძურის სამსახურშია. ამას აქვს ძალიან მარტივი ახსნა და ლოგიკა — ყველა, ვინც საზღვარგარეთ გაიძახის, რომ ბიძინა ივანიშვილი არის ოლიგარქი და უნდა დასანქცირდეს, არის აგენტი! დიახ, ყველა, ვინც ამას ამბობს, არის ომის პარტიის აგენტი!"*

**ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ ირაკლი კობახიძეს, რომელიც ახალგაზრდა ქართველ პოლიტიკოსთა შორის თავისი ინტელექტით, ენამოსწრებულობითა და ეროვნული პოზიციით მართლაცდა ბრწყინავს, ჩვენი ადვოკატირება სჭირდება, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას!**

**ჩვენი კუჩხი ბედინერი, ჩვენი მახარია და კვარჩხალია, რომელიც ხან „პაჭკა-პაჭკა" დოლარებს გვიტენიდა ჯიბეში, ხან ქორწილებსა და დაბადების დღეებს გვიხდიდა, ხანაც ჩვენი თვალის ჩაპაჭუნებაზე კაცებს აუპატიურებდა და ცხინვალში ომს იწყებდა, ხანაც ქართველ ბიზნესმენებზე წართმეულ ქონებებს გვჩუქნიდა და თავს გვევლებოდა!**

ეს უზნეო ადამიანები, რომლებიც ქართველმა საზოგადოებამ ვერაფრით მოიშორა, ძალიან ჰგვანან დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვლის" ერთ-ერთ პერსონაჟს — **ადვოკატ პორფირ ბიაშვილს.** მართლაც, **ანა ფოტიგას, დევიდ კრამერის, იან კელისა** და სხვა მისთანათა მსგავსად, ადვოკატ პორფირ ბიაშვილის უმთავრესი ხელობაც სოფლებისა და ხალხის მოღორება, გაყვლეფა, გამოჭმა და მობალახება იყო. ბიაშვილი ერთ სოფელს რომ მოძოვდა და მოინელებდა, მერე მეორეს მიადგებოდა და იმას გამოხრავდა... ასე „სარანჩასავით" გადადიოდა იგი სოფლიდან სოფელზე და ჭამდა და ჭამდა. **ვინ იცის, რამდენი ხალხი, ქვეყანა, პოლიტიკური ლიდერი, ადათი, წესი და თავანკარა ტრადიცია მოინელეს, შეჭამეს და „გააიმასქნეს" ამ გაფუჭებულმა გვამებმა, ვიდრე საქართველოს შემოუჩნდებოდნენ!**




**ანა ფოტიგები, კრამონები, იან კელები და დევიდ კრამერები** საქართველოს შესახებ კონფერენციებს იმიტომ იწვევენ, ასე თავგამოდებით იმიტომ ყმუიან და მოუშორებელ ჭირად იმიტომ გვექცნენ, რომ **ადვოკატ პორფირ ბიაშვილის სტატუსის მოპოვება სურთ,** რათა ეს ქვეყანა ძველებური შემართებით პარსონ, თქვლიფონ და გასკდომამდე გადაჭამონ! მათ ეს სტატუსი სააკაშვილმა მისცა, მაგრამ 2012 წლის 1 ოქტომბრის ისტორიული გამარჯვების შემდეგ, როცა ქართველმა ერმა სააკაშვილის ხროვა პოლიტიკურ მოუსავლეთში გაისტუმრა, **კოლექტიურმა იან კელებმა და ანა ფოტიგებმა** ეს პრივილეგიები და სტატუსი დაკარგეს. ამიტომაა, რომ ასე გაგიჟებული იბრძვიან სააკაშვილის ციხიდან გამოსაყვანად და ქვეყნიდან გასაყვანად... ისინი იმედს არ კარგავენ, რომ, თუ სააკაშვილს საპატიმროდან დაიხსნიან, მაშინ მათი დრო კიდევ შეიძლება დადგეს!

**ყოველივე ზემოთქმულის ფონზე ძალზე საინტერესოა პარტია „ქართული ოცნების"**




თავის დროზე ცხონებული **ზვიად გამსახურდია** არ შემცდარა და ვისაც კი **„კრემლის აგენტი"** უწოდა, ყველა ნამდვილად აგენტი აღმოჩნდა! იმ ტრაგიკული მოვლენებიდან 30 წლისთავზე, დღეს, არც ირაკლი კობახიძე ცდება და ვინც ივანიშვილის ოლიგარქად გამოცხადებასა და დასანქცირებას ითხოვს, ნამდვილად ომის პარტიის აგენტია!

**მაშინ „კრემლის აგენტებმა" მოახერხეს და ზვიად გამსახურდიას თავისუფალი საქართველო დაღუპეს!**

**იმედი ვიქონიოთ, რომ გლობალური ომის პარტიის აგენტები საქართველოს დაღუპვას ამჯერად ვერ მოახერხებენ და კოლექტიური ანა ფოტიგები, დევიდ კრამერები და იან კელები ჩვენი თვალსაწიერიდან ისევე გაქრებიან, როგორც „კუმისელი მოჩვენება" გაქრა და გაუჩინარდა!**

***დიტო ჩუბინიძე***

---

კვირგვინოსნები

**ზაზა ხაჩიაშვილი**
*ადვოკატთა ასოციაციის ყოფილი თავმჯდომარე*



თუ **სააკაშვილის** ციხეში დარჩენა და მისი პოლიტიკურად განეიტრალება უნდა **ბიძინას,** მაშინ სასწრაფოდ უნდა ჩამოიყვანოს გერმანიიდან **დოქტორი დოტი, რომელიც ეროტიკულ მასაჟებს უკეთებდა მიშას და ამ მასაჟების ანაზღაურებას სააკაშვილი ბიუჯეტიდან უხდიდა.** ეს უნდა დაამტკიცოს. **ამის მერე სააკაშვილს გამარჯობას აღარავინ ეტყვის ევროპელი პოლიტიკოსებიდან.** რატომ არ გააკეთა აქამდე ეს **ივანიშვილმა,** ვერ გამიგია.

„ალია"

**გია აბაშიძე**
*ანალიტიკოსი*



კანონის უზენაესობა შერჩევითად და შერჩევითი სამართალი შეერთებულ შტატებში ჩვეულ მახინჯ მოვლენად იქცა. **ზაზა შათირიშვილი** აბსოლუტურად მართალია მის მორიგ შეფასებებში — **კრიმინალი კეზერაშვილის დაკავება რომ ნდომებოდათ ამერიკელ „პოლიციელ-მორალისტებს", აქამდე დაატუსაღებდნენ!** თუმცა, სადაც **აბრამოვიჩის ფინია,** უკრაინის მმართველი პარტიის საპარლამენტო ფრაქციის ხელმძღვანელი **დავით არახამია** ვენაში ხვდება აშშ-ის მიერ ძებნილ ოლიგარქს **დმიტრო ფირტაშს,** აღარაფერია გასაკვირი.

„POSTV"

**სოსო ციცაძე**
*ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში*



ამერიკელებსაც და ევროპელებსაც უნდათ, **ჩანგალზე ვუავდეთ,** ხან დაგვტუქსავენ, ხან დახმარებას შეგვიწყვეტენ, ხან — პირიქით.

„ალია"

# საქართველოში პირველი ღიად ლგბტ პარტია შეიქმნა!



„მწვანეების“ თავმჯდომარე თამარ ჯაყელი პარტიის დაფუძნების ცერემონიაზე

***როგორც იტყვიან, სრული ბედნიერებისათვის, ეს გვაკლდა და აჰა, აღსრულდა — საქართველოში უკვე პირველი ღიად ლგბტ პარტია შეიქმნა და ის არც მალავს, რომ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობისათვის ემზადება, ლგბტ პირების უფლებებისათვის უკვე ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში რომ იბრძოლოს სადეპუტატო მანდატებით აღჭურვილმა!***

**პირველ ქართულ ლგბტ პარტიას,** რომელიც 27 წლის ასაკის ვინმე **თამარ ჯაყელმა** დააფუძნა, **„მწვანეები“** ეწოდება, ანუ ესენი ლგბტ-ფემინისტური თემატიკის გარდა, ეკოლოგიური პრობლემებით დაინტერესების პრეტენზიასაც აცხადებენ!

**ახალი ეგზოტიკური პარტიის ეგზოტიკურადვე თეატრალიზებული პრეზენტაცია კლუბში „მტკვარზე“ გაიმართა და ახალ პოლიტიკურ ძალას ვიდეოჩართვით ევროპელი მწვანეების წარმომადგენელმა ევროპარლამენტში, ჩვენთვის კარგად ცნობილმა ევროპარლამენტარმა მარკეტა გრეგოროვამაც კი მიმართა!** თუმცა, ეგზოტიკური მარკეტა იქით იყოს და ასეთი უცნაური ცისფერ-მწვანე მოცემულობით, პირველი, ვინც ადამიანს გაგახსენდება — ის ავადსახსენებელი **ნატა ფერაძეა,** ეგრეთ წოდებული პარტიზანი მებაღეების მოძრაობის უსტაბაში რომ არის და თან, წლებია, თბილისში ლგბტ პრაიდების ჩატარებას უშედეგოდ რომ ცდილობს!

ესე იგი, ეს ახალგაზრდა „ლგბტშნიკები“, უბრალოდ, ქორფა ნატა ფერაძეები არიან და არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ ძალიან მალე გამონახავენ ერთმანეთის ყლორტების შეჯვარების გზას — ფესვები ხომ საერთო აქვთ!

**ჰოდა, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის, დიდი ალბათობით, ნატა ფერაძეც მოგვევლინება ამ ლგბტ მწვანე პარტიის საპარლამენტო სიაში და დეპუტატობისთვისაც გამართავს თავგანწირულ ბრძოლას თავისი ცნობილი საფირმო ხეზე აძრომებითა და იქიდან შუა თითის აუცილებელი ჩვენებით და ზედ კიდევ დედ-მამის საფლავის გინებით!** მაგრამ ამ ამბავში ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ პირველი ქართული ცისფერ-მწვანე პარტიის დაფუძნებითა და პოლიტიკურ ველზე ხასხასა მწვანე სარეველა ბალახივით ამობიბინებით, კონკურენტი უჩნდებათ ეგრეთ წოდებული ნაცოპოზიციური კლასტერის პარტიებს!

## ტ...აკშეიდერები მოდიან!



ნატა ფერაძემ პოლიტიკურ ინკუბატორში პატარა ნატა ფერაძეებით იბარტყა!



პარტიულ-თეატრალიზებული წარმოდგენა კლუბში „მტკვარზე“



თბილისში შექმნილ ლგბტ პარტიას ევრო-პარლამენტარი მარკეტა გრეგოროვა მიესალმა

## ნაც-ოპოზიციას ლგბტ ფრონტზე კონკურენტები გამოუჩნდა!

დიახ, ბატონო, არაფერსაც არ ვაჭარბებ: **ნაცმოძრაობიდან დაწყებული, ყაჩაღ-ბანკირი ხაზარაძის „ლელოთი“ გაგრძელებული და უკანასკნელი „გირჩით“ და „ნაგირჩალით“ დასრულებული, ყველანი განსაკუთრებული თრთოლვით ეტრფოდნენ ამ ლგბტ თემატიკას და მათთვის ერთგვარ ღირსების საქმედაც კი მიიჩნეოდა ამ ჩაფლავებული გეი-პარადების ღია მხარდაჭერა!**

ის კი არა, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ მთელი ეს ნაც-ლელო-გირჩობა შეიკრიბა და საზეიმო ვითარებაში ლგბტ პრაიდის ორგანიზატორებთან ერთად ხელი მოაწერეს **ლგბტ სოლიდარობის აქტს** — ჩვენ ერთნი ვართ და ერთად ვიბრძოლებთ რუსთაველის გამზირზე საქართველოში პირველი, კოლგოტიანი კაცების სადღესასწაულო მსვლელობის მოსაწყობადო!

**ჰოდა, ახლა, როდესაც საქართველოში უკვე ოფიციალურად დაფუძნდა პირველი მწვანე-ცისფერი პოლიტიკური პარტია, მთელი ეს ლგბტ სექტის წარმომადგენელთა თუ მხარდამჭერთა ხმები სწორედ ამ ლგბტ პროფილური პარტიისკენ წარიმართება და არა ნაცებისაკენ თუ ხაზარაძისაკენ!**

### მოკლედ, ნაცოპოზიციურ პარტიებს ერთადერთი გამოსავალიღა დარჩათ ამ გაზრდილი კონკურენციის პირობებში: სააკაშვილის ნაცპარტიაში, ხაზარაძის „ლელოსა“ თუ ზურაბ-გირჩი ჯაფარიძის საგირჩეთში რაც შეიძლება სწრაფად და რაც შეიძლება მეტი ღია ლესბოსელი, გეი თუ ტრანსგენდერი გაანევრიანონ და „პარტიის სახეებადაც“ გაიხადონ!

როგორც იმ ცნობილ ქართულ ფილმშია, ვაჟა ზაზაევიჩი რომ ამოიოხრებს — **აბა, ერთი-ორი კარგი მარკშეიდერი აქამდე როგორ არ უნდა გვყოლოდა დაწესებულებაშიო,** ნაცსექტა-ლელო-გირჩებშიც უკვე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახდა **ერთი-ორი კარგი მარკშეიდერ-ტ...აკშეიდერი!**

თორემ ეს „მწვანეები“ მთელ სალეს-ბოსელეთსა და საგეეთს მიიმხრობენ და ეგ არის!

***გიორგი გიგაური***

## კვირგვინოსნები

**ნანა კაკაბაძე**
*„ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე*



ქვეყანაში, რომელშიც **ეკლესიას 87-პროცენტიანი ნდობა აქვს,** მორწმუნეებს ბნელებს ეძახიან, ლგბტ და გეი-პარადების მომწყობებს — „პრადვინუტებს“, **ყოველივე სისაძაგლეს მისაბაძად და დასავლური ცხოვრების წესად წარმოაჩენენ!**

„იმედინიუსი“

**ხათუნა სამნიძე**
*რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე*



ამ ქვეყანაში **საპატრიარქო არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბოროტება და რუსეთის გაგრძელება,** რომელიც ცდილობს, საზოგადოებაში დათესოს ღვარძლი, ზიზღი, სიძულვილი და განახორციელოს კიდეც ძალადობა.

„იმედინიუსი“

**გიორგი ფუფხაძე**
*ჟურნალისტი*



სექსუალური აღზრდა კი არა, **ჩვენს შვილებს ქალებისადმი პატივისცემა, მოკრძალება და ქალის სიყვარული ვასწავლოთ.** ეს იქნება ყველაზე საუკეთესო გამოსავალი.

„ალია“

**ზურაბ ქადაგიძე**
*ანალიტიკოსი*



პატივცემულო ლობისტებო! **ის პოლიტიკური ნაგავი, რაც თქვენი თაოსნობით 2004-2012 წლებში დაგროვდა,** კარგა ხანია, გავიტანეთ და თავიდან ველარ შემოგვასაღებთ.

„იმედინიუსი“

**ხათუნა ხოფერია**
*ყოფილი პარლამენტარი*



რადიკალური ოპოზიციის დროშა ხელში აიღო **ამერიკის ელჩმა** საქართველოში! **ევროპარლამენტის წევრები** არიან რადიკალური ოპოზიციის მედროშეები!

„TV იმედი“

№40 (164) ★ 2022 წლის 5 დეკემბერი ★ გამოდის 2003 წლიდან

**ამ დღეებში ოდესის ქალაქის საკრებულომ ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით მხარი დაუჭირა ქალაქის ცენტრიდან მისი დამაარსებლის, რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე მეორის ძეგლის დემონტაჟს. ოდესიდან ასევე დაგეგმილია გენერალისიმუს ალექსანდრე სუვოროვის ძეგლის გატანაც.**



**როგორც უკრაინელებმა გააძევეს ეკატერინე დიდი ოდესიდან, სწორედ ისე აკრძალეს და განდევნეს ხრუშჩოვმა და მისმა პოლიტიკურმა მემკვიდრეებმა სტალინი წითელი მოედნიდან, სტალინგრადიდან, საბჭოთა კავშირის ისტორიიდან, ცხოვრების წესიდან და ადამიანების გონებიდანაც კი!**



ისტორიის გაყალბების მცდელობა

# ეკატერინე მეორის დამხობა

უმკაცრესმა პოლიტიკურმა კონიუნქტურამ და რუსეთ-უკრაინის ომმა არამხოლოდ მსოფლიო შეძრა, არამედ საუკუნოვანი ძეგლებიც აამოძრავა.

**ოდესაში ეკატერინე მეორის ძეგლი 1894 წელს, ქალაქის დაარსების 100 წლისთავზე, აღიმართა, რომელიც 1920 წელს კომუნისტებმა იავარქმნეს, მაგრამ 2007 წელს ძეგლი ისევ აღადგინეს.**

1794 წელს, როცა ეკატერინე დიდი ოდესას — თვალუწვდენელი რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ უდიდეს საპორტო ქალაქს — აშენებდა, იმავდროულად თბილისის მოსაოხრებლად აღა-მაჰმად-ხანთან კუდი კუდზე ჰქონდა გადასკვნილი და ქართველებს უბინძურეს პოლიტიკურ ბანქოს გვეთამაშებოდა. **ვერაგი და აღვირახსნილი გენერალი ტოტლებენი, რომელმაც ერეკლე მეფე 1770 წლის აპრილში ასპინძის ბრძოლაში მიატოვა, სწორედ მისი გამომგზავნის — ეკატერინე მეორის ფარული ინსტრუქციებით მოქმედებდა და მიზნად ერეკლეს დამხობას ისახავდა.** რომ არა ერეკლეს სიმარჯვე და ქართველი ხალხის თავდადება, ეკატერინე და ტოტლებენი თავიანთ მიზანს ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში მიაღწევდნენ და საქართველოს თავისუფლებას იმაზე 30 წლით ადრე მოსპობდნენ, ვიდრე ეს 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით იმპერატორმა **ალექსანდრე პირველმა** შეძლო.

**როცა რუსეთმა ხერხემალზე წიხლი დაგვაჭირა და ოკუპირებულ აფხაზეთში მე-11 საუკუნის ილორის ქართულ ტაძარს ხახვისთავა რუსული გუმბათი დაადგა, ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე, რომ ეს სისაძაგლე და ისტორიის გაყალბების ამორალური მცდელობა კრემლს უკან შემოუტრიალდებოდა და ეკატერინე მეორის მონუმენტს ოდესიდან სამარცხვინოდ გააძევებდნენ!**

ეს უკვე მოხდა, რაც უტყუარი ნიშანია იმისა, რომ უსამართლობა უპასუხოდ არ რჩება! **ღვთაებრივი სამართლის ზანზალაკები უკიდურეს სიყრუესა და წკვარამშიც წკრიალებენ!**

როგორც უკრაინელებმა გააძევეს **ეკატერინე დიდი** ოდესიდან, სწორედ ისე აკრძალეს და განდევნეს **ხრუშჩოვმა და მისმა პოლიტიკურმა მემკვიდრეებმა** სტალინი წითელი მოედნიდან, სტალინგრადიდან, საბჭოთა კავშირის ისტორიიდან, ცხოვრების წესიდან და ადამიანების გონებიდანაც კი, მაგრამ ფაშიზმის დამსამარებელი და კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი ომის მომგები ბელადი ხალხის გულიდან ვერ ამოიღეს.

**როგორც რუსმა შოვინისტებმა აგვიმხედრეს აფსუები და აფხაზეთში ჩვენი სისხლი დალიეს, ზუსტად იმავე პრინციპით ევროპამ საუკუნეზე მეტხანს მიზანმიმართულად იმუშავა იმაზე, რათა უკრაინასა და რუსეთს შორის სოლის ფუნქცია შეესრულებინა.** გერმანიის ცნობილი კანცლერი და უდიდესი დიპლომატი **ოტო ფონ ბისმარკი,** რომელმაც კაიზერ **ვილჰელმ პირველის** დროშის ქვეშ 1871 წლის 18 იანვარს ვერსალის სარკეებიან დარბაზში გერმანიის გაერთიანებული იმპერია გამოაცხადა, ამბობდა:

> ***„რუსეთის სიძლიერე შეიძლება მხოლოდ მისგან უკრაინის გამოყოფამ შეარყიოს. აუცილებელია, უკრაინა რუსეთს არამხოლოდ მოვწყვიტოთ, არამედ დავუპირისპიროთ კიდეც, ერთი ხალხის ორი ნაწილი ერთმანეთს გადავკიდოთ და ვუყუროთ, როგორ კლავს ძმა ძმას. ამისათვის საჭიროა მხოლოდ ნაციონალურ ელიტაში მოღალატეების პოვნა და გამოზრდა, და მათი დახმარებით დიადი ხალხის ერთი ნაწილის თვითშეგნების იმგვარად შეცვლა, რომ ის შეიძულებს ყოველივე რუსულს, შეიძულებს საკუთარ ჯიშს და ვერც გააცნობიერებს ამას. ყველაფერი დანარჩენი დროის საკითხია!“***

რა საოცარი სიზუსტით ჰგავს ეს წყეული ინსტრუქცია საბჭოთა კავშირის ცეკას მდივნის, თვალუწვდენელი წითელი იმპერიის მთავარი იდეოლოგის, **სულაძაღლებული მიხეილ სუსლოვის** მიერ 1961 წელს გამოცემულ ფარულ განკარგულებას, რომლის თანახმადაც:

> ***„დღეს თუ არა ხვალ ქართველები თავისუფლებისთვის ბრძოლას დაიწყებენ კომუნიზმის წინააღმდეგ. ქართველებთან ბრძოლა აფხაზეთიდან უნდა დაიწყოს. სამეგრელოსა და სვანეთს ავტონომია უნდა მიეცეს. მათში ცალ-ცალკე უნდა გაღვივდეს ეროვნულ-ნაციონალური გრძნობები. საჭიროა ყველას დარწმუნება, რომ ქართველები ჩასახლებული არიან აფხაზეთში. აღმოსავლეთ საქართველო უნდა დაუპირისპირდეს დასავლეთ საქართველოს. ამის შემდეგ უნდა შესრულდეს შუამავლის როლი“.***

როგორც ვხედავთ, ყოველ დროსა და ეპოქაში მსოფლიოს ნებისმიერ იმპერიას, რუსული იქნება, ამერიკული თუ გერმანული, სისხლის მყრალი სუნი ასდის და უკრაინელებისა და ქართველების ბედი არავის ადარდებს.

**ეკატერინე მეორე ერთადერთი გერმანელია, რომელმაც ქართველ პეტრე პირველთან და ქართველ სტალინთან** ერთად რუსეთის განსადიდებლად ყველაფერი გააკეთა. იმპერატრიცამ, რომლის გარყვნილების მასშტაბებიც ვერავინ გაზომა, რუსული ხეირიანად ვერ ისწავლა, მაგრამ ყველა რუს ხელმწიფეზე უფრო დიდი რუსული საქმეების გადაწყვეტა იტვირთა.

**რუსეთის მმართველი დღევანდელი პოლიტიკური გვამებისგან განსხვავებით, რომლებიც უკრაინაში რუსეთს ებრძვიან, ეკატერინეს ეყო ჭკუა და შორსმჭვრეტელობა, მართლმადიდებლობის დროშით საქართველო, რუსეთი და ბალკანეთის ხალხები საერთო მიზნისთვის დაერაზმა და 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთისა და 1787-1791 წლების რუსეთ-ირანის ომებში ბრწყინვალე გამარჯვება მოეპოვებინა.**

**ეკატერინე მეორე** დიდი ხელმწიფე იყო და დიდი გეგმები ჰქონდა. ის აპირებდა კონსტანტინოპოლის აღებას, თურქეთის იმპერიის განადგურებას და ბიზანტიის იმპერიის აღდგენას. დიდი ბრიტანეთის მძაფრი წინააღმდეგობის მიუხედავად, იზამდა კიდეც ამას, მაგრამ აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აოხრებიდან ერთი წლისთავზე, 1796 წელს, წავიდა და ჩვენი ცოდვაც წაიღო!

**როცა ილორის მონასტერს ქართული გუმბათი მოხსნეს და რუსული ხახვისთავა გუმბათი დაადგეს, ამით საქართველო დაამცირეს! რუსეთიც დამცირებულია, რადგან ოდესის დამაარსებელ დიდ იმპერატრიცას ოდესიდან აგდებენ!**

*დიტო ჩუბინიძე*



**ოტო ფონ ბისმარკი:**

**რუსეთის სიძლიერე შეიძლება მხოლოდ მისგან უკრაინის გამოყოფამ შეარყიოს. აუცილებელია, უკრაინა რუსეთს არამხოლოდ მოვწყვიტოთ, არამედ დავუპირისპიროთ კიდეც, ერთი ხალხის ორი ნაწილი ერთმანეთს გადავკიდოთ და ვუყუროთ, როგორ კლავს ძმა ძმას!**

## 5 დეკემბერი სტალინური კონსტიტუციის დღეა!

ისტორიკოსის თვალით ★

# სვიმონ მასხარაშვილი: დღევანდელი ჩინეთი სტალინისტურია!



***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი ჩინური კომუნიზმის, ანუ სინამდვილეში სტალინიზმის არსს მიმოიხილავს და აცხადებს — ბელადი რომ არ დაემხოთ და ქვეყნის კურსი არ შეეცვალათ, დღეს საბჭოთა კავშირს მსოფლიოზე იმაზე ბევრად დიდი გავლენა ექნებოდა, ვიდრე ჩინეთს, ხოლო ჩინეთი და საბჭოთა კავშირი თავიანთი უძლავრესი ეკონომიკებით შექმნიდნენ ისეთ ალიანსს, რომელსაც ვერავითარი ძალა კონკურენციას ვერ გაუწევდა და დედამიწაზე სამუდამო მშვიდობა გამეფდებოდა:***

— სტალინს თავისი ნაშრომების გამოცემა 16 ტომად ჰქონდა დაგეგმილი. ბელადის თხზულებათა პირველი ტომი გამოიცა 1946 წელს, ხოლო უკანასკნელი, მე-13 ტომი — 1951 წელს. სტალინის მკვლელობის შემდეგ მის ნაშრომებს ტაბუ დაედო და ნიკიტა ხრუშჩოვმა, ფაქტობრივად, აკრძალა მისი სახელის ხსენება. ასე რომ, ვიდრე გორბაჩოვის „პერესტროიკა“ და „გლასნოსტი“ არ დაიწყო, მანამდე სტალინის ნაშრომების გამოცემაზე ოცნებაც კი შეუძლებელი იყო. მოკლედ, მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე, რუსეთში სულ გამოსულია სტალინის 18 ტომი — მე-14, მე-15, მე-16, მე-17 და მე-18 ტომები წინა ცამეტ ტომს სტალინის რედაქტირების გარეშე დაუმატეს. არადა, სტალინს სულ სხვა გეგმები ჰქონდა...

**— ბატონო სვიმონ, რატომ ვერ შეძლო სტალინმა თავისი თხზულებების სრული კრებულის გამოცემა და ვინ ან რამ შეუშალა მას ამაში ხელი?**

— დავიწყოთ იმით, რომ სტალინმა თავი დაიზღვია და პირველივე ტომში მოათავსა ყველა დანარჩენი ტომის აღწერილობა, ანუ რომელ ტომში რაზე იქნებოდა ლაპარაკი! მაგალითად, მე-14 ტომში, რომლის გამოცემასაც სტალინი ვერ მოესწრო, უნდა შესულიყო მასალები 1934-1940 წლების ამბებზე; აქ საუბარი იქნებოდა 30-იანი წლების რეპრესიებზე, მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტზე და ყველა იმ მოვლენაზე, რომელიც სტალინის პერსონას, გვინდა-არ გვინდა, მაინც შავ ლაქად გასდევს. საერთოდ, სტალინი შეფასებებში ყოველთვის პატიოსანი იყო. მაგალითად, **მუსოლინის** მოღვაწეობას 30-იან წლებში ბელადმა მაღალი შეფასება მისცა და თქვა, რომ იტალიელი ხალხის დუჩე, ვისაც რა უნდა ეთქვა მასზე, მსოფლიო ისტორიაში დარჩებოდა. ეს შეფასება მან მეორე მსოფლიო ომის შემდეგაც გაიმეორა. მე-15 ტომი უნდა ყოფილიყო ერთგვარი სპეცტომი, რომელშიც შევიდოდა სტალინის მიერ დაწერილი მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის მოკლე ისტორია. მოგეხსენებათ, თანამედროვე ჩინეთში, რომელიც გიგანტური ნაბიჯებით მიიწევს წინ, არც ლენინიზმია, არც — კომუნიზმი და არც — მარქსიზმი. **დღევანდელი ჩინეთის წარმატების ფორმულა მდგომარეობს სტალინიზმში, რომელიც ამ უზარმაზარ ქვეყანაში გაბატონებული იდეოლოგია და ცხოვრების წესია.** ბელადის მე-16 ტომში უნდა შესულიყო მასალები მეორე მსოფლიო ომში სტალინის როლის შესახებ. რაც შეეხება იმას, თუ რატომ ვერ მოესწრო სტალინი დაგეგმილი თექვსმეტი ტომის გამოცემას, მოგეხსენებათ, 1946-1951 წლებში მან სამი ინსულტი გადაიტანა. 1952 წლის მიწურულს კარგად გახდა და მაშინვე დაიწყო ზღვა მასალის რედაქტირება, მაგრამ 1953 წლის გაზაფხულზე ბელადი, დიდი ალბათობით, შეთქმულებმა სიცოცხლეს გამოასალმეს და მოკლეს... აი, ამიტომ ვერ გამოვიდა ბელადის მე-14 ტომი, რომელსაც დანარჩენ ტომებთან ერთად ხრუშჩოვმა ტაბუ დაადო და აკრძალა. ცნობისათვის, სტალინის მე-14, მე-15 და მე-16 ტომებისთვის განკუთვნილი მასალები დღემდე ინახება მოსკოვის მარქსიზმ-ლენინიზმის სახელობის ინსტიტუტში, რომელსაც „გრიფით საიდუმლო“ ადევს... კრემლი ამ მასალებთან ისეთ აღიარებულ და პატრიოტული განწყობის რუს ისტორიკოსებსაც კი არ უშვებს, როგორებიც გახლავან ჟუკოვი და სპიცინი...

**— მაინც რა შეიძლება ეწეროს იმ დოკუმენტებში, რომელსაც რუსეთის ხელისუფლება არავის აკარებს?**

— იმ დოკუმენტებითა და მასალებით სტალინი ძალიან ბევრ რამეში მართლდება! აქედან გამომდინარე, რაც ხრუშჩოვმა 1956 წლის 25 თებერვალს ჩაიდინა, როცა სტალინი დაუმსახურებლად განაქიქა, იყო ღალატი. რომ არა ხრუშჩოვი, **გორბაჩოვი** ხელისუფლებაში ვერ მოვიდოდა! აქედან გამომდინარე, ხელისუფლებაში ვერ მოვიდოდა ვერც **პუტინი.** პუტინი ხრუშჩოვის მემკვიდრეა და არა სტალინის — ამიტომაც არ ახსენებს ბელადს.

**სტალინი რომ არ დაემხოთ და ქვეყნის კურსი არ შეეცვალათ, დღეს საბჭოთა კავშირს მსოფლიოზე იმაზე ბევრად დიდი გავლენა ექნებოდა, ვიდრე ჩინეთს, ხოლო ჩინეთი და საბჭოთა კავშირი თავიანთი უძლავრესი ეკონომიკებით შექმნიდნენ ისეთ ალიანსს, რომელსაც ვერავითარი ძალა კონკურენციას ვერ გაუწევდა და დედამიწაზე სამუდამო მშვიდობა გამეფდებოდა.**

უფრო მეტიც, რომ არა სტალინის დამხობა და ხრუშჩოვის მოსვლა, ამერიკის პრეზიდენტი ვერც ბაიდენი გახდებოდა და არც უკრაინაში გაჩაღდებოდა ომი!

**— თუ ეს დოკუმენტები დაპატიმრებულია, მაშ, საბჭოთა კავშირის დანგრევის ფონზე და შემდეგ გამოცემულ სტალინის მე-14, მე-15, მე-16, მე-17 და მე-18 ტომებში რა მასალები შეიტანეს?**

— 60-იან წლებში ამერიკელებმა შეკრიბეს უცხოურ პრესაში გამოქვეყნებული სტალინის ინტერვიუები, მისი მიმოწერა ჩერჩილთან და რუზველტთან, მოახდინეს ამ ყველაფრის კომპილაცია და ძალიან ზედაპირულად გამოსცეს ეს ტომები... საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ უკვე რუსებმა აიღეს ამერიკული გამოცემა, რაღაც-რაღაცები, მაგალითად, სტალინისა და დედამისის მიმოწერა მე-14 ტომში ჩაამატეს, რაც ამერიკელებს გამოყენებული არ ჰქონდათ და ბელადის თხზულებები ამ ფორმით გამოსცეს. მთელ ამ ისტორიაში მთავარია ერთი რამ — **ყველა მტკივნეულ კითხვაზე, რომელიც შეეხება 30-იანი წლების რეპრესიებს, ფინეთთან ომს, მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტს, მეორე მსოფლიო ომის მსვლელობას, სტალინს პასუხი გაცემული აქვს, მაგრამ მსოფლიოში დღეს მხოლოდ ბელადის განმაქიქებლების ხმა ისმის, ხოლო სტალინის ნააზრევს „გრიფით საიდუმლო“ ადევს!** ანუ იმ ძალას, რომელიც სტალინის მკვლელობის შემდეგ პოლიტიკური პროცესების სათავეში მოექცა, არ აწყობს, მსოფლიომ გაიგოს ბელადის სიმართლე!

1964 წელს, სანამ ხრუშჩოვს გადააყენებდნენ, მაო ძედუნმა გააკეთა ძალიან მნიშვნელოვანი განცხადება და თქვა, რომ საბჭოთა კავშირმა გადაუხვია კომუნისტურ კურსს და გახდა კაპიტალისტური სამყაროს ნაწილი. მაო ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ 1956 წლის 25 თებერვლის გამოსვლა, როცა ხრუშჩოვმა სტალინი აბსოლუტურად დაუმსახურებლად განაქიქა, დაანგრევდა არამარტო საბჭოთა კავშირს, არამედ ეს იყო უდიდესი დარტყმა ჩინეთისა და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობისთვის, რომლის აღიარებული ლიდერიც სწორედ სტალინი იყო. მაო ძედუნი მიიჩნევდა, რომ ხრუშჩოვის ზემოხსენებული პროვოკაციული და ცილისმწამებლური გამოსვლა იყო ნამდვილი კაპიტულაცია და გარიგება მსოფლიო ლიბერალურ-დემოკრატიულ მაფიასთან.

**— როგორც მოკავშირე, მაო ძედუნი საბჭოთა კავშირისგან ბირთვული ბომბის საიდუმლოსა და მოწინავე საბჭოთა რაკეტების მშენებლობის ტექნოლოგიების გაზიარებას ითხოვდა!**

— დიახ, ასე იყო და საბჭოთა კავშირი ჩინეთს ამაზე უარს არც ეუბნებოდა, მაგრამ 1956 წლის 25 თებერვლის ხრუშჩოვის გამოსვლამ და სტალინის ლანძღვამ სიტუაცია რადიკალურად შეცვალა. **ხრუშჩოვმა** და მისმა სულიერმა მოძღვარმა **ოტო კუუსინენმა** მოახერხეს ის, რაზეც **ადოლფ ჰიტლერი** მხოლოდ ოცნებობდა — **მსოფლიო კომუნისტური მოძრაობა მიწასთან გაასწორეს! მათ მოჭრეს ის ტოტი, რომელზეც სტალინის მიერ დაფუძნებული სახელმწიფო იდგა და საზოგადოებაში, ხალხებში გაამეფეს საყოველთაო ნიჰილიზმი და უნდობლობა.**




ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქმედი პრეზიდენტი და კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი სი ძინპინი

**„ყველა მტკივნეულ კითხვაზე, რომელიც შეეხება 30-იანი წლების რეპრესიებს, ფინეთთან ომს, მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტს, მეორე მსოფლიო ომის მსვლელობას, სტალინს პასუხი გაცემული აქვს, მაგრამ მსოფლიოში დღეს მხოლოდ ბელადის განმაქიქებლების ხმა ისმის!“**



# „ვერაგმა, მაგრამ სულელმა ხრუშჩოვმა იმისათვის, რომ ანტისტალინურ კამპანიაში მაო ძედუნიც ჩაერთო, ჩინეთს წინასწარ ქრთამი გადაუხადა!“

სტალინის მკვლელობის შემდეგ საბჭოთა კავშირს არც — რკინა აკლდა, არც — პური, არც — ხორცი, არც — მზე და არც — წყალი, მაგრამ მას აკლდა ყველაზე მთავარი — **რწმენა და ნდობა!** ბელადის თხზულებათა ის სამი ტომი ზუსტად იმ გეგმით რომ გამოქვეყნებულიყო, როგორც ეს მას სურდა, მაშინ ხრუშჩოვსა და კუუსინენს არავითარი შანსი არ რჩებოდათ, 1956 წლის 25 თებერვალს ის უბედურება ჩაედინათ, რაც ჩაიდინეს! უბედურება ის გახლავთ, რომ მე-20 ყრილობაზე ხრუშჩოვის იმ ამაზრზენ გამოსვლას გასუსული უსმენდნენ და ხმას არ იღებდნენ სტალინის მიერ გამოზრდილი პარტმუშაკები, გენერლები და მარშლები. რაც უფრო ბინძური იყო ხრუშჩოვის „ბრალდებები“ სტალინისადმი, მით უფრო მძიმე დარტყმა ადგებოდა მსოფლიო კომუნისტურ სისტემას. მაგალითად, ხრუშჩოვის მიერ გასროლილი ცნობილი ფრაზა — „სტალინმა რუკის წაკითხვა არ იცოდა და სამხედრო ოპერაციებს გლობუსით გეგმავდა!“ — მთელი მსოფლიოს დასაცინი გახდა.

**— მაინც რაში მდგომარეობს სტალინური სისტემის არსი?**

— სტალინმა შექმნა მსოფლიო წესრიგის ახალი მოდელი, სადაც თვითმყოფადი ერების ეროვნული ინტერესები და რელიგიები დაცული იყო, ხოლო გეგმური ეკონომიკა სრულ ჰარმონიაში გახლდათ საბაზრო ეკონომიკასთან. **სტალინის მოძღვრება დაცლილი იყო მარქსის, ლენინისა და ტროცკის ბოდვითი და აგრესიული იდეებისაგან. აი, ეს მექანიზმები და იდეები სრულად გაიზიარა და შეისისხლხორცა დენ სია-ოპინის ჩინეთმა, რომელიც დღეს მსოფლიოში ყველაზე სწრაფად განვითარებადი ქვეყანაა.** დღევანდელი ჩინეთი კომუნისტური კი არა, სტალინისტურია! ჩინეთმა სადღაც შვეიცარიაში გადაკარგული ჩუჩელის — ლენინის კი არა, სტალინის იდეები აღიარა, რომელიც ფაშიზმზე გამარჯვების შარავანდედით ბრწყინავდა. დიახ, ჩინეთმა აიტაცა გამარჯვებული კაცის იდეები. მართლაც, 1945 წელს სტალინმა განა მთელ მსოფლიოს არ დაუმტკიცა, რომ ის ფაშიზმის დამსამარებელი იყო?

**—1950 წლის მიწურულს, როცა მაო ძედუნი მოსკოვში დიდი ხნით ჩამოვიდა, საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის რა სტრატეგიულ შეთანხმებას მოეწერა ხელი?**

— სტალინმა მაშინ ჩინეთს დაუთმო ხარბინზე გამავალი რკინიგზის ხაზი, რომლის ერთი ნაწილიც ჩინეთზე გადიოდა. ნიკოლოზ მეორემ ამ მიზნით ჩინეთისგან იჯარით აიღო რკინიგზის ხაზისთვის საჭირო ტერიტორია, მაგრამ სტალინმა პორტ-არტურში დაიტოვა საბჭოთა სამხედრო ბაზა, რომელიც იაპონელებს წაართვა. ამავდროულად, ბელადმა ჩინეთში არსებულ ერთობლივ საწარმოებში საბჭოთა კავშირს შეუნარჩუნა თავისი წილი. სტალინის მკვლელობის შემდეგ, 1954 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, ბელადის მკვლელები სასწრაფოდ გაქანდნენ და მაო ძედუნს ყველაფერი აჩუქეს! კერძოდ, პორტ-არტური უსასყიდლოდ გადასცეს ჩინეთს, ჩინურ ეკონომიკაში უარი თქვეს ყველა სახის წილზე, სინ-ძიანის საბადოებსა და ყველა სხვა საბადოში დათმეს წილები და, რაც ყველაზე მთავარია, მაო ძედუნს გადასცეს ჩინეთის ტერიტორიაზე მოქმედი საბჭოთა აგენტების სრული ნუსხა, რითიც ეს ხალხი სასიკვდილოდ გაწირეს.

**— გამოდის, რომ სწორედ ამის შემდეგ გააკეთა ხრუშჩოვმა განცხადება „პიროვნების კულტის შესახებ“...**

— დიახ, ვერაგმა, მაგრამ სულელმა ხრუშჩოვმა იმისათვის, რომ ანტისტალინურ კამპანიაში მაო ძედუნიც ჩაერთო, ჩინეთს წინასწარ ქრთამი გადაუხადა. მართალია, მაო ძედუნმა ხრუშჩოვს უფრო მეტი მოსთხოვა, ვიდრე მისგან უსასყიდლოდ მიიღო, მაგრამ ჩინეთს არასოდეს თვალი არ დაუხუჭავს 1956 წლის 25 თებერვლის ინციდენტზე და საბჭოთა ხელისუფლებას სულ ახსენებდა, რომ ის, რაც ხრუშჩოვმა მე-20 ყრილობაზე ჩაიდინა, დაუშვებელი იყო!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

***5 დეკემბერს 115 წელი სრულდება სტალინის პირველი მეუღლის ეკატერინე (კატო) სვანიძის გარდაცვალებიდან. შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის ერთ-ერთი განყოფილების უფროსმა ვანო ჯახუამ გასულ ზაფხულს მიაკვლია და საკუთარ ფეისბუქგვერდზე გამოაქვეყნა საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო არქივში დაცული, 1906 წლის 16 ივლისს შედგენილი ეკატერინე სვანიძისა და სტალინის ქორწინების მოწმობა.***

# 115 წლის წინათ სტალინის პირველი მეუღლე ეკატერინე სვანიძე გარდაიცვალა

ამ დოკუმენტის მიხედვით, **იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილმა** თბილისის მთაწმინდის მამა დავითის ეკლესიაში ჯვარი დაიწერა **ეკატერინე სვანიძეზე.** მისი მეჯვარეები იყვნენ სოფელ კავთისხევის მკვიდრნი **გიორგი ელისაბედაშვილი** — ცნობილი ბოლშევიკ-რევოლუციონერი, საქართველოს საგანგებო კომისიის (ЧК) პირველი თავმჯდომარე, შემდგომში საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარი (მინისტრი) და **დავით მონასელიძე** — დეკანოზ მათე მონასელიძის შვილი.

ეკატერინე სვანიძის მეჯვარეები კი იყვნენ ასევე ცნობილი ბოლშევიკ-რევოლუციონერები — **მიხეილ ნიკოლოზის ძე დავიდოვი და მიხეილ (მიხა) გრიგოლის ძე ცხაკაია.** ჯვრისწერის საიდუმლო აღუსრულებია მღვდელ **ნესტორ მაჭარაშვილს** მღვდელ **ქრისტესია (ქიტა) თხინვალელთან** ერთად. ქორწინების ეს მოწმობა დაცულია საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო არქივში **თბილისის მთაწმინდის მამა დავითის ეკლესიის 1906 წლის მეტრიკული ჩანაწერების წიგნში.**

ქორწინებიდან ერთი წლის შემდეგ **ეკატერინე სვანიძე** 22 წლის ასაკში გარდაიცვალა, ის დაკრძალულია კუკიის სასაფლაოზე დის — **ალექსანდრა სვანიძისა** და სიძის — **მიხეილ მონასელიძის** გვერდით. თბილისში დღესაც არსებობს ის სახლი, სადაც სტალინი თავის ახალგაზრდა მეუღლესთან და შვილთან ერთად ცხოვრობდა. ეს არის პატარა ქუჩა სოლოლაკში — **სულხან-საბას №3,** რომლის მეორე სართულიც სვანიძეების ოჯახს ეკავა და სადაც სტალინის მეუღლეს თავის დებთან — **ალექსანდრასა და მარიამთან** ერთად სამკერვალო — მადამ ჰარვი ჰქონდათ გახსნილი. აქ კაბებს იკერავდნენ იმ დროის წარჩინებული თბილისელი ქალბატონები, ამიტომაც ამ ქუჩას ადრე **ფრეილინის-სეფექალების ქუჩა** ერქვა.

ამ სახლის დღევანდელ ერთ-ერთ მაცხოვრებელს **ირენ მერკუშევას** კარგად ახსოვს ბებიის — **ნინა კონსტანტინეს ასული სერებრიაკოვას** მონათხრობი სვანიძეების ატელიესთან დაკავშირებით, რომელთაც დაკავებული ჰქონდათ **ფრეილინის ქუჩის №3** სახლის მთლიანი მეორე სართული. ქუჩის მხარეს გადიოდა ოთხი ფანჯარა. 1956 წლამდე ამ სახლის სადარბაზოსთან აბრა იყო განთავსებული წარწერით, რომ **ამ სახლში 1906-1907 წლებში ახალგაზრდა სტალინი ცხოვრობდა.** მუზეუმის განთავსებაც სდომებიათ, მაგრამ სტალინის კულტად გამოცხადების შემდეგ ეს აბრა ჩამოუხსნიათ.

**სვანიძეების ყოფილი სახლი დღეს რამდენიმე ბინად არის დაყოფილი და სხვადასხვა პირის საკუთრებაა. ამ სახლის გვერდით, №5-ში 1888-1889 წლებში ცხოვრობდა ილია ჭავჭავაძე და აქვე იყო განთავსებული გაზეთ „ივერიის“ რედაქციაც.**

*მოამზადა*

***ქეთევან ხამიცაშვილმა***



ახალგაზრდა იოსებ სტალინი მეუღლის – ეკატერინე სვანიძის კუბოსთან




ეკატერინე სვანიძის საფლავი თბილისში, კუკიის სასაფლაოზე

**სახლებსა და ადამიანებზე ★**




სახლი ფრეილინის – ახლანდელი სულხან-საბას ქუჩაზე, სადაც სტალინი პირველ მეუღლესთან ეკატერინე სვანიძესთან ერთად ცხოვრობდა


მეტრიკული წიგნი წლისა.
ნაწილი მეორე. ქორწინებით შეუღლებულთათვის.
ვინ იყვნენ თავდებნი.
17 Іюля 16
26
24

იოსებ ბესარიონის ძე სტალინის ქორწინების დამადასტურებელი დოკუმენტი

# გიორგი ბეჟირგანის პასუხები მკითხველს ★

## 40-იანი წლების ბოლოს საბჭოთა კავშირსა და სოციალისტურ იუგოსლავიას შორის განხეთქილება მოხდა. რა იყო ამ კონფლიქტის მიზეზი. ნუთუ, როგორც მე-20 ყრილობაზე ხრუშჩოვი ამტკიცებდა, სტალინის ახირებულობა?

1949 წელს იუგოსლავიის ჩამოშორება სოციალისტური ბანაკისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა, რადგან ამ ქვეყანას სათავეში სტალინის უახლოესი თანამებრძოლი — მარშალი **იოსებ ბროზ ტიტო** ედგა, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღოდა ჰიტლერიზმთან ბრძოლაში. ტყუილად როდი უწოდებდნენ იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელ არმიას ომის დროს ევროპის **„მეორე ფრონტს“.** უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ომამდე ტიტო მოსკოვში მუშაობდა, კომინტერნის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო და სტალინის განსაკუთრებული კეთილგანწყობით სარგებლობდა. რაც შეეხება ახირებულობას, ამაზე საუბარიც ზედმეტია. **კონფლიქტი დიდხანს მწიფდებოდა. მისი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ იუგოსლავიის ხელმძღვანელობა ნაბიჯ-ნაბიჯ ცდილობდა თავისი ქვეყნის ე.წ. „სოციალიზმის ახალ მოდელთან“ მიყვანას. საქმე ეხებოდა ეკონომიკაში საბაზრო ურთიერთობებისათვის მეტი თავისუფლების მინიჭებას და პრესისათვის ზოგიერთი შეზღუდვის მოხსნას.** მართალია, ეს ყველაფერი ჯერ მხოლოდ ისახებოდა, მაგრამ სტალინს კარგად ესმოდა, რა შედეგები შეიძლება მოჰყოლოდა **იუგოსლავიურ „სპეციფიკას“.** 60-იანი წლების ჩეხოსლოვაკიის და 80-იანი წლების პოლონეთის მაგალითზე დღეს კარგად ვხედავთ, რომ იგი მართალი იყო. **დრომ უტყუარად დაამტკიცა, რომ სოციალიზმი სტალინის გარეშე ან მის საწინააღმდეგოდ შეუძლებელია.**



იოსებ ბროზ ტიტო და ნიკიტა ხრუშჩოვი

სტალინის მოთმინების ფიალა **ტიტოს** მიერ ბალკანური ფედერაციის იდეის უარყოფამ აავსო. 1947 წელს სტალინმა წამოაყენა წინადადება, შექმნილიყო **იუგოსლავიის, რუმინეთის, ბულგარეთისა და ალბანეთის** გამაერთიანებელი ფედერაცია. რაც, მისი ჩანაფიქრით, აღმოსავლეთ ევროპაში დასავლეთის პოლიტიკას უნდა დაპირისპირებოდა. ტიტო შეეწინააღმდეგა და განაცხადა, რომ ასეთი გაერთიანებისათვის პირობები ჯერ არ მომწიფებულა. თუმცა, სინამდვილეში საქმე ის გახლდათ, რომ ბალკანეთის ლიდერის როლზე პრეტენზია ორ ადამიანს ექნებოდა — თვითონ **ტიტოს** და კომინტერნის ნაცად ხელმძღვანელს, ბულგარეთის ლიდერ **გიორგი დიმიტროვს.** ტიტოს მშვენივრად ესმოდა, რომ ბულგარელს მასზე ბევრად უკეთესი შანსი ჰქონდა.

სტალინის წინადადებით გადაწყდა, საკითხი კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა განსახილველად გამოეტანათ. ტიტომ ძალიან მკვახე ფორმით განაცხადა უარი განხილვაში მონაწილეობაზე. მეტიც, **იუგოსლავიიდან საბჭოთა სამხედროების, ტექნიკური მრჩევლების, დიპლომატების გაძევება და აშშ-სთან ეკონომიკური კონტაქტების დამყარება დაიწყო.** დიპლომატიური ურთიერთობა გაწყდა 1949 წლის ნოემბერში, ბუდაპეშტის სხდომაზე, რომელშიც იუგოსლავიის გარდა „ძმური“ პარტიების ყველა ხელმძღვანელი მონაწილეობდა. **ტიტოს რეჟიმი „ფაშისტურად“ გამოაცხადეს.**

იუგოსლავიასთან ურთიერთობის აღდგენას 1953 წელს ბერია ცდილობდა, რისთვისაც სიკვდილის შემდეგ **„ტიტო-რანკევიჩის ხროვის აგენტად“** იქნა გამოცხადებული. ორი წლის შემდეგ კი ტიტოსთან სალაქუცოდ თავად ხრუშჩოვი ჩავიდა. თუმცა, ამის შემდეგაც საბჭოთა კავშირი იუგოსლავიას ნახევრად კაპიტალისტურ ქვეყნად თვლიდა და კონფლიქტური სიტუაცია ბოლომდე არ ამოწურულა.

**საგულისხმოა, რომ სტალინს, ხრუშჩოვისაგან განსხვავებით, რომელმაც 1956 წელს უნგრეთი ტანკებით გადათელა, არც უფიქრია ურჩ იუგოსლავიაში ჯარის შეყვანა.** იგი სსრკ-ში გამოქცეული გენერალი **პოპივოდას** ხელმძღვანელობით ემიგრანტული იუგოსლავიური მთავრობის ჩამოყალიბებით და ანტიტიტოური პროპაგანდისტული კამპანიის გაძლიერებით შემოიფარგლა, **განცხადებები, თითქოს სტალინი ტიტოს წინააღმდეგ ტერაქტს ამზადებდა, ნაკლებ დამაჯერებელია. თუ ამზადებდა, სამნახევარი წლის განმავლობაში განხორციელებასაც მოახერხებდა.**


ორი იოსები – სტალინი და ტიტო

## ცნობილია, რომ ხრუშჩოვი მარშლობაზე, შემდეგ კი გენერალისიმუსობაზე ოცნებობდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ხოლო ბრეჟნევმა მარშლის კვერთხიც დაისაკუთრა და, კიდევ რამდენიმე წელი რომ ეცოცხლა, გენერალისიმუსობასაც მიანიჭებდნენ. რატომ გაუმართლა ბრეჟნევს და რამ შეუშალა ხელი ხრუშჩოვს?

საბჭოთა კავშირის მარშლობა **ხრუშჩოვს** მართლაც „ცისფერ“ ოცნებად ჰქონდა გადაქცეული. მან ხომ შრომითი საქმიანობა უბრალო მეღორედ დაიწყო. ამ წოდებაში სამარცხვინო არაფერია. ნაპოლეონის ცნობილი მარშალი **მიურატიც** მეჯინიბე გახლდათ. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ **მიურატმა საგმირო საქმეებით გაითქვა სახელი, ხრუშჩოვი კი, რომელიც დიდი სამამულო ომის დროს რამდენიმე არმიისა და ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრი იყო, თავისი შეცდომებითა და დამარცხებებით არის ცნობილი** (საკმარისია მის მიერ ჩაგდებული ხარკოვის ოპერაციის დასახელება). ხელისუფლების სათავეში მოსულმა **მეღორე ხრუშჩოვმა** გადაწყვიტა, რომ მისი დრო დადგა. **გაზეთებში გამოჩნდა გენერლის ფორმაში გამოწყობილი ნიკიტას ფოტოები — ცალკე და ცნობილ მხედართმთავრებთან ერთად.** ხოლო 60-იანი წლების დასაწყისში მისთვის მარშლობის მინიჭების პირველი მცდელობა განხორციელდა, მაგრამ **ხრუშჩოვს** არ გაუმართლა. საქმე ის არის, რომ მაშინ არსებული წესით (რომელიც დღესაც მოქმედებს) ამ მაღალი წოდების მისანიჭებლად მთელი მარშალიტეტის თანხმობა იყო აუცილებელი. **გამოკითხვის ფურცლისათვის ხელი სტალინის საქვეყნოდ ცნობილ მარშლებს — ჟუკოვს, როკოსოვსკის, ვასილევსკის, კონევს და სხვებს უნდა მოეწერათ. მათმა აბსოლუტურმა უმრავლესობამ** (ერთეულების გამოკლებით) **ხელმოწერაზე კატეგორიული უარი განაცხადა,** თანაც, მაგალითად, **როკოსოვსკიმ** და ავიაციის მთავარმა მარშალმა **გოლოვანოვმა** ეს მეტად მკვეთრი ფორმით გააკეთეს, რისთვისაც ხრუშჩოვის გულისწყრომა დაიმსახურეს. თავდაცვის მინისტრის მოადგილეს **როკოსოვსკის** მეორე დილით თავის კაბინეტში მარშალი **მოსკალენკო** დახვდა მოკალათებული (მან ანკეტას ხელი მოაწერა). მოხსნეს გოლოვანოვიც. მოგვიანებით თადარიგში გაუშვეს ჟუკოვი. **ურჩი მარშლები დასაჯეს, მაგრამ წოდების მინიჭებაში ხრუშჩოვს ეს არ დახმარებია, რადგან მათი ხელმოწერები მაინც ვერ მოიპოვა.**

იმ მომენტისათვის, როდესაც მარშლობა **ლეონიდ ბრეჟნევმა** მოისურვა, სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა. **ჟუკოვი, როკოსოვსკი, ვასილევსკი** და სხვა სახელგანთქმული მხედართმთავრები ცოცხლები აღარ იყვნენ. „სიით“ მარშლები კი, როგორც **გოლოვანოვი** უწოდებდა მშვიდობიან დროს წოდებამინიჭებულთ, ყველაფერზე მოაწერდნენ ხელს. **ბრეჟნევის** გამარშლება შემდეგი პროცედურით მოხდა — ის ჯერ არმიის გენერალი გახდა (გენერალ-მაიორობიდან) მარშლის ფორმის და ვარსკვლავის ტარების უფლებით. **მისთვის მარშლის წოდების მინიჭება** კი (1976 წელს) **უკვე ტექნიკური ფორმალობა გახლდათ.**



## პირადი მდივანი პოსკრებიშევი და დაცვის უფროსი ვლასიკი სტალინს მრავალი ათწლეულის მანძილზე ერთგულად ემსახურებოდნენ, მაგრამ სიკვდილამდე მცირე ხნით ადრე ბელადმა ისინი გაათავისუფლა, ვლასიკი ციხეშიც კი მოხვდა.

სტალინის ნაშვილები **არტემ სერგეევის** მოწმობით, სიკვდილამდე მცირე ხნით ადრე სტალინმა გადაწყვიტა, შეემოწმებინა, რამდენი უჯდებოდა სახელმწიფოს მისი შენახვა. ანგარიშები დაათვალიერა და შეძრწუნდა. ამ შემოწმებას მოჰყვა **პოსკრებიშევის** მოხსნა, **ვლასიკმა** კი ციხეში ამოყო თავი.

უფრო დაწვრილებით ამის შესახებ გენერალ-ლეიტენანტი **ვასილი რიასნოი** მოგვითხრობს, რომელიც იმხანად სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილედ მუშაობდა: **„ჩვენი მონაცემებით, ვლასიკი ბოლო ხანებში თავაშვებულად იქცეოდა. სახელმწიფო აგარაკებზე, რომლებიც სტალინის სახელზე ირიცხებოდა, იგი ღრეობებს აწყობდა.** სტალინი ფეხმოუცვლელად ერთ აგარაკზე ცხოვრობდა, დანარჩენებს კი ვლასიკი განაგებდა. ამასთან, მის ხელში იყო მათ შესანახად გამოყოფილი მთელი ფული, რომლის დიდ ნაწილს ვლასიკი ითვისებდა. **როგორც ჩანს, სტალინმა რაღაც იეჭვა, პოლიტბიუროს წევრები შეკრიბა და განუცხადა: მსურს, ზუსტად, უკანასკნელ კაპიკამდე ვიცოდე, რამდენი ვუჯდები სახელმწიფოს“.** მან ამის გასარკვევად **მალენკოვის** ხელმძღვანელობით კომისია შექმნა, მალენკოვმა კი ძირითადი სამუშაო ჩვენ დაგვავალა. ყველა საბუთი ამოვიღეთ და უამრავი დარღვევის, დატაცების ფაქტიც კი გამოვავლინეთ. ერთ მაგალითს მოგიყვანთ. **ზედდებულში აღნიშნული იყო ორი ირემი, რომლებიც ნამდვილად არ მოხვედრილა სტალინის სუფრაზე.** ისინი თვითმფრინავებით ჩამოიტანეს და ეს სახელმწიფოს 1 მლნ მანეთი დაუჯდა. სტალინმა ჩემი თანდასწრებით ყურადღებით შეისწავლა მთელი დოკუმენტაცია და თქვა: „ნეტა, სიზმარში ხომ არ გავცვითე ამდენი ფეხსაცმელი და კოსტიუმი, მე ხომ ოცი წელია, ამ კიტელს და ჩექმებს ვატარებ? ანდა ეს ქაშაყი, რომელსაც ვლასიკი 10 ათას მანეთად აფასებს, ყელზე როგორ არ დამადგა?“ **ამის შემდეგ ვლასიკი და მომსახურე პერსონალიდან რამდენიმე პირი დააპატიმრეს.**

მაგალითისათვის გაუწყებთ, რომ 6 ათას მანეთს იმ პერიოდში მინისტრი იღებდა, 1500-2000 მანეთის საშუალო ხელფასი იყო, 8 ათასი კი ავტომანქანა „მოსკვიჩი“ ღირდა.

**პოსკრებიშევთან დაკავშირებით არტემ სერგეევი ცდება. იგი სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნების, გრიფით „მკაცრად საიდუმლოდ“ საბუთების დაკარგვისათვის მოხსნეს.**


იოსებ სტალინი და მისი დაცვის უფროსი , გენერალი ნიკოლაი ვლასიკი

## მართლა სურდა თუ არა სტალინს მეფობა?

სტალინისათვის არანაირი გვირგვინი არ დამზადებულა. ჯერ ერთი, ეს არც იყო საჭირო, რადგან სსრკ-ის ალმასის ფონდში რუსი მეფეების და იმპერატორების უძვირფასესი გვირგვინები იყო დაცული, მეორეც — **სტალინს არასოდეს მოსვლია თავში მსგავსი იდეა. მისთვის საკმარისი იყო, რომ ის სტალინი გახლდათ. ადამიანი, რომლის წინაშეც გულწასული დაეცა ირანის შაჰინშაჰი, ქედს იხრიდნენ რუმინეთის, ბულგარეთის და სხვა ქვეყნების მეფეები.** ცნობილია, რომ ნაპოლეონი სტალინის საყვარელი ისტორიული გმირი იყო და იგი სინანულით აღნიშნავდა, რომ **„ამ ტიტანმა გენერალ ბონაპარტის წოდება იმპერატორის ჟინჟილებზე გაცვალა“.**

ხმები იმის შესახებ, რომ სტალინს იმპერატორად კურთხევა სურდა, დღეს ან გუშინ კი არა, ბელადის სიცოცხლეშივე წარმოიშვა. რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის ერთ-ერთი მკვლევარი **მღვდელი იაკუნინი** წერს, რომ **„ომის შემდეგ მოსკოვის საპატრიარქოს ხელმძღვანელობას დიდი ცვლილებების წინათგრძნობა ჰქონდა. პატრიარქი ალექსი I და მისი გარემოცვა მოელოდნენ, რომ უახლოეს ხანებში სტალინი** (რომელსაც ისინი „ახალ კონსტანტინეს“ უწოდებდნენ) **დაშლიდა ან გადაასხვაფერებდა ბოლშევიკურ პარტიას, ქვეყანას პანსლავურ იმპერიად გამოაცხადებდა, პატრიარქს მეფედ კურთხევას გამოსთხოვდა და მართლმადიდებლობას ოფიციალურ რელიგიად აქცევდა“.** მოსკოვის 800 წლის იუბილისადმი მიძღვნილ (1947 წ.) პატრიარქის ეპისტოლეში ვკითხულობთ: **„გვწამს, რომ უფალი იცავს თავის ქალაქს, რომელსაც მესამე რომად უწერია გადაქცევა; ფუჭად არ ჩაუვლია ქალაქის დამაარსებელთა შრომას; დიდია მისი მცველი ღვთის რჩეული ბელადის გმირობა“.** მაგრამ სასულიერო პირთა ოცნებებს ახდენა არ ეწერა.

გენერალისიმუსი
2022 წლის 5 დეკემბერი. № 40 (164)
სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com
ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

# „ომის დამქაშო ნაცებო, ვერ ეღირსებით საქართველოში ომს და ვერც ხელისუფლებაში მოშავდებით!“




## თამარ მიქელაძე:

# სიბერეში ხომ მაინც უნდა გვეღირსოს ოჯახებში დაბრუნება?!

***გასული საუკუნის 90-იანებში, როცა საქართველოში დაამხეს კანონიერი ხელისუფლება და ეკონომიკა ჩამოიშალა, მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა ოჯახების მატერიალურად უზრუნველყოფის მიზნით უცხო ქვეყნებს მიაშურა. მათ შორის არის თამარ მიქელაძეც, რომელიც, უკვე 25 წელია, მუხლჩაუხრელი შრომით აღებულ ჯამაგირს საბერძნეთიდან არამხოლოდ ოჯახის წევრებს, სრულიად უცნობ, შეჭირვებულ თანამემამულეებსაც უგზავნის. როგორია ემიგრანტის თვალით დანახული საქართველო? რა აწუხებთ და რა ახარებთ სამშობლოდან არცთუ საკუთარი ნებით გახიზნულ ქართველებს?***

*— „მე იმ თაობის ემიგრანტი ვარ, რომელმაც ჯერ შვილები და მერე შვილიშვილები „სკაიპით“ დავზარდეთ... სიბერეში ხომ მაინც უნდა გვეღირსოს ოჯახებში დაბრუნება?! ამისთვის კი სამართლიანობის აღდგენა გვესაჭიროება. ნუ გაგიკვირდებათ, საქართველოში სამართლიანობის აღდგენის მიზნით ჩვენ საბერძნეთიდან ვიბრძვით!“*

***— ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი ემიგრანტმა ქალბატონმა:***

— 30 წელზე მეტია, აღარ დაადგა ჩვენს ქვეყანას საშველი, აღარც ჩვენი დაბრუნების დრო მოვიდა... ჯერ შევარდნაძისა და სააკაშვილის რეჟიმებმა გათანგა ხალხი, შემდეგ უკვე ამ რეჟიმების დაუსჯელობით გამოწვეულმა უსამართლობამ! **პატიოსანი, მშრომელი ადამიანების დიდი ნაწილი სამშობლოდან გახიზნულია, ამ დროს სახელმწიფოს მთავარ სტრუქტურებში ნაცები არიან დასაქმებულები და დაუსჯელობით გათამამებულები ხელისუფლებაში დაბრუნებას ლამობენ!**

3-მილიონიან საქართველოში უკვე უამრავი ოფიციალური მილიონერი ცხოვრობს, მაგრამ ერმა გაჭირვება მაინც ვერ დაძლია. განა მე რა მაბადია? მაგრამ ყოველდღე რამდენიმე ადამიანი მირეკავს საქართველოდან, მათ შორის, სრულიად უცნობებიც — ლუკმაპურის და წამლის ფულს მთხოვენ... იმაზე ვდარდობ, ყველას ვერ ვეხმარები!

### რესურსებით ჩვენისთანა მდიდარ ქვეყანაში ამდენი უსახლკარო, გაჭირვებული და უმუშევარი რად უნდა ცხოვრობდეს? ვერ გამიგია, რა გვჭირს, მთავრობას არ სურს ამ პრობლემის დაძლევა, თუ ხალხი არ არის მონდომებული?

არადა, ხალხმა ბოლო პერიოდში თავისი სათქმელი თქვა — რეჟიმი, რომელიც ადამიანებს ქუჩებში და საპატიმროებში ხოცავდა, აწამებდა, ქონებას ართმევდა, ტრადიციებსა და სარწმუნოებას უგინებდა და ამცირებდა, როგორც იქნა, მოიშორა, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა!

**— რისთვის არ აღმოჩნდა საკმარისი?**

— სამართლიანი სახელმწიფოს ასაშენებლად! **რეპრესირებულთა მიმართ სამართლიანობა არ აღდგა, მთავარი დამნაშავე იმის ნაცვლად, ციხეში უმკაცრეს პირობებში იმყოფებოდეს, საავადმყოფოს ვიპ-პალატაში წამოკოტრიალებული და დაავადებებს სიმულირებს.**

### ხელისუფლებამ გვიპასუხოს, რატომ არ გადაჰყავთ სხვა პატიმრებივით ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში? რად ელოლიავებიან?

**— კიდევ რა არ მოგწონთ საქართველოში?**

— არ მომწონს, „ომის პარტია“ რომ ჩამოყალიბდა; უფრო სწორად — სააკაშვილის მომხრე ბრბო, უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობოები და ლიბერასტი საზოგადოება საქართველოს რუსეთთან ომში ჩაბმას რომ მოითხოვს.

### საქართველოში მშვიდობაა, ნაცებო! ეს თქვენს პარტიაშია ომი, თავზე დაგემხოთ პარტია, გვამებზე მოცეკვავეებო!

ომის დამქაშო ნაცებო, ვერ ეღირსებით საქართველოში ომს და ვერც ხელისუფლებაში მოშავდებით! უფალო, დაიფარე სატანის მოციქულებისგან საქართველო და ქართველი ერი...

**— მთავრობის საქმიანობით კმაყოფილი ხართ?**

— მთავრობის რა მოგახსენოთ, მაგრამ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს ვგულშემატკივრობ, რადგან ამერიკელი და ევროპელი ავანტიურისტების დაკვეთის შესრულებაზე უარი თქვა და საქართველოს ომი აარიდა! **დღეს თუ საქართველოში ბომბები არ ცვივა, სახლები რომ არ ინგრევა, სისხლის ტბები არ დგას და ბავშვები ეზოებსა და ქუჩებში უხიფათოდ დაიარებიან — ეს პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის დამსახურებაა!** მასვე ვუმადლი იმ განცხადების გამო, რომ საქართველოსთვის საზიანო დირექტივებს არ შეასრულებს! სამაგიეროდ, უსამშობლო, უსამართლო პრეზიდენტის **სალომე ზურაბიშვილის** პოზიციები მაღიზიანებს. მან ზურგი აქცია ქართველ ხალხს, „ომის პარტიასთან“ გაერთიანდა და ჩუმ-ჩუმად სააკაშვილის ციხიდან გამოყვანის გეგმებს აწყობს. სალომეს თუ ომი უნდა, ფრონტის წინა ხაზზე თავისი შვილები დააყენოს!

### ემიგრანტების ნაწილი მივმართავთ მმართველ პარტიას, სასწრაფოდ დაიწყოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის იმპიჩმენტის პროცედურები! ხოლო, თუ მადამ ფუფუ გაბედავს და სააკაშვილს შეიწყალებს, მარტო იმპიჩმენტით ვერ გადარჩება!

**— დეოლიგარქიზაციის მოთხოვნაზე რას გვეტყვით?**

— **კუბილიუსებო, ფონ კრამონებო, სააკაშვილის მოპარული ფულებით ნაყიდო ევროპარლამენტარებო, თქვენი დემოკრატია არ გაიშვა! მილიონზე მეტი საქართველოს მოქალაქე ქუჩაში გამოვალთ და დავიცავთ უპრეცედენტო ქველმოქმედს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს.** თუ დეოლიგარქიზაციაა, საქართველო, პირველ რიგში, სოროსის ფონდისგან და დასავლეთიდან შემოსული საეჭვო წარმომავლობის დაფინანსებისგან უნდა გათავისუფლდეს, რაც ლიბერასტი არასამთავრობოების ჯიბეებში ილექება და ოჯახის ინსტიტუტის, მართლმადიდებლობისა და ქართული ეროვნული ტრადიციების ნგრევას ხმარდება!

**— ნაცები საბერძნეთშიც აქტიურობენ?**

— დიახ, რადგან მათი აქტიურობა მსუყედ ფინანსდება. თვე ისე არ გავა, აქცია არ გამართონ, საქართველოს ომისკენ არ მოუწოდონ და სააკაშვილთან დაკავშირებით საერთაშორისო საზოგადოების შეცდომაში შეყვანა არ სცადონ. **როდესაც მათი ტყუილების გაბათილებას ვცდილობთ, საქმე ხელჩართულ ჩხუბამდეც მიდის ხოლმე.** ასე მოხდა, როცა სააკაშვილი თავის მომხრე ემიგრანტებთან შესახვედრად საბერძნეთში ჩამოვიდა. სხვათაშორის, მაშინ ის გაილახა კიდეც. ასე მოხდა, როცა ნაცი ემიგრანტები ჩვენი საელჩოს დაბოქლომებას ცდილობდნენ და ამაში ხელი მე და ჩემმა რამდენიმე მეგობარმა შევუშალეთ.

**— ამასწინათ საქართველოში აშშ-ის ელჩის კელი დეგნანის წინააღმდეგ თქვენი მიმართვა გავრცელდა...**

— ეს ქალბატონი უხეშად ერევა საქართველოს შინაურ საქმეებში. ჩვენი სამშობლო უკვე დიდი ხანია, რუსულ-ამერიკული იმპერიების ინტერესების შეპირისპირებას ეწირება! კარგად გვახსოვს საქართველოს ერთადერთი კანონიერი პრეზიდენტის, დამოუკიდებლობის მესაძირკვლის, ბატონი ზვიად გამსახურდიას სასტიკი დევნა, რასაც ამერიკამ წაუყრუა!

**მე ვერ ვენდობი კელი დეგნანს, რომელიც გვარწმუნებს, რომ მხარს უჭერს საქართველოს დამოუკიდებლობას და დემოკრატიულ ღირებულებებს, რეალურად კი პირსისხლიანი სააკაშვილის გათავისუფლების და რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს ომში ჩაბმისკენ გვიბიძგებს!** ბევრჯერ ვიგემეთ მარცხი უცხოელი „პარტნიორების“ რეკომენდაციებით, ამიტომ ყველამ თავი დაგვანებოს!

### „თუ დეოლიგარქიზაციაა, საქართველო, პირველ რიგში, სოროსის ფონდისგან და დასავლეთიდან შემოსული საეჭვო წარმომავლობის დაფინანსებისგან უნდა გათავისუფლდეს!“

*ესაუბრა*
***ნინო პაპოშვილი***





### „კუბილიუსებო, ფონ კრამონებო, სააკაშვილის მოპარული ფულებით ნაყიდო ევროპარლამენტარებო, თქვენი დემოკრატია არ გაიშვა! მილიონზე მეტი საქართველოს მოქალაქე ქუჩაში გამოვალთ და დავიცავთ უპრეცედენტო ქველმოქმედს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს!“



# ღვაწლმოსილი ფალოსოფოსი

***რესპუბლიკაში ხმა გავარდა, ნაცმოძრაობას თავზე დასაჯდომად კიდევ ერთი კანდიდატი გამოუჩნდაო. გადავხედ-გადმოვხედე და იმას მოუნდომებია — ზურაბ ჭიაბერაშვილს — ღვაწლმოსილ ფალოსოფოსს, რომელიც რატომღაც ერთ დროს ჯანდაცვის მინისტრიც იყო და თბილისის მერიც, თანაც „ქართვლის დედის“ ქანდაკებას ეპოტინებოდა გამუდმებით.***

ჭიაბერაშვილი „ორიგინალურად“ აზროვნებს, მოვლენებსა და საგნებს თავისებურად ხედავს — მაგალითად, როდესაც დედაქალაქის მერად მუშაობდა, აშკარად ამჩნევდა, რომ **„ქართვლის დედას“ ერთ ხელში ქალის საშო უჭირავს, მეორეში — ფალოსი.** ფაქტია, ასეთი რამე რომ შეამჩნიო, ან მაგარი ჭკვიანი უნდა იყო, ან კიდევ მაგარი სირი. ამ შემთხვევაში მე უფრო მეორე მგონია. აგერ, გუშინწინ თუ იმის წინ ვუსმენდი „კეზერვიზიის“ ეთერში ირაკლი ტაბლიაშვილს მიუყვანია 12 პუნქტზე სალაპარაკოდ და ისეთი მაზალო აზრები აფრქვია, პირი ღია დამრჩა. **არა, განა გამიკვირდა? ესენი, ამნაირი იდიოტები სულ პირდასაფჩენ რაღაცებს ლაპარაკობენ, მაგრამ ეს უკვე ნამეტანი იყო, ჭიაბერაშვილს ისეთი მიგნებები აქვს, გადაცემის დასრულების შემდეგ ზიხარ და ფიქრობ — ამდენი როგორ, საიდან, რანაირად?**

ახლა კარგად მომისმინეთ, მიუგო ჭიაბერაშვილმა ტაბლიაშვილს, ჩემი ღრმა რწმენით, ამ რეჟიმთან კიწო-მიწო პოლიტიკაში შესვლა დაუშვებელიაო. ეგრევე ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონები გადავქექე, დამაინტერესა, რას ნიშნავს **„კიწო“** და რას ნიშნავს **„მიწო“**, ვერაფერი ვნახე, მსგავსი სიტყვა ქართულში არ გვაქვს. ერთი ეგ არის, შეიძლება ბატონ ფალოსოფოსს ეს სიტყვები კახეთიდან ჰქონდეს ჩამოტანილი, იქ იციან ხოლმე თქმა: **კიწი, კეწეწი და ასე შემდეგ.** ქიზიყში იტყვიან ხოლმე — **ხეზე ერთიორი კიწილა დარჩაო,** ანუ, ფაქტობრივად, აღარ არიო. კეწეწს იტყვიან ხოლმე შეშის ან ფიჩხის მონარჩენზე, ძალზედ ცოტა რომ დარჩება. მოკლედ, უკვე გითხარით, ჭიაბერაშვილი ისეთ გამოთქმებს ხმარობს, ვერსად რომ ვერ გაიგონებთ.

ესაო — განაგრძო ბატონმა **ფალოსოფოსმა** — ეს პუტინისტური რეჟიმია და ამის თაობაზე ჩვენმა საერთაშორისო პარტნიორებმაც კარგად იციანო. საქართველომ თავი უნდა დააღწიოს რუსულ ჭაობს და დაუბრუნდეს ევროპულ პერსპექტივას, სხვა გზა არ არსებობსო, **12 პუნქტი რომ შესრულდეს, პუტინისტური რეჟიმი უნდა დასრულდეს, ესენი არ შეასრულებენო...** რა მომენტშიც ეს რეჟიმი დასრულდება, იმ მომენტში ორი პუნქტი შესრულებული იქნება, ეგრევე მოგვცემენ კანდიდატობას და ათ პუნქტზე შემდეგ გავაგრძელებთ მუშაობასო.

**გაიგონეთ? როგორც კი ეს რეჟიმი დასრულდება და ჩვენ ისევ დავბრუნდებით ხელისუფლებაში, ეგრევე მოგვცემენ კანდიდატის სტატუსს, მერე ჩვენ მოვალთ და გავაგრძელებთ დანარჩენ პუნქტებზე მუშაობასო.** არაო, ამათ არ და ვერ უნდა შეასრულონო. ესე იგი, ჭიაბერაშვილი როგორ ემზადება მოსასვლელად, წარმოგიდგენიათ? ეჭვიც არ ეპარება, რომ მოვა, დაჯდება და პუნქტებზე დაიწყებს მუშაობას. **ჭიაბერაშვილი დარწმუნებულია, ხელებს იფშვნეტს და შუბლზე ნაოჭები უთამაშებს, უკვე ხედავს, როგორ ადის სახელისუფლებო კიბეზე და როგორ ჯდება რომელიმე მინისტრის სავარძელში.**

ტაბლიაშვილი უყურებს, უყურებს, უყურებს და ბოლოს ეკითხება — იმ ორ პუნქტს ვინ ასრულებს ეგრე ავტომატურად და ჩვენში რომ დარჩეს, ეგ ორი პუნქტი რომელიაო?

აი, ეგ ორი პუნქტია მთავარი საიდუმლოება ჩვენი ცხოვრებისეული და პოლიტიკური არსისაო... ესე იგი, თუ ბიძინა ივანიშვილი აქედან მოშორდება, დეოლიგარქიზაციის პუნქტი ხომ შესრულებული იქნებაო? **დიახ, რა თქმა უნდაო** — მიუგო ტაბლიაშვილმა. **ჰოდა, დეოლიგარქიზაციის პრობლემა თუ მოიხსნება, პოლარიზაციაც ხომ მოიხსნება, ირგვლივ სიყვარული, გაგება და დახეული ჯინსები ხომ დაისადგურებსო?** დახეული ჯინსები არ უთქვამს, ეგ მე დავამატე, ჭიაბერაშვილმა დააპაუზა, ვიფიქრე, ამის თქმა უნდოდა. შეიძლება რამე უარესსაც იტყოდა, მაგალითად, **სააკაძის მოედანზე გიორგი სააკაძის ძეგლი რომ დგას, იმას ხელში ხმალი კი არა, „დუბინკა“ უჭირავსო.**

ბატონ ფალოსოფოსს, რომ იცოდეთ, სხვანაირი გამოცდილებებიც გააჩნია, არ გეგონოთ, მარტო ჯანდაცვის მინისტრი და თბილისის მერი იყო. 2003 წელს არჩევნებს აკვირდებოდა და მის მახვილ თვალს არ გამოჰპარვია, რომ მაშინ არჩევნები უხეშად გაყალბდა. ეს ამბავი დაუფასეს, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ცენტრალური საარჩევნო კომისია ჩააბარეს. დიახ, ჩააბარეს და ისე აყალბა მომდევნო არჩევნები, ილუზიონისტ კიოსაც კი გაუკვირდებოდა. 2005 წლიდან აგი ფალოსოფოსი დიპლომატიურ სამსახურში გაამწესეს, კერძოდ ევროსაბჭოში. **მაშ, კაცო, ადამიანი, რომელსაც დიპლომატიისა არაფერი სცხია, ევროსაბჭოში გაუშვეს ელჩად. შემდეგ ისევ ელჩად გადაიყვანეს შვეიცარიასა და ლიხტენშტაინში.** რა თქმა უნდა, ჭკუა და გონება არც ევროსაბჭოში მომატებია და არც ლიხტენშტაინში. **2012-ში, როცა საქართველოში სხვანაირმა სიომ დაუბერა და ნაციონალები ამოაყირავა, ფალოსოფოსი კახეთის გუბერნატორად მუშაობდა და მოსახლეობას გახეთქილი მთვრალი ხვდებოდა, ვენახის შესაწამლი პრეპარატები ხომ დაგირიგეთ, ხომ წამლავთ, მეტი რაღა გინდათ, ხმას რატომ არ გვაძლევთო?**

2013 წლის 21 მაისს პროკურატურამ **ზურაბ ჭიაბერაშვილი** საბიუჯეტო თანხების გაფლანგვის ბრალდებით საქართველოს ექსპრემიერ **ვანო მერაბიშვილთან** ერთად დააკავა. 2014 წლის 17 თებერვალს სასამართლომ დამნაშავედ ცნო და 50 ათასი ლარი ჯარიმა მიუსაჯა. **თუ ვანო ჩასვეს, ამას მხოლოდ 50 ათასის გადახდა მიუსაჯეს, გაფლანგვა, ავკაცობა, ჩათლახობა და უმსგავსობა დაუდასტურდა.** აი, ასეთებს აქვთ ენები წაგდებული მხარზე და გველაპარაკებიან სინდის-ნამუსზე.

ამ დღეებში ერთ-ერთი ტელევიზიის ჟურნალისტებმა დამირეკეს და მკითხეს — **გასაგებია, რომ ხაბეიშვილი კეზერაშვილისა და მერაბიშვილის კაცია, ეს ჭიაბერაშვილი ვიღას დაეკარგაო?** მე პირადად ჭიაბერაშვილი ხაბეიშვილის დამატება მგონია, რათა ნაცმოძრაობაში ჩატარებული არჩევნები მრავალფეროვანი იყოს. ისე, მრავალფეროვნებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ სეირი გარანტირებული გვაქვს.

დაბოლოს — ან ერთი რას ჰგავს, ან კიდევ მეორე? **დიახ, ხაბეიშვილსა და ამაზე მოგახსენებთ, ჭიაბერაშვილზე.** ორივე რომ გადაადნოთ, ნახევარი კაცი არ გამოვა. **ორივეს ხელში ეგრევე დაიშლება ისედაც დაშლილ-გაპარტახებული პარტია და აი, ჩვენც სწორედ ეგ გვინდა!**

***გელა ზედელაშვილი***






**მე პირადად ჭიაბერაშვილი ხაბეიშვილის დამატება მგონია...**

ᲓᲔᲓᲐ ᲜᲐᲮᲔ...



## გიული ალასანია: მიშას აი, ეს აქვს გამოსაცვლელი — მარცხენა ხელი!

# ხონში სააკაშვილზე უფრო ადრე შესაძლოა, გიული ალასანია გააქანონ!



***სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე საუბარი უპრიანია, კნეინა გიული ალასანიას მიერ „პირველი არხისათვის“ მიცემული ინტერვიუთი დავიწყოთ: „ისეა გაწრიპული, გალეული, არ ვიცი... უკვე ყველაფერი რომ დიდი აქვს! აი, პატარები მომაქვს და ისიც რომ დიდი აქვს ცოტა ხანში. რაღაცნაირად არის მოხრილი ეს ხერხემალი იმიტომ, რომ დამტვრეული აქვს აი, ეს ადგილი, წელში... მენჯი... მენჯ-ბარძაყის ორივე მხარეს და კიდევ, აი, ეს აქვს გამოსაცვლელი — მარცხენა ხელი!“***

როგორც ვხედავთ, სააკაშვილი დიდ ხათაბალაშია გახვეული. კერძოდ, თუ ცოტა ხნის წინათ ადვოკატი **შალვა ხაჭაპურიძე** გვარწმუნებდა — **სააკაშვილს მარცხენა ხელი უხმებაო!** — ახლა **კნეინა გიული** პირდაპირ გაიძახის — **ჩემს შვილს მარცხენა ხელი გამოსაცვლელი აქვსო!**

რას აკეთებდა და რას ხელმარცხენობდა სააკაშვილი კლინიკა „ვივამედში“ ისეთს, რომ ორ კვირაში მარცხენა ხელი გამოსაცვლელი გაუხდა, ამაზე ჩვენ მხოლოდ ვარაუდი შეგვიძლია! თუმცა, ისიც დასადგენია, სააკაშვილს ხელი როგორ უნდა გამოუცვალონ — „ამაზონიდან“ გამოუწერონ თუ პირდაპირ ლევან ხაბეიშვილის მარცხენა მიაკერონ.

ვიდრე ზემოხსენებულ განცხადებას სიტყვასიტყვით გამოვიკვლევდეთ, მანამდე გაგახსენებთ ამ ორიოდე კვირის წინათ „ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნებულ წერილს, სადაც მაშინ ვიკითხეთ — **„აუხდა თუ არა სააკაშვილს მურმან დუმბაძის წყევლა?“**

მოგეხსენებათ, ცნობილმა პუტჩისტმა და ეროვნული ხელისუფლების დაუძინებელმა მტერმა, ცხრა ღობეზე გადამხტარმა **მურმან დუმბაძემ,** მოსახლეობასთან შეხვედრის დროს, როცა 2012 წლის 1 ოქტომბრის ისტორიული არჩევნების წინ აჭარაში ბათუმის მაჟორიტარად კენჭს იყრიდა, დაიწყევლა და ხალხს ასე მიმართა: **„ვინც ხუთიანს მოხაზავს მარჯვენა ხელით, კიბო გაუჩნდება, ხოლო მარცხენა ხელით მოხაზავს — ინფექცია გაუჩნდება!“**

თუ გიული ალასანიას ზემოხსენებულ განცხადებას კიდევ ერთხელ ავწონით, დავინახავთ, რომ სააკაშვილს მარცხენა ხელის გარდა სხვა პრობლემებიც აქვს, აკი დედამისი გარკვევით აცხადებს, რომ იმ ფონზე, როცა ნაცბელადი გაწრიპული და გალეულია, მაინც **„ყველაფერი დიდი აქვს!“**

ჩვენი მხრივ დავესესხებით დიდ ილიას და მისი ცნობილი ლექსის პერიფრაზით ვიტყვით — **„რაც დიდი ჰქონდეს სააკაშვილსა, ღმერთმა ასკეცად ნაცსექტას მისცეს!“**

მოკლედ, ძვირფასო მკითხველო, ძალიან მძიმე შემთხვევასთან გვაქვს საქმე და თუ გიული ალასანიას მიერ ბოლო დროს გაკეთებულ სხვა განცხადებებსაც კარგად გამოვიკვლევთ, დიდი ეჭვი გვაქვს, რომ დედა-შვილის კლინიკური მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდება. უფრო მეტიც, ხონში სააკაშვილზე უფრო ადრე, შესაძლოა, გიული ალასანია გააქანონ!

***დიტო ჩუბინიძე***



# „დედაჩემმა 100 წელიწადი იცოცხლა და გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე მითხრა – სიცოცხლე ისეთი ტკბილია, საუკუნეც კი არ არის საკმარისიო!“

„არ ვნანობ, რომ ჩემი უფლებებისათვის ვიბრძოლე, რაც მთავარია, უშვერი სიტყვებით არავინ გამილანძღავს, ჩემი სიმართლე დავამტკიცე!“

## ასმათ ტყაბლაძე:

# ოთარ მეღვინეთუხუცესი ძალიან ცუდად მოგვექცა, მაგრამ ღმერთმა აპატიოს, ვერ მიხვდა, რომ ბოროტება ჩაიდინა!



***ასმათ ტყაბლაძე* მარჯანიშვილის თეატრის იმ 35 მსახიობს შორის იყო, რომლებიც 90-იანი წლების ბოლოს სამხატვრო ხელმძღვანელმა ოთარ მეღვინეთუხუცესმა თეატრიდან გაათავისუფლა. ამ ფაქტს მსახიობი არ შეეგუა, სასამართლოში ბოლომდე იდავა და ცხრა პროცესიც მოიგო, თუმცა, თეატრში აღარ დაბრუნებულა. აპატია თუ არა ასმათ ტყაბლაძემ ოთარ მეღვინეთუხუცესს მარჯანიშვილის თეატრის სცენიდან დათხოვნა, ამას ქვემოთ შევიტყობთ:**

— დედაჩემმა 100 წელიწადი იცოცხლა და გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე მითხრა — სიცოცხლე ისეთი ტკბილია, საუკუნეც კი არ არის საკმარისიო! შურიანებსა და ბოროტებს ვეტყვი — რაც უნდა დიდხანს იცოცხლონ, მხოლოდ სიკეთე აკეთონ, სიძულვილი არ დათესონ და ადამიანებს არ მოუსწრაფონ სიცოცხლე.

**მიკვირს – ჯერ დანაშაულს სჩადიან, მერე კი ღმერთს პატიებას სთხოვენ. სიკვდილი ყურის ძირშია, ეს უნდა გახსოვდეს, რადგან სინანულსაც ველარ მოასწრებ!**

**— ქალბატონო ასმათ, იმ მსახიობთა რიგებში აღმოჩნდით, ვინც 90-იანი წლების ბოლოს მარჯანიშვლის თეატრიდან გაგათავისუფლეს...**

— მეღვინეთუხუცესის საქციელმა ყველა დაგვაზარალა, საშინელი ამბავი იყო. წინააღმდეგობა გავუწიე, ბევრი ვიბრძოლე, თუმცა, არა ლანძღვითა და უშვერი სიტყვებით, არამედ კანონისმიერი გზით. ეს იყო ბრძოლა უსამართლობასთან, ცხრა პროცესი მოვიგე. მეღვინეთუხუცესი ბოლოს თეატრში მაბრუნებდა, ვითომ შევრიგდით კიდეც — წავედი ამაზე (თუმცა, ეს არ იყო თბილი შერიგება), რადგან პირდაპირ მოვთხოვე — თეატრში ჩემთან ერთად უსამართლოდ გათავისუფლებული სხვა მსახიობებიც აღედგინა. მეღვინეთუხუცესს ეგონა, ჩემი აღდგენით ისედაც დიდ საქმეს აკეთებდა და სხვა მსახიობების დაბრუნება არ ისურვა. მე კი ჩემი პრინციპი მქონდა და აღარ დავბრუნდი. აქვე დავამატებ — რამდენიმე კაცი, ვისაც თეატრიდან მსახიობების გაშვებაში მონაწილეობა ჰქონდა მიღებული, ისე ჩუმად წავიდა ამქვეყნიდან, სინანულიც არ გამოუთქვამს, ვითომ სუფთა იყო, ისე დაიტირეს. მათ გვარებს ახლა აღარ ჩამოვთვლი...

**— ოთარ მეღვინეთუხუცესმა არც წლების მერე მოიხადა ბოდიში?**

— ძალიან ცუდად მოგვექცა, ღმერთმა აპატიოს თავისი საქციელი, ვერ მიხვდა, რომ ბოროტება ჩაიდინა. სინანული არ გამოუხატავს და ისიც უკვირდა, როგორ გავბედე მის წინააღმდეგ ბრძოლა. მერე ვიღაცამ მითხრა — მეღვინეთუხუცესი ნანობდა და ამბობდა, ასმათის წინაშე არასწორად მოვიქეციო, მაგრამ არ ვიცი, ნამდვილად ასე იყო, თუ არა, პირადად მას ჩემთვის არაფერი უთქვამს. **როცა შევხვდი, მხოლოდ იმ ადამიანის გვარი დამისახელა, ვინც მსახიობების გათავისუფლება დაავალა — შეეძლო მას სათქმელის უცებ თავმოყრა და სიმართლის თქმა, მაგრამ, სამწუხაროდ, მეორე წუთში ისევ სხვისი გავლენის ქვეშ ექცეოდა. უხეში კაცი იყო, მაგრამ მე ვერ მიბედავდა უხეშად მომართვას...**

**— მაშინ გათავისუფლებულ მსახიობთაგან ბევრი გარდაიცვალა, ზოგს თეატრთან გავლაც კი უჭირდა..**

— მალევე გარდაიცვალა ჩვენი მსახიობი **მზია მახვილაძე,** თენგიზ აბულაძის მეუღლე (თენგიზი მაშინ უკვე ოთხი წლის გარდაცვლილი იყო). მეღვინეთუხუცესმა ოჯახს შესთავაზა, მზია თეატრიდან გაესვენებინათ, თუმცა, ერთმა მსახიობმა უთხრა — **თქვენ ის უკვე გაასვენეთ თეატრიდან და ორჯერ გასვენება რა საჭიროაო?** მეღვინეთუხუცესი ვერ იტანდა, ვინმე თუ მასზე უკეთესი იყო. როცა **რამაზ ჩხიკვაძეზე** უცხოეთში თქვეს, კავკასიელი ლორენს ოლივიეაო, თქვა — იმათ ჩემზეც ასეთი რამ აქვთ ნათქვამიო.

**— ოთარ მეღვინეთუხუცესის გასვენებას დაესწარით?**

— არა, არც მის გასვენებაში ვყოფილვარ და არც მისი მეუღლის — **გურანდა გაბუნიასი...** რომ მისულიყავი, ამით რა უნდა მეთქვა?! ღმერთმა განსაჯოს მათი საქციელი. არ დავუშვებდი, რომ ვინმეს ხელწამოსაკრავი ვყოფილიყავი, თეატრიდან გაშვებული სახლში მოვკუნჭულიყავი და ვინც იქ დატოვეს, იმათზე მეთქვა — რა მაგრები არიან-მეთქი... ერთ დროს გურანდა ოთარის მეგობრადაც მთვლიდა, მაგრამ იმას მეგობრობა არ შეეძლო, ეს ყველაფერი მის საქციელში ჩანდა.

**არ ვნანობ, რომ ჩემი უფლებებისათვის ვიბრძოლე, რაც მთავარია, უშვერი სიტყვებით არავინ გამილანძღავს, ჩემი სიმართლე დავამტკიცე.** პატივმოყვარეებსა და ამბიციურებს ჰგონიათ, რომ ყველაზე ძლიერები არიან და სამყარო მათთვის არსებობს, მაგრამ ის მაინც გაიხსენონ, რომ მაკედონელმაც კი არაფერი წაიღო ამქვეყნიდან. დიახ, ვიბრძოლე, მაგრამ შურისმაძიებელი არ გავმხდარვარ და არც სხვას ვურჩევ. **მხოლოდ ამას ვიტყვი — ვინც უსამართლოდ გექცევათ, თავი არ დაუხაროთ, თუ ორგანიზაციაში შემთხვევით მოხვედრილი დირექტორი გყავთ და უსამართლოდ დაგჩაგრათ, შეებრძოლეთ.** მყარად რომ არ ვმდგარიყავი, სხვა მსახიობებივით, ვერც მე გადავიტანდი თეატრის დატოვებას, ბრძოლამ ძალა მომცა, ყოველთვის მჯეროდა სიკეთის გამარჯვების!

**— თქვენ თვითონ არავინ დაგიჩაგრავთ?**

— ერთხელ ხუმრობით რაღაც ვთქვი სხვა ეროვნებაზე და მაშინვე ბოდიში მოვიხადე, მითუმეტეს, რომ ეს იყო იუმორით ნათქვამი სიტყვა და არა ვინმეს დაკნინება. მივხვდი, რომ მაინც არ უნდა მეთქვა, თან იქ ის ადამიანი იჯდა, რომელსაც ქართული გვარი კი ჰქონდა, მაგრამ იმ კონკრეტული ერის შვილი იყო. აუცილებლად ბოდიში უნდა მომეხადა და მოვიხადე კიდეც.

ერთხელ **კოტე მახარაძემ** სადღეგრძელოში მითხრა — შენზე ერთი ავი სიტყვაც კი არ მსმენია, შეცდომა არ მოგსვლიაო. **ამაყი ვარ, რომ ვფერდზე მდგომი მიყვარდა და ცხოვრების გზაზე ფეხი არავისთვის დამიდია, არ წამიქცევია, ყოველთვის ვგრძნობდი, რომ ძლიერი ვიყავი და სხვისი დაჩაგვრა არ მეკადრებოდა.** ვმეგობრობდი უნიკალურ ადამიანებთან, ცხოვრება მათგან ვისწავლე, უპირველეს ყოვლისა ის, რომ თავმდაბალი ვყოფილიყავი, მაგრამ უსამართლობა არ დამეშვა. ჩემი უფროსი მეგობარი იყო **სესილია თაყაიშვილი,** როცა ვინმეს წარმატება თავში აუვარდებოდა და საკუთარი თავის გარდა, სხვას ვერავის ხედავდა, მათზე იტყოდა ხოლმე, თავში შარდი აუვარდა, შარდმა დაარტყაო. ასეთები ძალიან ბევრი შემხვდა, თუმცა, მათთვის თავი არ დამიხრია.

**— დღესაც მიმდინარეობს თეატრებში რეფორმები, არაერთი მსახიობი იქნა გათავისუფლებული...**

— მსახიობები გაუშვეს **კინომსახიობთა თეატრიდან,** ზოგიერთმა კი თვითონ დატოვა სცენა. საიდან მოიტანეს სიტყვები — რეფორმა ან რეგულაცია?! **მსახიობის ბედს ცვლიან, ხელს კრავენ, სცენას აცილებენ და ამას რეფორმას არქმევენ?** თეატრში რეფორმა მაშინ გატარდება, როცა მსახიობებს როლებს გაუნაწილებ და ათამაშებ და ნათლად დაინახავ, ვის რა შეუძლია, ვინ ნიჭიერია და ვინ — არა. **არ შეიძლება ბოროტების ზეიმი, ადამიანს ერთი სიცოცხლე აქვს და პროფესიის ჩამორთმევით დაუშვებელია, ტანჯვა მიაყენო.**

როდესაც ჩვენ გაგვიშვეს თეატრიდან, ედუარდ შევარდნაძემ სოფიკო ჭიაურელს უთხრა — მარჯანიშვილის თეატრში რეფორმები ჩვენ არ მოგვითხოვია და გაუგებარია, თეატრის ხელმძღვანელობამ ეს ნაბიჯი რატომ გადადგაო? **როცა ხელოვნების სიმაღლეებისა და მწვერვალების დაპყრობა გინდა, არ უნდა დაივიწყო ადამიანური და პიროვნული სიმაღლეები და იქიდან არ უნდა ჩამოვარდე!**



„ჩემი უფროსი მეგობარი იყო სესილია თაყაიშვილი, როცა ვინმეს წარმატება თავში აუვარდებოდა და საკუთარი თავის გარდა, სხვას ვერავის ხედავდა, მათზე იტყოდა ხოლმე, თავში შარდი აუვარდა, შარდმა დაარტყაო!“

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***

## კვირგვინოსნები

**დავით კაჭარავა**
*მოძრაობა „ხალხის ძალის“ წევრი, მორაგბე*



**ბიძინა ივანიშვილმა ქართული რაგბისთვის ძალიან დიდი ქველმოქმედება გაიღო** — ის მსოფლიოში ერთადერთი ადამიანია, რომელსაც **„მსოფლიო რაგბიმ“ რაგბიში შეტანილი წვლილისთვის ჯილდო გადასცა,** მაგრამ მორაგბე არასდროს ყოფილა.

„TV იმედი“

**თორნიკე შარაშენიძე**
*საერთაშორისო ურთიერთობების ლექტორი*



კარგი იქნება, თუ აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ხელშეკრულება დაიდება და ამაში საქართველო ითამაშებს როლს. **ჩვენს მთავრობას აქვს ფრთხილი პოლიტიკა, რის გამოც ზოგი აქებს, ზოგი ლანძღავს** და თუკი საქართველოს შუამავლობა გაამართლებს, ეს გაზრდის ჩვენს წონასაც, რაც ისევ ჩვენს უსაფრთხოებასთან არის დაკავშირებული.

„კვირის პალიტრა“

**სერგო ედილაშვილი**
*ფოტოგრაფი*



1999 წელს **ბაქო-სუფსის ნავთობსადენის გახსნა** უნიკალური მოვლენა აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. ამ პროცესში **შევარდნაძის** დიდი დამსახურებაც იყო, რომელიც მიზნის მისაღწევად **თავის ცნობილ ღიმილსა და იუმორს იყენებდა.** აი, მისთანები უმკლავდებიან ეპოქალურ ცვლილებებს, მათ დრო ვერ ცვლის, თავად ცვლიან დროს.

„კვირის პალიტრა“

**ალეკო ელისაშვილი**
*„მოქალაქეების“ ლიდერი, პარლამენტარი*



ერთი დღე, ორი დღე, დღე-ნახევარი **ისე თიშავენ ამ წყალს, ვითომ რაღაც დევი აჯდეს და დაპყრობილი ქალაქის მოსახლეობას დასცინოდეს. პარლამენტი ვართ, თითქოს რაღაც განყენებულ თემებზე ვლაპარაკობთ და „ვედროებით“ დავრბოდით ყველანი აქეთ-იქით.**

„ინტერპრესნიუსი“

*ადამიანის გემოვნებასა და სულიერ მდგომარეობას ისე არაფერი გამოხატავს, როგორც ის ყვავილი, რომელიც მას მოსწონს, გულით მიძღვნილი თაიგულიც უფრო მეტს ამბობს, ვიდრე უბრალო სიტყვები...*
*რუბრიკის სტუმრები — ყველასათვის ცნობილი მომღერალი, ანსამბლ „ივერიის“ სოლისტი ნუგზარ კვაშალი, მსახიობები — თენგიზ არჩვაძე და ბესო ზანგური, მწერალი ლაშა თაბუკაშვილი, კომპოზიტორი გია მაჭარაშვილი და თბილისის ყოფილი მერი ნიკო ლეკიშვილი ასახელებენ თავიანთ საყვარელ ყვავილებს და იმ პირებს, რომელთაც, თუნდაც დიდი ხნის შემდეგ, სიამოვნებით მიართმევდნენ დაგვიანებულ თაიგულს.*


ნუგზარ კვაშალი მეუღლესთან – თინათინთან ერთად

# ნუგზარ კვაშალი: თავიდან რომ დამაწყებინა ცხოვრება, ჩემს მეუღლეს ისევ იებს მივუტანდი!

**ნუგზარ კვაშალი:** — ძირითადად, მამაკაცები ჩუქნიან ქალბატონებს თაიგულებს, მაგრამ სცენაზე ქალებს მიაქვთ ხოლმე მათთვის ყვავილები. მახსოვს, კონცერტის შემდეგ ქალბატონები მაინცდამაინც **თემურ წიკლაურისკენ** გაეშურებოდნენ ხოლმე და მას მიართმევდნენ ყვავილებს *(იცინის)*. ჩემთვის ბავშვებს მოჰქონდათ, იცოდნენ, რომ მათი „ჯუჯა“ ვიყავი. კონცერტის მერე იმდენი ყვავილი გროვდებოდა, რომ ანსამბლის წევრებსაც მიჰქონდათ სახლში და დამლაგებლებსაც ვუნაწილებდით. ძალიან უხაროდათ. მაშინ ყველაფერი ლამაზი იყო, სცენაც, სიმღერაც და ყვავილებიც. რაც მთავარია, იყო სიყვარული და ბედნიერების განცდა.

**— სად ყიდულობდით ყვავილებს?**

— ძირითადად, ე. წ. კოლმეურნეობის ბაზართან. მეყვავილეები ახლაც დგანან იქ. როგორც კი თვალს გადაავლებდი ყვავილებს, კარგი განწყობა გეუფლებოდა. საოცარი სურნელი ჰქონდა მამულაშვილის ბაღის ვარდებს, თუმცა, ზამთარში ცოტა ჭირდა კარგი ყვავილების შოვნა. ახლა ყოველ ფეხის ნაბიჯზე იყიდება ჰოლანდიური და იტალიური ყვავილები, თუმცა, განსხვავება ისაა, რომ ამ ულამაზეს ყვავილებს ჩვენი ყვავილების მსგავსი სასიამოვნო სურნელი არა აქვს. ყველაზე ბევრი ყვავილი 8 მარტს იყიდებოდა, დილით რომ არ გეყიდა, მერე შეიძლება ვერც გეშოვა. ერთ ამბავს გავიხსენებ: ჩემს მეგობარს ერთი ქალბატონი მოსწონდა, მაგრამ მისთვის ყვავილების მირთმევას ვერ ბედავდა. ერთ ბიჭს სთხოვა, ფულს მოგცემ, ყველაზე ლამაზი და მაღალი 25 ვარდი იყიდე და იმ ქალს მიართვიო... მეორე დღეს ის ქალი ქუჩაში შეხვდა ამ ჩემს მეგობარს და სილა უთავაზა. რას მერჩი ქალბატონოო — გაკვირვებულმა ჰკითხა. აღმოჩნდა, რომ იმ ბიჭს 25 გრძელი ვარდის ნაცვლად, 50 მოკლე ვარდი მიუტანია. ამ ქალმა ეს შეურაცხყოფად მიიღო.

**— ვინ იყო თქვენთვის პატივსაცემი ქალბატონი, ვის მიართმევდით ყვავილებს?**

— უპირველესი ქალი, ვისაც ყვავილებს მივართმევ, **ჩემი მეუღლეა,** 50 წელი სრულდება, რაც ერთად ვართ. თავიდან რომ დამაწყებინა ცხოვრება და ისევ პირველად ვხვდებოდეთ ერთმანეთს, ისევ იმ ადგილზე შევხვდები, სადაც ვხვდებოდით და ისევ იებს მივუტანდი. ვიცი, რომ უყვარს გვირილებიც — საოცარი ყვავილია გვირილა, გვირგვინის თეთრ ფურცლებს აწყვეტ და შენთვის ამბობ: ვუყვარვარ, არ ვუყვარვარ... და როცა ბოლო ფურცელს წყვეტ, იჯერებ, რომ უყვარხარ...

**— ვინ იქნებოდა დაგვიანებული თაიგულის ადრესატი?**

— არასოდეს მიმირთმევია ყვავილები დედაჩემისთვის — **თაისი მენაღარიშვილისთვის.** მაშინ მოდაში იყო ფრანგული სუნამოები, ქალბატონებისთვის ეს უნდა მიგერთმია. **ახლა ვფიქრობ და გული მწყდება, რომ დედისათვის ყვავილი არ მიჩუქებია. მთელ მსოფლიოში რაც კი ყვავილებია, ყველას ერთად შევკრებდი, ფიროსმანს ვაჯობებდი და ყველას ერთად დედაჩემის ფეხებთან დავაწყობდი.**

პირველ იანვარს ჰქონდა დაბადების დღე, შევიკრიბებოდით ხოლმე შვილები, ვულოცავდით და არ ვფიქრობდით მისთვის ყვავილების მიტანაზე. თვითონ კი ისეთი გახარებული იყო, ჩვენ ვიყავით მისთვის ყვავილები.

დედაჩემის გარდა, დაგვიანებულ თაიგულს — ულამაზეს წითელ ვარდებს მივართმევდი თბილისის 51-ე სკოლის პედაგოგს, ჩემი კლასის ყოფილ დამრიგებელს, უნიკალურ ქალბატონ **აიონა ქავთარაძეს.** რომ გამოვთვალეთ, როდესაც ის ჩვენს კლასში შემოიყვანეს, 30 წლის ყოფილა, ახალგაზრდა ქალი, ბავშვებს კი უკვე ხანში შესული გვეგონა. **მენატრება ჩემი აიონა მასწავლებელი...** მამაკაცებს ვურჩევ, ხშირად გაანებივრონ ქალბატონები ყვავილებით, დღეები გაულამაზონ, თუნდაც არ იყოს რაიმე დღესასწაული, ან დაბადების დღე. გვახსოვდეს, დაგვიანებული თაიგული კარგია, თუნდაც ერთი ვარდი, მაგრამ ვეცადოთ, არ დავიგვიანოთ...

**თენგიზ არჩვაძე:** — მიყვარს ვარდი, ყვავილების მეფეა — **„ვარდსა ჰკითხეს, ეგზომ ტურფა რამან შეგქმნა ტანად, პირად...“** თუმცა, მე მინდვრის ყვავილებიც მიყვარდა, ბევრს დავდიოდი, დავკრეფ-


თენგიზ არჩვაძე შვილთან – ნატოსთან ერთად


ნიკო ლეკიშვილი მეუღლესთან – მელანოსთან ერთად


ლაშა თაბუკაშვილი მეუღლესთან – მედეასთან ერთად

## კვირგვინოსნები

**გიორგი მეგრელიშვილი**
*ამერიკაში მცხოვრები მსახიობი*



ჯერ როგორც ემიგრანტი სამსახურს ვეძებ. ახლა შევავსე აპლიკაცია სუპერმარკეტში მუშაობის დასაწყებად. **არც მრცხვენია და არც მერიდება.** გასავლელი ეტაპია.

„თბილისელები“

**ნანა ფაჩუაშვილი**
*მსახიობი*



**თეატრში ჩემი თაობიდან თითქმის მარტო დავრჩი!**

„თბილისელები“

**ბაჯი კირკიტაძე**
*ტელეწამყვანი, მომღერალი*



სახლი **უზარმაზარი კრედიტით** ვიყიდეთ, მაგრამ მაინც ბედნიერები ვართ.

„სარკე“

**ნანა ლორთქიფანიძე**
*მსახიობი*



მიშა გომიაშვილი ჩემი მეუღლე იყო. მართალია, **ერთად დიდხანს არ ვიცხოვრეთ,** მაგრამ ბოლომდე ახლობელ ადამიანად დარჩა.

„სარკე“

**თეა დემურიშვილი**
*ოპერის მომღერალი*



უცხოეთში სწავლისას **ბევრჯერ მშიერს მიმღერია** და მშიერსვე დამიძინია.

„სარკე“

**მიხეილ რამიშვილი**
*თეარ რამიშვილის მამა*



მამას არასოდეს უთქვამს ვინმესთვის, რომ **მისი ვარსკვლავი გაეხსნათ, მისთვის ყველაზე დიდი ვარსკვლავობა** ხალხის სიყვარული იყო.

„სარკე“



ნუგზარ კვაშალის მშობლები – თაისი მენაღარიშვილი და ტარიელ კვაშალი

**„ახლა ვფიქრობ და გული მწყდება, რომ დედისათვის ყვავილი არ მიჩუქებია. მთელ მსოფლიოში რაც კი ყვავილებია, ყველას ერთად შევკრებდი, ფიროსმანს ვაჯობებდი და ყველას ერთად დედაჩემის ფეხებთან დავაწყობდი!“**

დი ხოლმე, ლამაზ თაიგულებს შევკრავდი და ჩემთვის პატივსაცემ ქალბატონებს მივართმევდი. ყვავილების ზეიმი იყო 8 მარტს, ყველაზე მეტად ეს დღესასწაული მახსოვს, ქალთა დღე და ყვავილებით ხელდამშვენებული ბედნიერი ქალბატონები. ოჯახშიც მომქონდა ყვავილები, მივართმევდი მეუღლეს, შვილებს.

**— ვის აჩუქებდით დაგვიანებულ თაიგულს?**

— ჩემს შვილს **ნატოს,** ახლა ჩემთან არის, თქვენ გაჩუქებდით...

**ნიკო ლეკიშვილი:** — იასამანი მიყვარს, დაგვიანებულ ყვავილებს — იასამნების თაიგულს ვაჩუქებდი დედაჩემს **ქეთევან მაისურაძეს.**

**ლაშა თაბუკაშვილი:** — ერთადერთი ქალბატონი, ვისაც ყვავილებს მივუტანდი, ჩემი მეუღლეა **მედეა გოზროძე,** რომელთან ერთადაც 52 წელია, ვცხოვრობ. პირველ ყვავილსაც და დაგვიანებულ თაიგულსაც მას მივართმევდი.

**— თქვენი საყვარელი ყვავილები?**

— იასამანი მიყვარს, ჩემი პიესის სახელიც — „მერე რა რომ სველია, სველი იასამანი“ — ამ ყვავილთან არის დაკავშირებული. იასამნის სურნელი ბავშვობიდან მომყვება, გაზაფხულზე, როცა იასამანი ყვავილობდა, მთის კალთაზე შეფენილი კერძო სახლების ეზოებიდან ჩემი სახლისკენ საოცარი სასიამოვნო სუნი იფრქვეოდა. ის სურნელი სულ მახსოვს, შეგრძნებაც დაუვიწყარია.

**— რომელ ყვავილს მიართმევდით დედათქვენს — ულამაზეს მედეა ჯაფარიძეს? დაგვიანებულ ყვავილებს...**

— დაგვიანებულ ყვავილებს? ვერ გადავხარშავ ამ შეკითხვას, ვერ გიპასუხებთ, ძალიან მტკივნეულია... ჩემმა მეუღლემ იცის, რომელი ყვავილები უყვარდა დედას, ეს იცოდა მამაჩემმა, ასეთ რამეს შვილები — განსაკუთრებით ბიჭები, არ ვაქცევდით ყურადღებას...

**ბესო ზანგური:** — მიყვარს იასამნები, ამ ყვავილებს ჩემს მეუღლეს — **გვანცა წულეისკირს** ვაჩუქებდი. დაგვიანებული თაიგულიც მხოლოდ მისთვის იქნებოდა — ისიც იასამნები.

**გია მაჭარაშვილი:** — ყვავილების სახეობებში ვერ ვერკვევი, მაგრამ რაც ლამაზია, მნიშვნელობა არა აქვს, ყვავილია თუ ბუჩქი, მომწონს. მიყვარს ყველაფერი, რასაც სიყვარული, სიცოცხლე და დადებითი ემოცია მოაქვს, ჩემთვის საშუალო არ არსებობს, მოვლენა ან დადებითია, ან — უარყოფითი, ადამიანიც ან ლამაზია, ან — უშნო.

**— მაინც რომელ ყვავილს გამოარჩევთ?**

— ვარდს, გვირილას და ყაყაჩოს. თუმცა, ვარდი ყვავილებს შორის დედოფალია. დედაჩემსაც წითელი ვარდები უყვარდა.

**— ვის მიართმევდით დაგვიანებულ ყვავილებს?**

— პირველ რიგში, ყვავილებს მივართმევდი ჩემს ცოლ-შვილს, ვიცი, ძალიან გაუხარდებათ. შეიძლება, მინდვრის ყვავილებისგან შეკრული ლამაზი თაიგულიც მიმერთმია ან წითელი ვარდები. დღეს სიმბოლურად ერთ ვარდსაც ჩუქნიან ხოლმე და ესეც ძალიან ლამაზია. ყვავილი სიყვარულის, სიკეთისა და სილამაზის სიმბოლოა, ამიტომ წარმოუდგენელია ცხოვრება ამ არაჩვეულებრივი არსებების გარეშე.

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***



ბესო ზანგური მეუღლესთან – გვანცასთან ერთად



გია მაჭარაშვილი მეუღლესთან – ნინოსთან ერთად



## ზურაბ ქუმსიაშვილი:



**შეთქმულების თეორეტიკოსები თვლიან, რომ თვითმფრინავები ფარულად ასხურებენ კორონავირუსს, ქიმიკატებს, მძიმე მეტალებს და კიბოს გამომწვევ ნივთიერებებს!**



# რას გვაყრიან თავზე?

***მეცნიერთა წრეებში გაჩნდა გონივრული ვარაუდი, რომ თვითმფრინავების მიერ დატოვებული კვალი ჩვეულებრივი კვამლი არ არის! გვესაუბრება ექიმი, პროფესორი ზურაბ ქუმსიაშვილი:***



— თვითმფრინავები, რომლებიც ცაზე თეთრ კვამლს ტოვებენ, ძირითადად დიდი ქალაქების ან მჭიდროდ დასახლებული პუნქტების თავზე დაფრინავენ. ასეთი თეთრი კვალი ადრეც შეიმჩნეოდა ტროპოსფეროში, რომელიც დედამიწის ზედაპირიდან 10-12 კილომეტრის სიმაღლეზე მდებარეობს, ხოლო, უფრო იშვიათად, რჩებოდა სტრატოსფეროშიც, რომელიც დედამიწის ზედაპირიდან 12-50 კილომეტრის სიმაღლეზეა... ადრე ამით არავინ პანიკდებოდა, ვინაიდან ეს იყო ბუნებრივი კვალი და წარმოადგენდა მინუს 40 გრადუს ცელსიუს ტემპერატურაზე ჰაერში შეწოვილი წყლის კონდენსატად ქცეულ ნაწილაკებს.

**— მაშ, ახლა რაღა აშფოთებს მოსახლეობას?**

— ევროპაში მოსახლეობის ნაწილი ამ მოვლენის გამო პანიკაშია. მათ სჯერათ „ქიმტრეილების“, ანუ ტოქსიკური აეროზოლების მიერ დატოვებული კვალის მავნე ზემოქმედების. შეთქმულების თეორეტიკოსთა აზრით, ეს თვითმფრინავის ძრავიდან გამოტყორცნილი ნაერთებია, ხოლო „ქიმიური ბილიკების“ გაჩენის შედეგად ამინდი და ადამიანების ჯანმრთელობა უარესდება.

არიან ადამიანები, რომლებმაც სპეციალური ოპტიკური მოწყობილობებიც კი შეიძინეს, რითიც აღნიშნულ კვალს იღებენ და შემდეგ სოციალურ ქსელებში ფოტოებსაც დებენ. მოსახლეობის ამ ნაწილის შეშფოთებას იზიარებენ სხვადასხვა დარგის მეცნიერთა ჯგუფებიც, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ეს აღარ არის ჩვეულებრივი კვალი, რომელიც მაღალ სიმაღლეზე მფრენ თვითმფრინავებს ბუნებრივად ახლავს. ამჯერად პანიკას იწვევს ის გარემოება, რომ მოვლენა საკმაოდ გახშირდა, ხოლო კვალს ტოვებენ არამხოლოდ ზებგერითი ლაინერები, არამედ დაბალ სიმაღლეზე მოძრავი თვითმფრინავებიც, რომელთა ტრაექტორიაც სწორედ დასახლებული ობიექტების თავზე გადის.

**— მაინც რა ნივთიერებებზეა ლაპარაკი ან რაში მდგომარეობს მათი ჰაერში გაფრქვევის მიზანი?**

— ჩნდება გონივრული ეჭვი, რომ მიმდინარეობს მოსახლეობისთვის განსაკუთრებით სახიფათო ექსპერიმენტი; ანდა ეს არის შხამქიმიკატები, რომლითაც მოქმედებენ ფაუნასა და ფლორაზე; არც ფარულ ბიოლოგიურ და ბაქტერიოლოგიურ ომს გამორიცხავენ პლანეტაზე მოსახლეობის რაოდენობის შესამცირებლად. შეთქმულების თეორეტიკოსები თვლიან, რომ თვითმფრინავები ფარულად ასხურებენ კორონავირუსს, ქიმიკატებს, მძიმე მეტალებს და კიბოს გამომწვევ ნივთიერებებს. ასეთი თვითმფრინავები ბოლო დროს საკმაოდ მომრავლდა საქართველოს ცაზეც. პირადად მე, განსაკუთრებით, კარგ ამინდში კახეთიდან თბილისისკენ მომავალს ხშირად შემიმჩნევია, როგორ სერავს თბილისის ცას ერთდროულად რამდენიმე თვითმფრინავი და თეთრ კვალს ტოვებს.

ერთმა ჩემმა მეგობარმა, რომელიც გერმანიაში ცხოვრობს, სპეციალური ოპტიკური მოწყობილობით ახლო მანძილიდან გადაიღო ასეთი თვითმფრინავები და გამოჩნდა, რომ კვალს პულსაციური ეფექტი აქვს, ხან ინტენსიურად ჩნდება და ხან — საერთოდ ქრება... ნუთუ ერთსა და იმავე სიმაღლეზე მფრენი აპარატები პერიოდულად ძრავს თიშავენ? **სამწუხაროდ, ბოლო დროს გაჩნდა ტენდენცია, რომლის მიხედვითაც, თუ მოქალაქე დასვამს კითხვას და პასუხს მოითხოვს — მას „შეთქმულების თეორიის“ მომხრედ აცხადებენ, დასცინიან, ანდა სულაც საზოგადოებიდან რიყავენ...** არადა, ამ კითხვებს პასუხები მართლაც სჭირდება! მოსახლეობას აქვს უფლება, იცოდეს — უნდა იყოს მშვიდად თუ განგაშის ზარი დაარისხოს!

**— რა საშუალება არსებობს იმისთვის, რომ მოსახლეობის შეკითხვებს არგუმენტირებული პასუხები გაეცეს?**

— უნდა მოხდეს ჰაერში გაფრქვეული ნივთიერებების ანალიზი, რასაც, უპირველესად, ხელისუფლების ნება სჭირდება!

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***

## კვირგვინოსნები

**მანანა კოზაკოვა**
*მსახიობი*



**მსახიობებს ბევრი ცრურწმენა გვახასიათებს:** სცენაზე ლურსმანს თუ იპოვი, აუცილებლად უნდა ჩააჭედო და როლი მაშინ გამოგივა; **სასცენო კოსტიუმს როცა იკერავ, ძაფი თავზე უნდა დაიდო, თორემ როლი არ გამოგივა;** თუ სცენარი დაგივარდა, მაშინვე ზედ უნდა დააჯდე...

„სარკე“

**ივანე ჩხაიძე**
*იაშვილის სახელობის ბავშვთა საავადმყოფოს კლინიკური დირექტორი*



ქალაქში მოცირკულარე ვირუსების დაახლოებით 25 პროცენტი **რინოვირუსია,** რომლის უკან დგას გაციება, ხოლო 25 პროცენტია **რესპირაციულ-სინციტიური ვირუსი,** რომელიც მოსახლეობის განსაზღვრული ჯგუფებისთვისაა საშიში. **გრიპის ვირუსი** ამ ვირუსებისგან განსხვავებით უფრო მეტად მძიმე მიმდინარეობით ხასიათდება და გართულების რისკი, ისეთი, როგორიცაა, მაგალითად, **ფილტვების ანთება, ენცეფალიტი,** გრიპის ვირუსს ძალიან მაღალი აქვს.

„კვირის პალიტრა“

**თამარ გაბუნია**
*ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე*



**კოვიდი არ გამქრალა,** მაგრამ მდგომარეობა სტაბილურია — რამდენიმე კვირაა, **ვირუსის შემთხვევები 150-ს არ სცილდება.**

„რეზონანსი“

**თაკო ცქვიტინიძე**
*მსახიობი, ტელეწამყვანი*



არ იყო მარტივი სარკეში ჩახედვამდე გამოვლილი გზა. **მადლიერი ვარ ღმერთის,** რაც მაქვს და ყოველი დღის გათენებისთვისა და დაღამებისთვის.

„თბილისელები“

# პატიმარ სააკაშვილის ციხეში საკითხავი

# სააკაშვილის „ძალის გამოღვიძება“ და რუსთავის საპყრობილეში მიძინება!




დასაწყისი იხ. „ა-დ“, 2022 წლის №9-49

***„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს მიხეილ სააკაშვილის ქართულ ენაზე დასტამბული მემუარების მიმოხილვას. ეს წიგნი ნაცთა ფიურერმა ჯერ კიდევ უკრაინაში ცხოვრებისას გამოსცა და იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც სწორედ ამ ნაშრომით გეგმავდა საქართველოში სარევოლუციოდ „ძალის გამოღვიძებას“, როგორც ადოლფ ჰიტლერი თავისი „მაინ კამპფით“, ანუ „ჩემი ბრძოლით“!***

**სააკაშვილი** თავის მემუარებში აშკარად მტკივნეულად იხსენებს, როგორ შეიძულა ის ქართველმა საზოგადოებამ და თითქოს ამაში დამნაშავე არა თავად, არამედ ვიღაც „ბოროტი ძალები“ იყვნენ, მიზანმიმართულად რომ აძულებდა ხალხს ამ „დიდ რეფორმატორს“:

***„მე მაბრალებდნენ, რომ ძალიან ბევრს ვჭამ. მეტი ვერაფერი ნახეს: კორუფცია აღარ იყო მთავარი თემა, ამის არავის სჯეროდა. ამიტომაც აღზევდა ყველანაირი სუში, ხინკალი, მასაჟისტი ქალები. საზოგადოებას ეს ყოველთვის მიეწოდებოდა აღტყინებით, ისტერიკით, მხოლოდ იმისთვის, რომ ჩემდამი სიძულვილი გამოეწვიათ. ხოლო მოგვიანებით კონკრეტული სიმბოლოებიც გაჩნდა“*** *(მ. სააკაშვილი, „ძალის გამოღვიძება“, გვ. 238).*

აი, აქ მემუარისტი მიადგა **სანდრო გირგვლიანის** სასტიკი მკვლელობის ძალიან გახმაურებულ საქმეს და თავად შეაფასეთ, როგორ ამაზრზენად ცდილობს აქედან გამოძრომას:

***„2006 წელს მოხდა ამბავი, რომელმაც ძლიერი დარტყმა მოგვაყენა. მისი მსხვერპლი გახდა ცენტრალური უბნის მცხოვრები, სწორედ იმ ფენის წარმომადგენელი, რომელსაც ძალიან არ ვუყვარდით“*** *(იქვე, გვ. 238).*

დააკვირდით, სააკაშვილი როგორ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ **სანდრო გირგვლიანი** ცენტრალური უბნის წარმომადგენელი იყო, ჩვენი რეფორმების წყალობით, გავლენადაკარგული ხალხის — სწორედ იმ ფენის წარმომადგენელი, რომელიც ვერ გვიტანდაო, ანუ მემუარისტი ამთავითვე იქმნის ალიბს, რომ სანდრო გირგვლიანის მკვლელობის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი სწორედ ამ ცენტრალური უბნის მაცხოვრებელთა ნაცრეჟიმისადმი წინასწარი ნეგატიური დამოკიდებულებით იყო განპირობებულიო!

და სააკაშვილი ამ უმძიმეს დანაშაულს ისე აღწერს, რომ პირდაპირ სანდრო გირგვლიანს ადანაშაულებს მომხდარში:

***„შინაგან საქმეთა მინისტრის მეუღლე მის თანამშრომლებთან ერთად მოდურ ბარში აღნიშნავდა დაბადების დღეს. ეს ბიჭი, რომლის სახელი და გვარი მთელმა საქართველომ იცის, თავად მივიდა მათთან და უხამსი სიტყვებით შეელაპარაკა. გაჩნდა კონფლიქტი. როდესაც მანდილოსნები გავიდნენ, პოლიციის თანამშრომლებმა*** *(რომლებიც იმ დროს არ ასრულებდნენ თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობას)* ***ის ახალგაზრდა ბიჭი დაიჭირეს და დასჯის მიზნით გასალახად ახლომდებარე ტყეში წაიყვანეს. მაგრამ ის მათ ხელიდან გაუსხლტა და გაიქცა, გაქცევისას კი ხევში გადაიჩეხა და სასიკვდილოდ დაშავდა. მისი ძებნა პოლიციელებს არ დაუწყიათ, დილით კი გარდაცვლილი ნახეს“*** *(იქვე, გვ. 238).*

როგორც ხედავთ, მემუარისტი დაუფარავად ამხელს **სანდრო გირგვლიანს,** „თავად მივიდა მათთან და უხამსი სიტყვებით შეელაპარაკაო“. აი, პოლიციელებს კი, ასევე დაუფარავად ამართლებს, ჯერ ერთი, მხოლოდ სუფრიდან მანდილოსნების გასვლის შემდეგ დაელაპარაკნენ სანდრო გირგვლიანს (ნახეთ, როგორი ღირსეული მამაკაცები არიანო), მეორეც, ნახეთ, ისინი ამ დროს არ ასრულებდნენ თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობასო და, ბოლოს, გირგვლიანი დასჯის მიზნით გასალახად ახლომდებარე ტყეში კი წაიყვანეს, მაგრამ ის მათ ხელიდან გაუსხლტა და გაიქცა, გაქცევისას კი ხევში გადაიჩეხა და სასიკვდილოდ დაშავდაო! ამ პოლიციელებს კი არც კი უცდიათ, გაკიდებოდნენ სანდრო გირგვლიანსო!

არადა, **სააკაშვილი არცერთი სიტყვით არ ახსენებს, რომ სანდრო გირგვლიანი გაქცევამდე სასტიკად აწამეს და მას სხეული სულ დასერილი ჰქონდა:** ექსპერტიზამ ოცამდე ბასრი საგნით მიყენებული ჭრილობა დაადგინა, მათ შორის, ყელზე!

ამის შემდეგ სააკაშვილი ასე აღწერს მოვლენათა განვითარებას:

***„ეს პოლიციელები სწრაფად გამოავლინეს სატელეფონო ზარების მეშვეობით და დააპატიმრეს. მაგრამ ამბავი ხომ მინისტრის მეუღლეს და იმ გარემოებას უკავშირდებოდა, რომ ისინი სამართალდამცავი ორგანოებიდან იყვნენ. ასე გაჩნდა მსხვერპლი, სიმბოლო. ეს ბიჭი მიყრუებული სოფლიდან რომ ყოფილიყო, არავინ არაფერს იტყოდა. ის კი „ოქროს ახალგაზრდობის“ წარმომადგენელი იყო. ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა ეს სამწუხარო კერძო შემთხვევა ისევე, როგორც სხვა ზემოთ მოყვანილი შემთხვევები*** *(მაგ.: ბუტა რობაქიძის საქმე)* ***სისტემურ დანაშაულად გამოაცხადეს და მრავალი თვის მანძილზე, პრაქტიკულად, ყოველდღე ტელევიზიებში ავრცელებდნენ ამ ამბავს იმ მიზნით, რომ ახალი ხელისუფლებისადმი სიძულვილის გრადუსი აეწიათ“*** *(იქვე, გვ. 239).*

აი, ასე: სააკაშვილი პირდაპირ ამბობს, რომ **სანდრო გირგვლიანი რომელიმე მიყრუებული სოფლიდან რომ ყოფილიყო, მის მკვლელობას ამდენი აჟიოტაჟი არც მოჰყვებოდა და ხმასაც არავინ ამოიღებდაო!**

დიახ, სააკაშვილი იმაზე კი არ წუხს, რომ მისმა პოლიციის მაღალჩინოსნებმა ახალგაზრდა კაცი წამებით მოკლეს, არამედ იმაზე, რომ სანდრო გირგვლიანი ჩვენი ხელისუფლების საუბედუროდ, ცენტრალური უბნის მაცხოვრებელი და გავლენიანი ფენის წარმომადგენელი იყოო!

არადა, პოლიციის მაღალჩინოსანთა ამაზრზენ დანაშაულზე საზოგადოების მკვეთრად უარყოფითი რეაქცია რომ არა, იმ ჯალათებს არათუ არც კი დააპატიმრებდნენ, თანამდებობებზეც დატოვებდნენ! მაგრამ სააკაშვილი, უბრალოდ, იძულებული გახდა, პოლიციელებისთვის ხელბორკილები დაედოთ, რადგან ხალხის რეაქციამ შეაშინა!

თუმცა, სააკაშვილი ერთ რამეს კი აღიარებს, რომ ვანო მერაბიშვილი უნდა გადაეყენებინა:

***„მაშინ შეცდომა დავუშვი. მე უნდა მომეხსნა მერაბიშვილი და ეს კინაღამ გავაკეთე. ვანოს ვესაუბრე. მაგრამ შემდეგ პარლამენტის და მთავრობის რამდენიმე წევრმა ამ განზრახვაზე ხელი ამაღებინა. კიდევ ვნანობ, რომ არ შევხვდი დაღუპულის ოჯახს და აგორებული პოლიტიკური ისტერიის მაღლა ვერ დავდექი“*** *(იქვე, გვ. 239).*

რა თქმა უნდა, სააკაშვილის ამ ფარისევლურ სინანულს გახვრეტილი შაურიანის ფასიც არა აქვს! როდესაც იმ სასტიკი მკვლელობიდან ათი წლის შემდეგ, ვითომ მორალური პოზიციიდან, წერს, ნეტავ, მაშინ სანდროს ოჯახს შევხვედროდიო და რამდენიმე წინადადებით ადრე პირდაპირ, დაუფარავი სიძულვილით ამბობს — **ეს ბიჭი მიყრუებული სოფლიდან რომ ყოფილიყო, არავინ არაფერს იტყოდა, ის კი „ოქროს ახალგაზრდობის“ წარმომადგენელი იყოო** — ამით ყველაფერი დღესავით ნათელია!

და აი, ამ „ნიანგის ცრემლების“ გადმოფრქვევისთანავე შემდეგ აბზაცშივე მემუარისტი ისევ თავის რეალურ სახეს წარმოაჩენს, როგორი კაცთმოძულეც ბრძანდება:

***„ჩვენს მოწინააღმდეგეებს ჩვენი თავიდან მოშორება რევოლუციური გზით სურდათ. ისინი „ვარდების რევოლუციის“ გამეორებას აპირებდნენ თავისი გაგებით და აღშფოთების ნებისმიერ საბაბს ეძებდნენ. ჩირქგროვა 2007 წლის შემოდგომაზე გასკდა. ნოემბრის დასაწყისში თბილისის ცენტრში მოეწყო დიდი დემონსტრაცია — გამოვიდა ყველა უკმაყოფილო: გათავისუფლებული ჩინოვნიკები. უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებლები, პატიმართა ნათესავები“*** *(იქვე, გვ. 239).*

როგორც ხედავთ, სააკაშვილი დაუფარავად, „ჩირქგროვას“ უწოდებს მისი პათოლოგიური რეჟიმით უკმაყოფილო ხალხს, არადა, ერთი სიტყვითაც არ ამბობს, რომ 2007 წლის ნოემბრის არეულობა არც კი მოხდებოდა, რომ არა, 2007 წლის 2 ნოემბრის დილით პარლამენტის წინ თავმოყრილი სულ რამდენიმე ათეული აბსოლუტურად მშვიდობიანი დემონსტრანტის სასტიკი დარბევა მენაგვეების ფორმაში გადაცმული პოლიციელების მიერ! აი, სწორედ ამის შემდეგ გამოვიდა ხელისუფლების პათოლოგიური ძალადობით აღშფოთებული ათასობით კაცი საპროტესტო აქციაზე პარლამენტის წინ!

მემუარისტი კი კვლავაც გასაოცარი ცინიკურობით ასე ამართლებს ნოემბრის დემონსტრაციების სასტიკ დარბევებს:

***„ხუთი დღის შემდეგ ყველაზე აგრესიულები კვლავ გამოვიდნენ ქუჩაში. დაიწყო შეტაკებები პოლიციასთან, ოპოზიციას შემოეშველა დახმარება. პოლიციამ ცრემლსადენი გაზი და ხელკეტები გამოიყენა. გამსახურდიას დროს და მას მერეც გაცილებით დიდ მიტინგებს თბილისის ცენტრში ავტომატებით ხვრეტდნენ, ათობით ადამიანი იღუპებოდა, და ამას სჩადიოდნენ იმ სოციალური ჯგუფების წარმომადგენლები, რომლებიც 2007 წელს ხელისუფლების წინააღმდეგ გამოვიდნენ. ეს ყველაფერი ჩაფარცხეს, ეს აღარავის ახსოვს. აქ კი არავინ დაღუპულა, მაგრამ იყო ველური სიბრაზე და სიძულვილი“*** *(იქვე, გვ. 240).*

ანუ, რადგან სააკაშვილის ზონდერ-პოლიციელების მიერ 2007 წლის ნოემბრის მშვიდობიანი საპროტესტო აქციების უსასტიკესი დარბევისას არც არავინ დაღუპულა, ესე იგი, ეს ნაცრეჟიმის დანაშაულად არც ითვლებაო!

**შენ კი გენაცვალე მაგ უმწიკვლო ლოგიკაში „დიდო რეფორმატორო“ და „დემოკრატიის შუქურავ“!** მაგრამ ეს იქით იყოს, სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმის წინააღმდეგ მშვიდობიან დემონსტრაციებზე ქუჩაში გამოსული ქართველი ხალხის „ჩირქგროვად“ გამსაღებელ მემუარისტს თავად გაეხსნა ჩაბუდებული ჩირქიანი შიგთავსი და კიდევ ერთი ისტორიული „აღიარებითი ჩვენება“ მოგვცა:

მე და ჩემი ხელისუფლება რა, აი, **„გამსახურდიას დროს და მას მერეც გაცილებით დიდ მიტინგებს თბილისის ცენტრში ავტომატებით ხვრეტდნენ, ათობით ადამიანი იღუპებოდა!“**

დიახ, დიახ, სააკაშვილმა ზვიად გამსახურდია, არც მეტი, არც ნაკლები, მიტინგების დახვრეტაში დაადანაშაულა!

**ეს ხომ ის არის, ზვიად გამსახურდიას საჯაროდ „დიქტატორსა“ და „კავკასიის ჰუსეინს“ რომ ეძახდა და ასე ამართლებდა საქართველოს დამაქცევარ, 1992-1993 წლების სისხლიან პუტჩსა და საქართველოს ერთადერთი ჭეშმარიტად ეროვნული ხელისუფლების დამხობას!**

***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***

## სააკაშვილმა სანდრო გირგვლიანის მკვლელობა თავად სანდრო გირგვლიანს დააბრალა!






## *მიხეილ სააკაშვილი:* ეს ბიჭი მიყრუებული სოფლიდან რომ ყოფილიყო, არავინ არაფერს იტყოდა. ის კი „ოქროს ახალგაზრდობის“ წარმომადგენელი იყო!

**გულზე 6 ათასამდე წარმატებული, მათ შორის, მრავალი ურთულესი ოპერაცია აქვს ჩატარებული, რაც ერთგვარი რეკორდია და იმას ნიშნავს, რომ 6 ათასამდე ადამიანი გადარჩენას სწორედ მას უმადლის! რით არის მნიშვნელოვანი კარდიოქირურგის პროფესია და რა სასწაულები ხდება ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრში? გვესაუბრება ამ კლინიკის კარდიოქირურგიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საქართველოს კარდიოქირურგთა ასოციაციის დამფუძნებელი, ევროპის კარდიოქირურგთა ასოციაციის წევრი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ზვიად ბახუტაშვილი:**



**„ამჟამად, არცთუ იშვიათად, ადამიანები პირიქით, უცხოეთიდან საქართველოში ჩამოდიან გულის სამკურნალოდ და გულზე ოპერაციის გასაკეთებლად!“**

## ზვიად ბახუტაშვილი:

# მსოფლიოში სულ 10-მდე კარდიოქირურგი ვართ, ვისაც 100-ზე მეტი ასეთი ოპერაცია ჩაუტარებია!

— ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრმა მიმდინარე საუკუნის დასაწყისიდან, საზოგადოების მენტალიტეტი შეცვალა და დაარწმუნა, რომ მაღალკვალიფიციური სამედიცინო მომსახურების მიღება საქართველოშიც შეიძლება. მანამდე ჩვენი მოქალაქეები გულზე ოპერაციის გასაკეთებლად ერევანში და თურქეთში დადიოდნენ... **ამჟამად, არცთუ იშვიათად, ადამიანები პირიქით, უცხოეთიდან საქართველოში ჩამოდიან გულის სამკურნალოდ და გულზე ოპერაციის გასაკეთებლად.** ჩვენს პაციენტთა შორის არაერთი თავის დარგში ცნობილი და სახელოვანი პიროვნებაა.

**— ყველაზე ხშირად რომელი ოპერაცია ტარდება გულზე?**

— **კორონარული შუნტირება** ითვლება გულზე ყველაზე გავრცელებულ ოპერაციად. ეს ის ოპერაციაა, რომლითაც ახალგაზრდა კარდიოქირურგები თავიანთ კარიერას იწყებენ, თუმცა, არის ისეთი რთული შემთხვევებიც, რომელიც მთელი კლინიკის მედპერსონალის მობილიზაციას მოითხოვს.

**— ოპერაციისთვის საგანგებოდ ემზადებით?**

— დილით ოპერაციაზე იმ განწყობით მივდივარ, თითქოს ოპერაციას პირველად ვაკეთებდე. საგანგებო სამზადისს არ ვახდენ, დილაადრიან ჩვეულებრივ ვდგები, წასვლამდე მსუბუქად ვვარჯიშობ და ვსაუზმობ, თუმცა, ოჯახის წევრებმა იციან, რომ, თუ იმ დღეს ოპერაცია უნდა გავაკეთო, რიტმიდან არ უნდა ამომაგდონ და ოჯახური წვრილმანი პრობლემების მოგვარება ამარიდონ...

**დიდი მნიშვნელობა აქვს განწყობას. ოპერაციის წინ ვერიდები ზედმეტ ფსიქოლოგიურ ემოციას, ვცდილობ, არ ვიფიქრო ისეთ საკითხებზე, რაც ადრენალინის გამოყოფას იწვევს.**

**— ძალიან ახლობელი პაციენტისთვის ან, სულაც, ოჯახის წევრისთვის თუ გაგიკეთებიათ ოპერაცია?**

— რამდენჯერმე ახლო ნათესავისთვის მომიწია ოპერაციის გაკეთება. ვაღიარებ, პასუხისმგებლობის განცდიდან გამომდინარე, ეს ჩემთვის ძალიან რთული და არასასიამოვნო იყო. ნათესავების გარდა, ხშირად გამიკეთებია ოპერაცია საზოგადოებისთვის ცნობილი, ე.წ. „VIP“ პირებისთვის, რასაც ასევე ზედმეტი დაძაბულობა გამოუწვევია. დიახ, ქირურგიაში „VIP“ სინდრომი მართლაც არსებობს. მახსენდება ერთი ცნობილი შემთხვევა, როდესაც ისრაელის პრემიერ-მინისტრს სწორედ ექიმების მხრიდან გადაჭარბებული მონდომების გამო გაურთულდა მდგომარეობა. ნათესავისთვის ოპერაციის გაკეთება ამ მიზეზით არ მსურდა, სხვა ქირურგიც შევთავაზე, მაგრამ შორს დაიჭირა — აბა, რისთვის ვართ ნათესავები, როცა მიჭირს, სხვასთან როგორ წავიდეო. ღმერთმა დაიფაროს, მაგრამ, თუ ოპერაცია ჩემი ოჯახის წევრს დასჭირდება, მე ნამდვილად ვერ გავუკეთებ, რადგან ნებისმიერი მცირე მანიპულაციის დროსაც კი ჭოჭმანი იწყება, რამდენად სწორად აკეთებ ამას, ამასობაში კი ის დრო იკარგება, რაც შესაძლოა, პაციენტის სიცოცხლისთვის გადამწყვეტი აღმოჩნდეს.

**— კარდიოქირურგიული ოპერაციები ხანგრძლივობით გამოირჩევიან. ყველაზე დიდხანს, გადაბმულად, რამდენ ხანს მდგარხართ საოპერაციო მაგიდასთან?**

— 12 საათი. ასეთი ხანგრძლივი ოპერაციების ჩატარებისას მხოლოდ ერთეული შემთხვევები მახსენდება, როცა რამდენიმე წუთით შემისვენია. ოპერაციის დროს თითქოს ანაბიოზში ვიმყოფებოდე — არც წყლის დალევა მახსენდება, არც ტუალეტში გასვლა. ასეთი ხანგრძლივი ოპერაციები, ძირითადად, გადაუდებელ შემთხვევებს ახლავს, როდესაც, ვთქვათ, აორტა სკდება. გეგმურ ოპერაციებზე დასტაქარი მეტ-ნაკლებად გათვლის ტაქტიკას, გადაუდებელი შემთხვევების დროს კი ქირურგი ახალ-ახალ პრობლემებს აწყდება, რომელთა მოგვარება გზადაგზა უწევს. დროის უმეტესი ნაწილი სწორედ ამას მიაქვს. ზოგჯერ გეგმური ოპერაციაც მოცულობითი გამოდის, რადგან ერთი მიდგომით ქირურგს უწევს რამდენიმე ეტაპობრივი მანიპულაციის შესრულება.

**— თქვენ მიერ ჩატარებული ოპერაციებიდან ყველაზე რთულ შემთხვევად რომელი გახსენდებათ?**





ზვიად ბახუტაშვილი და იაპონელი კარდიოქირურგი შიგეიუკი ოზაკი

— ამ ოპერაციის დინამიკა შემდეგ კიდეც გამოვაქვეყნე. ყველაფრის ერთად გაკეთება არ შეიძლება, რადგან მაღალი ტექნოლოგიების მიუხედავად, როდესაც სისხლის ხელოვნური მიმოქცევის ვადა საათნახევარს აღემატება, ორგანიზმში შესაძლოა, შეუქცევადი პროცესები განვითარდეს. დიდხანს ვუტრიალე ამ პაციენტს, რომ ოპერაციის მოცულობა შემემცირებინა, მაგრამ ვერაფერი მოვაკელი — 2 შუნტის და აორტის სარქვლის გაკეთება ესაჭიროებოდა, აღმავალი აორტა და აორტის რკალი იყო შესაცვლელი მისგან გამომავალ სამივე სისხლძარღვთან ერთად. ოპერაციის გაკეთება გავბედე, მაგრამ აქვე გეტყვით —ეს არ გახლდათ გადაწყვეტილება, რომელიც უნდა იყოს წახალისებული.

**— ისეთი რომელი ოპერაცია ტარდება ჩაფიძის კლინიკაში, რომლის გაკეთებას სხვა კლინიკებში ვერ ბედავენ?**

— მაგალითად, ე.წ. **„ოზაკის ოპერაცია“.** მსოფლიოში თანამედროვე ტექნოლოგიებმა ვერ შექმნეს აორტის ხელოვნური იდეალური სარქველი, რომელიც თავისი ჩაკეტვის ფუნქციით, გამტარიანობითა და ექსპლოატაციის ხანგრძლივობით ჯანმრთელი ადამიანის სარქვლის ფუნქციებს მიუახლოვდებოდა. იაპონელმა კარდიოქირურგმა **შიგეიუკი ოზაკმა** შეძლო პაციენტისვე გულის პერანგისგან ასეთი სარქვლის დამზადება და მისი ჩაკერება. შედეგად ვღებულობთ ისეთ სარქველს, რომელიც ჯანმრთელ სარქველთან მიახლოებული პარამეტრებით მუშაობს. **ვერცერთი ხელოვნური სარქველი ოზაკისეულ სარქველს თავისი პარამეტრებით ვერ ჯობნის!** თავად ოზაკის ჩათვლით, მსოფლიოში სულ 10-მდე კარდიოქირურგი ვართ, ვისაც 100-ზე მეტი ასეთი ოპერაცია გვაქვს ჩატარებული. სიამაყით მინდა ვთქვა, რომ მე ამ ათეულში არამცთუ შევდივარ, სადღაც შუაში ვიმყოფები... ამ ოპერაციის ჩატარების უკვე 6-წლიანი გამოცდილება დამიგროვდა, პარალელურად, ნაოპერაციებ პაციენტებზე მუდმივ მონიტორინგს ვაწარმოებთ და ამ მეთოდის ეფექტურობაში ვრწმუნდებით. **მინდა, გითხრათ, რომ სირთულის მიხედვით, ჩაფიძის კლინიკაში ოზაკის ოპერაციაზე გაცილებით რთულ ოპერაციებს ვატარებთ, როცა აორტის რკალს ვცვლით და ამ დროს უნდა გაითიშოს ტვინის სისხლით მომარაგება...**

**— ამას როგორ ახერხებთ?**

— აორტის რკალიდან ხომ თავის ტვინის მკვებავი სისხლძარღვები გამოდის. მოგეხსენებათ, თავის ტვინის სისხლით მომარაგების შეფერხება რამდენიმე წამითაც დაუშვებელია, რადგან შეიძლება ტვინში შეუქცევადი პროცესები გამოიწვიოს. ოპერაციის სირთულეც სწორედ ამ დილემის გადაჭრაში მდგომარეობს. თანამედროვე მედიცინაში სხვადასხვა საშუალებათა შორის არსებობს **„ღრმა ჰიპოთერმიის“** მეთოდი, როცა ორგანიზმის ტემპერატურა 24 გრადუსზე ქვემოთ, ზოგჯერ 18 გრადუსამდე შეიძლება ჩამოვიყვანოთ. ასეთ მდგომარეობაში შესაძლებელია, თავის ტვინს 20-40 წუთის განმავლობაში შევუწყვიტოთ სისხლის მიწოდება, რაც საშუალებას იძლევა, ხელოვნური სისხლის მიმოქცევაც შეწყდეს და ეს დრო ქირურგმა სისხლძარღვებზე მუშაობისთვის ოპტიმალურად გამოიყენოს, თუმცა, რისკები ამ მეთოდსაც ახლავს. განსაკუთრებით რთული პოსტოპერაციული რეაბილიტაციის პერიოდია, რადგან სისხლის შემადედებელი ფაქტორები იცვლება. **ჩვენ შევქმენით ისეთი ვარიანტი, რომელიც საშუალებას გვაძლევს, ორგანიზმი 32 გრადუსზე დაბლა არ გავაცივოთ.**

**— რამე უჩვეულო შემთხვევა ხომ არ გქონიათ, რაც მატერიის კანონებს არ ექვემდებარებოდა?**

— დიახ, მქონდა რამდენიმე ასეთი შემთხვევა, როდესაც ჩემი პაციენტები სასწაულებრივად გადარჩენილან ისეთ სიტუაციაში, რომელშიც, სამედიცინო ლოგიკის თანახმად, გადარჩენის შანსი არ არსებობდა. ზოგჯერ ადამიანი უმნიშვნელო პრობლემას მიჰყავს სიკვდილამდე; ზოგჯერ პირიქით ხდება — მაშინ გადარჩება, როდესაც ყოველგვარ კანონზომიერებას ცდება მისთვის სიცოცხლის დაბრუნება.

**— მკურნალობის მიზნით, უპირველესად ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრს რატომ უნდა მიმართოს პაციენტმა?**

— იმიტომ, რომ ამ კლინიკაში მედპერსონალს უზარმაზარი გამოცდილება დაუგროვდა. განსაკუთრებით გუნდურ აზროვნებაზე მაქვს აქცენტი, რადგან, როდესაც ოპერაციას ვაკეთებ, შეიძლება 4 საათის განმავლობაში 4 სიტყვაც არ ვუთხრა ექთანს, არა იმიტომ, რომ ლაპარაკი მეზარება... მაგრამ მან შეუმცდარად იცის, რა ინსტრუმენტი უნდა მომაწოდოს გაწვდილ ხელში. დრო ის პარამეტრია, რომელიც ქირურგის მოკავშირე არ არის... აქ პერსონალი ერთმანეთთან შეთამაშებული და შეწყობილია, რაც იმას განაპირობებს, რომ ოპერაციის მსვლელობისას ეს ძვირფასი დრო პაციენტისთვის ოპტიმალური შედეგის მისაღწევად დაიხარჯოს!

**— საოცარი ადამიანი ბრძანდებით — 6 ათასამდე ადამიანი საკუთარი სიცოცხლის გადარჩენას გიმადლით და გლოცავთ. რა განცდა გეუფლებათ ამის გაცნობიერებისას?**

— ძალიან სასიამოვნოა იმის შეგრძნება, რომ ადამიანები ჩემში ხსნას და შვებას ხედავენ. ეს ის საწვავია, რომელიც მუდმივად გჭირდება. მადლობა უფალს, რომ ადამიანებისთვის სიკეთის გაკეთება შემაძლებინა!

*ესაუბრა* **ზაზა დავითაია**

# „განა ერთი და ორი შემთხვევა იყო, როცა ადამიანებმა გრიპის ვაქცინაცია ჩაიტარეს, მაგრამ კოვიდი უმძიმეს ფორმებში გადაიტანეს?“

***სეზონური გრიპებისა და სხვა ვირუსული ინფექციების მძლავრობისას მოსალოდნელი ხიფათის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ცნობილი მეცნიერი, ჰომეოპათი და ექიმი კახა საბახტარიშვილი სწორედ ამ საფრთხეებზე გვესაუბრება და საგანგებოდ გვაფრთხილებს, რომ ანტიბიოტიკები არცერთ ვირუსზე არ მოქმედებს და მათი თვითნებურად გამოყენება დაუშვებელია:***



## კახა საბახტარიშვილი:

# იცოდეთ, ვირუსებს სითბო კი არა, ჟანგბადი კლავს!



— ზამთარმა კარზე მოგვიკაკუნა და რესპირატორული, ანუ სასუნთქი გზების დაზიანებით მიმდინარე ვირუსული ინფექციების სეზონიც დადგა. თავიდანვე კატეგორიულად უნდა განვაცხადოთ, რომ **ანტიბიოტიკები არცერთ ვირუსზე არ მოქმედებს!** ამდენად, გრიპის სხვადასხვა შტამების, ომიკრონისა და გაციებით მიმდინარე სხვა ვირუსული ინფექციების დროს ანტიბიოტიკების თვითნებურად გამოყენება დანაშაულია. ანტიბიოტიკი მხოლოდ მაშინ გამოიყენება, თუ ვირუსულ ინფექციას თან ბაქტერიული ინფექციაც ერთვის! როგორც წესი, ეს დაავადების მსვლელობის მეორე ეტაპზე ხდება და ისიც ყოველთვის არა.

**— როგორ გამოვიცნოთ, რომ ვირუსულ ინფექციას ბაქტერიული ინფექციაც თან ერთვის და ანტიბიოტიკის მიღება აუცილებელია?**

— თუ პაციენტს სუნთქვა გაუძნელდა, ჩასუნთქვისას აღენიშნება ტკივილი, აქვს ჩირქოვანი ნახველი და გულისცემა 100 ერთეულზე მეტია, უნდა ვივარაუდოთ, რომ ვირუსულ ინფექციას თან ერთვის ბაქტერიული ინფექციაც. როგორც წესი, ამას მხოლოდ ექიმი განსაზღვრავს და ის წყვეტს, თუ რომელი ანტიბიოტიკი დაუნიშნოს პაციენტს.

**— დღეს რომელი ვირუსები ცირკულირებს საქართველოში?**

— დღეს ძირითადად სამი ტიპის რესპირატორული ვირუსი გვხვდება: ომიკრონი, რესპირატორულ-სინტიციური ვირუსი და „ჰონ-კონგის გრიპი“. ომიკრონზე ბევრი გვისაუბრია და ამდენად მასზე აღარ შევჩერდები, რაც შეეხება რესპირატორულ-სინტიციურ ვირუსს, ხუთ წლამდე ბავშვებსა და ახალშობილებში სწორედ ეს არის გაციებითი დაავადების ხშირი მიზეზი. ეს ვირუსი 1956 წელს პირველად შიმპანზეებში აღმოაჩინეს, ხოლო ერთი წლის შემდეგ — ადამიანებში, მათ შორის, ყველაზე მეტად ბავშვებში. ცნობილია ასეთი სტატისტიკა— 1,5 წლამდე ბავშვებში, რომლებსაც მწვავე რესპირატორული ვირუსული ინფექცია აქვთ, 90 პროცენტი სწორედ რესპირატორულ-სინტიციურ ვირუსზე მოდის, 5 წლის ასაკის ბავშვებში კი ეს მაჩვენებელი 100 პროცენტს აღწევს.

ბავშვებში აღნიშნული ვირუსული ინფექცია ხასიათდება მშრალი ხველით, ცხვირიდან გამონადენით, მაღალი ტემპერატურით, ტირილით და ძილიანობით. თუ ამ ნიშნებს ბავშვს შევამჩნევთ, სასწრაფოდ ექიმს უნდა მივმართოთ, რადგან ამ ინფექციას ახასიათებს ქვედა სასუნთქ გზებში, ანუ ფილტვებში გადასვლა და შესაძლოა, გამოიწვიოს ფილტვის პნევმონია, ანუ ანთება, ანდა ბრონქიტი. **არცთუ იშვიათია, როცა ზემოხსენებული ვირუსისგან გამოწვეული გართულება ყურის ანთებაში, ანუ ოტიტში, ან სინუსების წიაღის ანთებაში — სინუსიტში გადაიზრდება ხოლმე.**

**— ეს ვირუსი მხოლოდ ბავშვებს ერჩის?**

— ვირუსი ერჩის მოზრდილებსაც! **ის განსაკუთრებით სახიფათოა 65 წელს გადაცილებული ადამიანებისთვის, როცა ვირუსული ინფექციის მიმდინარეობა ძლიერი სისუსტით, თავის ტკივილით, მაღალი ტემპერატურით, უმადობით და მოწამვლის შეგრძნებით გამოიხატება.**

**— „ჰონ-კონგის გრიპი“ თითქოს ერთხელ მოვიშორეთ და ისევ შემობრუნდა?**

— დიახ, დღეს ვისაც გრიპი აქვს, თითქმის 80 პროცენტი სწორედ **„ჰონ-კონგის გრიპის“** შტამია. საერთოდ, „ჰონ-კონგის გრიპი“ ერთ-ერთი ყველაზე უფრო სახიფათო შტამია გრიპის შტამებს შორის. ამ შტამმა 1968-1969 წლებში, როცა ეპიდემიის სახით გავრცელდა, დედამიწაზე 1 მილიონი ადამიანი შეიწირა. ეს შტამი გამორჩეულია იმით, რომ ვითარდება ძალზე სწრაფად, ახასიათებს მაღალი ტემპერატურა — 39 გრადუს ცელსიუსზე მეტი, გულისრევა, ღებინება, ძლიერი თავის ტკივილი და ინტოქსიკაცია, იწყება ყელის „ჩახეხვით“, რომელსაც მოსდევს ხმის ჩახლეჩა და ძლიერი სისუსტე. ინფექცია საშინელი სისწრაფით ვრცელდება ბრონქებსა და ფილტვებში, ვითარდება ვირუსული პნევმონიის სურათი, ანუ ელვისებურად ზიანდება ფილტვის ქსოვილი. ყოველივე ზემოთქმულს თან ახლავს კუჭის აშლა, ძლიერი ინტოქსიკაცია, თავის ტკივილი და ძილიანობა. ადამიანი შესაძლოა, დაიღუპოს ორგანიზმის გაუწყლოვნების გამო. გრიპის ეს სახეობა იმ მხრივ არის საშიში, რომ, თუ ღორის ან ფრინველის გრიპის მიმართ ადამიანებმა ასე თუ ისე გარკვეული იმუნიტეტი გამოიმუშავეს, „ჰონ-კონგის გრიპის“ შტამის წინაშე ორგანიზმი დაუცველია.

**— რას იტყვით გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაციის შესახებ, რამდენად ეფექტურია ის?**

— როგორც ცნობილია, გრიპის ვირუსს ძალიან დიდი ცვალებადობა, ანუ მუტაცია ახასიათებს, ამდენად ვაქცინის ეფექტურობა ძალიან დაბალია და დაახლოებით 30-45 პროცენტს შეადგენს. გარდა ამისა, როცა კოვიდი არსად წასულა, გრიპის ვაქცინაციით ორგანიზმის იმუნური სისტემის გადატვირთვა მიზანშეწონილი არ არის. როცა ქვეყანაში პანდემია მძვინვარებს, სხვა აცრებს აღარ ატარებენ. ეს დაუშვებელია იმიტომ, რომ გრიპის ვაქცინაციის შედეგად იმუნური სისტემის აქტივობა გარკვეული დროის განმავლობაში ქვეითდება და ამ დროს დასუსტებულ ორგანიზმს კოვიდი რომ შეხვდეს, ხომ წარმოგიდგენიათ, რა პრობლემების წინაშე აღმოვჩნდებით? აქედან გამომდინარე, სრულიად ვეთანხმები საქართველოში იმუნოლოგიის ფუძემდებლის, იმუნოლოგთა არაერთი თაობის აღმზრდელის, ცნობილი მეცნიერის, აკადემიკოს **ნოდარ ბოგებაშვილის** სიტყვებს — *„როცა კოვიდი მძვინვარებს, გრიპის ვაქცინაციის ჩატარება ცეცხლზე ნავთის დასხმას ნიშნავს, რადგან დასუსტებული იმუნიტეტით კორონასთან შეხვედრა სიცოცხლის დაკარგვის ტოლფასია!“*

ესპანეთში ჩატარებული კვლევის თანახმად, რომელიც ბარბასტროს მოხუცთა თავშესაფარში განხორციელდა, „კოვიდ-19“-ით გარდაცვლილი 30 მოხუციდან 29 გრიპის ვაქცინით იყო აცრილი. ზუსტად იგივე ფაქტები დაფიქსირდა იტალიასა და ჩინეთში. როცა ორგანიზმში გრიპის ვაქცინა შეგვყავს, მაშინ იქ იმუნური პროცესი იწყება და საწყის ეტაპზე იმუნიტეტი სუსტდება. არადა, წესით, იმუნიტეტი უნდა გავაძლიეროთ. მოკლედ, გრიპის ვაქცინა საპირისპირო ეფექტს იწვევს და იმუნიტეტს აქვეითებს. **შარშან განა ერთი და ორი შემთხვევა იყო, როცა ადამიანებმა გრიპის ვაქცინაცია ჩაიტარეს, მაგრამ კოვიდი უმძიმეს ფორმებში გადაიტანეს?**

არის კიდევ ერთი საკითხიც — ზამთარში გაციებით მიმდინარე, ანუ მწვავე რესპირატორულ დაავადებებს, რომლებიც გრიპს ძალიან წააგავს, ორასამდე ვირუსი იწვევს — პარაგრიპი, ადენოვირუსები, კოქსავირუსები და ა.შ. არცერთ ამ ვირუსზე აცრა არ ტარდება. შესაბამისად, გრიპის ვაქცინა ამ ვირუსებისგან ვერანაირად ვერ დაგვიცავს.

ცნობისათვის: **საქართველოში არც პნევმოკოკის საწინააღმდეგო ვაქცინაციას ატარებს ვინმე მაშინ, როდესაც კოვიდზე თანდართული პნევმოკოკური ინფექცია, ფაქტობრივად, სასიკვდილო განაჩენია.** შემთხვევითი არ იყო ის ფაქტი, რომ გერმანიის ყოფილმა კანცლერმა **ანგელა მერკელმა** კოვიდპანდემიის დროს არა გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინა, არამედ პნევმოკოკის საწინააღმდეგო ვაქცინა გაიკეთა. მიმაჩნია, რომ გრიპის ვაქცინაცია მსოფლიო ფარმაცევტული მაფიის „შემოქმედებაა“, რომლის უკანაც გავლენიანი პიროვნებები დგანან. მათ შორის, **დიკ ჩეინიც,** რომელიც ამერიკის თავდაცვის მდივანი და ვიცე-პრეზიდენტი იყო. **პრეპარატი „ტამიფლუ“, რომელიც „ქათმის გრიპის“ ეპიდემიის დროს მთელ მსოფლიოში რეკორდული რაოდენობით გაიყიდა, სწორედ დიკ ჩეინის ფარმაცევტული კომპანიის მიერ არის წარმოებული. ასე რომ, რამ გამოიწვია „ქათმის გრიპი“, ეს უკვე მკითხველმა განსაჯოს...** საერთოდ, გრიპის ყველა დიდი ეპიდემია რატომღაც მძაფრ პოლიტიკურ მოვლენებს ემთხვევა! მაგალითად, **„ესპანური გრიპი“** პირველი მსოფლიო ომის დროს გავრცელდა, **„ჰონ-კონგის გრიპმა“** ვიეტნამის ომის დროს იფეთქა, **კოვიდპანდემია** რუსეთ-უკრაინის, რეალურად კი მესამე მსოფლიო ომის წინ დაიწყო...

**— რა მითები არსებობს გრიპის შესახებ და როგორ ვებრ-**

# „გრიპის ყველა დიდი ეპიდემია რატომღაც მძაფრ პოლიტიკურ მოვლენებს ემთხვევა!“

## კვირგვინოსნები

**ამირან შენგელია**

*მომხმარებელთა უფლებების დაცვის ასოციაცია „ეტიკეტის“ ხელმძღვანელი*



**ცხენის ხორცის** მირთმევა მიზანშეწონილი არაა, მაგრამ მავნებელიც არ არის. **ვირის ხორცი** კი საერთოდ აკრძალულია, არც არასდროს ყოფილა **ვირის ხორცი** ნებადართული, რადგან მავნებელია. რაც ადამიანს სჭირს ქრონიკული დაავადება, **ვირის ხორცი** იმ დაავადებებს აუარესებს. როცა ადამიანი ყიდულობს **საქონლის ხორცს,** სირცხვილი არ არის საბუთების მოთხოვნა, უნდა ჰქონდეს ფორმა 2, **უნდა შეხედო, ბეჭედი, შტამპი დარტყმული აქვს თუ არა ხორცს.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ანზორ თოთაძე**

*დემოგრაფი*



საფრთხის წინაშე კი არ ვდგავართ, უკვე ვართ საფრთხეში, **დემოგრაფიული სურათის შეცვლა დაწყებულია.** მასობრივად გადიან ქართველები და მასობრივად შემოდიან უცხო ენისა და კულტურის მქონე ხალხები. ასეთ მასობრივ შემოდინებას ისეთი მცირერიცხოვანი ქვეყანა, როგორიც საქართველოა, ვერ გაუმკლავდება. **ჩვენ ნამდვილად გვემუქრება გადაგვარება!**

„კვირის პალიტრა“

**დავით კირკიტაძე**

*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



**კეზერაშვილი და მერაბიშვილი** კი არა, ყველა ძვირფასია ოლიგარქთან ბრძოლაში. ბევრს აქვს განცდა, **რომ ნაცმოძრაობა არ აკეთებს იმას, რასაც უნდა აკეთებდეს,** რაზეც პასუხისმგებლობა პარტიის თავმჯდომარეს ეკისრება.

„კვირის პალიტრა“

**ვაჟა სურგულაძე**

*ჯანდაცვის ექსპერტი*



მაღალი ტემპერატურით ბავშვებს ვერ იღებენ კლინიკები, **სასწრაფო გამოძახებაზე** არ მიდის, ჩვენ მაღალ სიცხეზე არ გავდივართო. აბა, სად გადიხართ?!

„ახალი თაობა“

# „ჩვენი წინაპრები გრიპისა და სხვა ეპიდემიების გავრცელებისათვის ყველაზე ხელსაყრელ პერიოდად სავსემთვარეობას მიიჩნევდნენ!“

**ძოლოთ გრიპს ოჯახურ პირობებში?**

— მითია, თითქოს გაციებისა და გრიპის დროს ცხელ რძეში გახსნილი თაფლი სასარგებლოა. რძე ბაქტერიებისა და ვირუსების გამრავლებისთვის იდეალური ადგილია. რაც შეეხება თაფლს, ის შესანიშნავი პროდუქტია და უამრავ დაავადებას კურნავს, მაგრამ მისი ცხელ სითხეში გახსნა ან გაცხელება არ შეიძლება. ასეთ დროს თაფლი გამოყოფს ფენოლებს, რომელიც კიბოს იწვევს.

ბევრი მიიჩნევს, რომ გაციებისა და გრიპის დროს იდეალურია ცხელ ჩაიში ჩაწურული ლიმონი. **გაციების დროს საუკეთესოა არა ლიმონის წვენი, არამედ ლიმონმჟავა, რომელიც სულ სხვა პროდუქტია.** ლიმონის წვენი ტუტე პროდუქტია, არადა, მეცნიერულად დადგენილია, რომ გრიპისა და სურდოს დროს ორგანიზმში მჟავე-ტუტოვანი წონასწორობა ტუტეს სასარგებლოდ ირღვევა. ამდენად, ისედაც გატუტიანებულ ორგანიზმს კიდევ უძლიერებს ტუტე პროდუქტს, ლიმონის წვენს თუ დავუმატებთ, ხომ წარმოგიდგენიათ, ორგანიზმს რა დღეში ჩავაგდებთ?

**— აბა, რა ვქნათ და რა მივიღოთ?**

— **გრიპის დროს უმჯობესია, მივიღოთ თბილ წყალში გახსნილი ლიმონმჟავა, რომელიც ნებისმიერ აფთიაქში იყიდება.** მითია ისიც, რომ თითქოს ცხვირში ნივრის წვენის ჩაწვეთება გრიპისა და სურდოსგან დაგვიცავს.




## „პრეპარატი „ტამიფლუ“, რომელიც „ქათმის გრიპის“ ეპიდემიის დროს მთელ მსოფლიოში რეკორდული რაოდენობით გაიყიდა, სწორედ დიკ ჩეინის ფარმაცევტული კომპანიის მიერ არის წარმოებული. ასე რომ, რამ გამოიწვია „ქათმის გრიპი“, ეს უკვე მკითხველმა განსაჯოს!“






ლოდ საუკეთესოა ბევრი სითხის მიღება, რაც იწვევს დეტოქსიკაციას და ორგანიზმიდან მავნე ვირუსებს „რეცხავს“. ბევრი მიიჩნევს, რომ გრიპიანი პაციენტი ძალიან თბილ და მჭიდროდ დაგმანულ ოთახში უნდა იჯდეს. სინამდვილეში ოთახი ხშირად უნდა ნიავდებოდეს, რადგან ვირუსებს სითბო კი არა, ჟანგბადი კლავს!

ბევრს მიაჩნია, რომ გრიპის დროს ბანაობას უნდა შევეშვათ. პირიქით, **ცხელი აბაზანა გრიპის ეფექტურად და უმოკლეს დროში დასამარცხებლად საუკეთესო საშუალებაა!** მე-11 საუკუნის ქართული სამედიცინო ტრაქტატის — „უსწორო კარაბადინის“ ავტორი ქანანელი გრიპიან ავადმყოფებს ურჩევს — *„წამალი მისი აბანოს ებანოს და გულისა პირი თბილისა წყლითა დაიბანოს... აბანოსა მივიდეს და ცხელსა წყალსა შიგა ჩაჯდეს! რაი გამოვიდეს, ფიცხლად დაიხუროს, ტანი დაიზილოს და ოფლი გამოიცეს!“* მოკლედ, ძველ საქართველოში გრიპის დასამარცხებლად ყველაზე ეფექტურ საშუალებად მიჩნეული იყო ცხელი აბაზანა, ტანის ძლიერად დაზელა და თბილ საწოლში ოფლის მოდენა. ათი საუკუნე გავიდა და ყველა ეს ინსტრუქცია თანამედროვე მედიცინის მიერ აღიარებულია.

**— ძველ საქართველოში გრიპს რას ეძახდნენ?**

— ძველ საქართველოში გრიპს **„ცხრო“** ერქვა! ცნობისათვის: ჩვენი წინაპრები გრიპისა და სხვა ეპიდემიების გავრცელებისათვის ყველაზე ხელსაყრელ პერიოდად სავსემთვარეობას მიიჩნევდნენ. ჩემი დაკვირვებით, **სავსემთვარეობის დროს გრიპიანი პაციენტების რიცხვი ორმაგდება.**

**— გრიპიან პაციენტს სიცხის დამწევი პრეპარატი როდის უნდა მივცეთ?**

— გვახსოვდეს, რომ ორგანიზმი ვირუსს 37,5-38,5 გრადუს ცელსიუსის დიაპაზონში თვითონ ანადგურებს. ამიტომ **სიცხის დამწევი უნდა გამოვიყენოთ მაშინ, თუ სიცხე 38,5 გრადუსს გადასცდება,** თუმცა, ერთიც გავითვალისწინოთ: ასაკოვან ადამიანებს ნივთიერებათა ცვლა შენელებული აქვთ და ამიტომ მათი ნორმალური ტემპერატურა შესაძლოა, ნორმაზე დაბალი იყოს, ამიტომ მათთვის 38 გრადუს ცელსიუსი ტემპერატურაც უკვე სახიფათოა და სიცხის დამწევი უნდა მივცეთ.

**— რამდენად სწრაფად შეიძლება გაცივდეს ადამიანი?**

— მითია, თითქოს გრიპი სიცივემ განაპირობა. გრიპი ვირუსული ინფექციაა და ის მხოლოდ ჰაერწვეთოვანი გზით გადაეცემა. ამიტომ ფეხების გაციება, ორპირი ქარი ვირუსულ ინფექციასთან არავითარ კავშირში არ არის. გაციება მომენტალურად შეიძლება მოხდეს, მაგრამ ვირუსული ინფექციის განვითარებას ვირუსის ორგანიზმში მოხვედრა სჭირდება და სიცივე, ცივი წყალი და ნაყინი იქ არაფერ შუაშია.

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***




**ნივრის წვენმა ცხვირის ლორწოვანი გარსის ძლიერი გაღიზიანება შეიძლება გამოიწვიოს. არადა, რეალურად ვირუსებისაგან ჩვენ სწორედ სასუნთქი გზების და მათ შორის ცხვირის ლორწოვანა გვიცავს.**

მითია ისიც, რომ გრიპისა და ვირუსებისგან C ვიტამინი დაგვიცავს. იმისათვის, რომ C ვიტამინმა გრიპისგან დაგვიცვას, დღის განმავლობაში 6-8 გრამი C ვიტამინი მაინც უნდა მივიღოთ. ამ რაოდენობის ასკორბინის მჟავას მიღება, რომელიც რეალურად ტაბლეტების მთელი ყუთია, ორგანიზმს თუ რას დამართებს, ძნელი გამოსაცნობი არ არის! ცნობისათვის, **C ვიტამინის მაქსიმალური დღიური დოზა მხოლოდ 100 მილიგრამია.** C ვიტამინი გრიპსა და კორონას თავიდან არ აგვაცილებს, მაგრამ იმის გამო, რომ სისხლძარღვებს ამაგრებს, მისი გამოყენება კორონავირუსული ინფექციის დროს სიკვდილიანობას 70 პროცენტით ამცირებს!

რესპირატორული ვირუსული ინფექციების სამკურნა-

## „გრიპის დროს უმჯობესია, მივიღოთ თბილ წყალში გახსნილი ლიმონმჟავა, რომელიც ნებისმიერ აფთიაქში იყიდება!“

### კვირგვინოსნები



**დავით მირცხულავა**
*ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი*

დღეს საქართველოს ელექტროსისტემას აქვს საშუალება, **გარკვეული დროის მონაკვეთში გავთიშოთ ენგურჰესი** და დე ფაქტო აფხაზეთი იზოლირებული იყოს საქართველოს ენერგოსისტემიდან. „თბილისელები“



**ალექსანდრე ლუკაშენკო**
*ბელარუსის პრეზიდენტი*

ყველაფერი უკრაინის ხელშია, **დიდი მსხვერპლი თუ არ უნდათ,** შეწყვიტონ მოქმედება!
„რეზონანსი“



**გიორგი გაჩეჩილაძე**
*მწვანეთა პარტიის ლიდერი*

ამერიკელებმა რუსები გააფრთხილეს, რომ, თუ ის **ბირთვული იარაღის გამოყენებას** შეეცდება, უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდება.
„ახალი თაობა“

## *კახა საბახტარიშვილი:*
## კოვიდგადატანილთა დიდ ნაწილს კოვიდის გახანგრძლივებული სიმპტომები ემუქრება!

***კოვიდპანდემიის მძვინვარების ეპოქაში ჯანდაცვის სამინისტროს მიერ სრულიად უსაფრთხოდ აღიარებული პრეპარატი „იმუნო-ჰერბი“ იმუნიტეტის გაძლიერებისა და პროფილაქტიკის მიზნით როგორც საქართველოში, ისე იტალიასა და საბერძნეთში, მაკედონიასა და აშშ-ში ათასობით ადამიანმა მიიღო. შედეგები შთამბეჭდავი აღმოჩნდა... ვინც „იმუნო-ჰერბს“ ღებულობდა, 70-80 პროცენტს კოვიდი საერთოდ არ დაემართა, ხოლო, ვისაც „კოვიდ-19“ მაინც შეხვდა, დაავადება ყოველგვარი გართულების გარეშე გადაიტანა. ერთ-ერთი ასეთი პაციენტის წერილს უცვლელი სახით გთავაზობთ:***

**ა.დ., ქუთაისი, 67 წლის:** — ჯანმრთელობის მდგომარეობამ არ მომცა საშუალება, ვაქცინაცია ჩამეტარებინა. 2019 წლიდან ვღებულობ **„იმუნო-ჰერბს“** დღეში 3-ჯერ. ამ 3 წლის განმავლობაში არათუ კორონავირუსი, **გრიპიც არ დამმართნია.** რამდენიმე დღის წინ **„ომიკრონის“** შტამი შემეყარა. დავიწყე „იმუნო-ჰერბის“ მიღება დღეში 6-7-ჯერ 4-5 წვეთი. მხოლოდ ორი დღის განმავლობაში მქონდა სიცხე 37.5 გრადუსამდე და ძალზე მსუბუქად მტკიოდა ყელი. ორ დღეში ყველა მოვლენამ გაიარა, რამდენი ხანი შემიძლია გავაგრძელო **„იმუნო-ჰერბის“** მიღება და მასთან ერთად მივიღო **„გულის ელექსირიც“?**

**კახა საბახტარიშვილი:** — **„ომიკრონის“** შტამით გამოწვეული კოვიდინფექციის მსუბუქად და სულაც უსიმპტომოდ გადატანის შემთხვევაშიც კი 7-8 თვის განმავლობაში **კოვიდგადატანილთა დიდ ნაწილს** აღენიშნება ე.წ. **გახანგრძლივებული კოვიდის** სიმპტომები, რაც იმას ნიშნავს, რომ ორგანიზმში ვირუსი არაა, მაგრამ კოვიდის სიმპტომები — **სისუსტე, კუნთების ტკივილი, დეპრესია, ხველა** და ა.შ. რამდენიმე თვის განმავლობაში შეიძლება შენარჩუნდეს. ახლახან **აშშ**-ის წამყვან ჰომეოპათიურ ჟურნალში გამოქვეყნდა ამერიკელი და ინდოელი მეცნიერების კვლევები, სადაც ექიმები აღნიშნავდნენ **ექინაცეასაგან** დამზადებული ჰომეოპათიური პრეპარატის **„ექინაცეა ანგუსტიფოლიას“** საოცარ მოქმედებას როგორც კოვიდინფიცირებულ, ასევე კოვიდგადატანილ პაციენტებზე. **ჰომეოპათიური „ექინაცეა“** შეუცვლელია მწვავე ინფექციებისაგან გამოწვეული **ძლიერი სისუსტის, ნერვული დათრგუნვის, კუნთების ტკივილის დროს.** ის შედის **„იმუნო-ჰერბის“** შემადგენლობაში სხვა კოვიდსაწინააღმდეგო ანტივირუსულ კომპონენტებთან ერთად. ყოველივე ამ ფაქტორების გათვალისწინებით **ყველა ადამიანმა, ვინც „კოვიდ-19“ გადაიტანა, სასურველია, მიიღოს „იმუნო-ჰერბი“** დაავადების გადატანიდან ერთი წლის განმავლობაში. რაც შეეხება **„ჰონგ-კონგის“** და **„ლორის“ გრიპს,** თუკი **„იმუნო-ჰერბს“** დღეში სამჯერ მივიღებთ გრიპისგან დაცული იქნებით. **ეს, ფაქტობრივად, ბუნებრივი ვაქცინაა!**




გულთან დაკავშირებული პრობლემების მოსახსნელად საუკეთესო იქნება **„იმუნო-ჰერბისა“** და **„გულის ელექსირის“** კომბინაცია!

**უფრო ვრცლად ფეისბუქზე - „კახა საბახტარიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი“ ტელ.: 593-31-70-34.**



# სასარგებლო რჩევები გაციებისა და გრიპის სამკურნალოდ

***გაციების სიმპტომები მეტ-ნაკლებად ცნობილია: ეს არის სურდო, ცემინება, თავის ტკივილი, საერთო სისუსტე, სიცხე. ზრდასრული ადამიანი წელიწადში ერთხელ მაინც ცივდება, ბავშვები — უფრო მეტჯერ. არ დაიჯეროთ, რომ გაციებას იწვევს ავდარი. კვლევებით დადგინდა, რომ სიცივე, ქარი და წვიმა მხოლოდ უმნიშვნელო გავლენას ახდენს დაავადების ჩამოყალიბებაზე.***

**ფსიქოემოციური სტრესი, ცუდი კვება, გადაღლა, ფონური ქრონიკული დაავადებები — ჰაიმორიტი, ალერგია, ფრონტიტი, ქრონიკული ტონზილიტი და სხვა —** ეს ყველაფერი აქვეითებს ორგანიზმის იმუნიტეტს, ზრდის ინფექციების შეღწევის ალბათობას, შედეგად აქტიურდება ორგანიზმში მუდმივად მობინადრე მავნე ვირუსები.

გრიპით დაავადება ნებისმიერ სეზონზე შეიძლება, ცივ ზამთარში და ცხელ ზაფხულშიც, მაგრამ ყველაზე აქტიურ პერიოდებად ითვლება შემოდგომა და ზამთარი. შემოდგომაზე დაავადების გახშირებას რამდენიმე მიზეზი აქვს. ამ დროს სკოლებში, საბავშვო ბაღებსა და უმაღლეს სასწავლებლებში იწყება სწავლა, მოსახლეობა ბრუნდება აგარაკებიდან და დასასვენებელი სახლებიდან. ტრანსპორტსა და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში მკვეთრად იზრდება ხალხის რაოდენობა, რაც ზრდის ინფექციის გავრცელების ხარისხს. იცვლება ჰაერის ტემპერატურაც, სითბო იკლებს, ცივი და მშრალი ჰაერი აშრობს ცხვირის, პირისა და თვალის ლორწოვან გარსებს, იზრდება მათში ვირუსების შეღწევის ინტენსივობა. ასე რომ, გაციების წყარო დაავადებული ადამიანია.

დაავადება ვრცელდება ჰაერწვეთოვანი გზით, ცემინებით, ხველისა და ლაპარაკის დროს ავადმყოფი ჰაერის ნაკადთან ერთად გარემოში გამოისვრის ვირუსებს, რომლებიც შეიძლება აღმოჩნდეს ახლოს მყოფი ადამიანების ცხვირის, პირის ღრუსა და თვალების ლორწოვანზე. სასუნთქი გზების ლორწოვანზე შეიძლება მოხვდეს ჰაერში არსებული ვირუსებიც (საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, ტრანსპორტში). დაავადებული ადამიანის ხელიდან ვირუსები ხშირად გადადის საერთო მოხმარების საგნებზე: კარისა თუ ონკანის სახელურებზე, ტელეფონზე, იქიდან კი ხვდება ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმში. აუცილებელია ჰიგიენის დაცვა.

**არ ისარგებლოთ დაავადებულის პირსახოცით, მისი პირადი ნივთებით, ნუ აკოცებთ**

**გაციებულ ადამიანს. გრიპი გადამდებია დაავადებიდან მეორე-მეოთხე დღემდე.**

**დაავადებულ ადამიანს ემართება სურდო, უჭირს ცხვირით სუნთქვა, აქვს გამონადენი, ცემინება, უშუპდება ცხვირის ლორწოვანი გარსი. სტკივა ყელი, ეწყება ხველა, ცრემლდენა, თვალების წვა.** გრიპის მანიშნებელია ტემპერატურის მომატება, თუ ვირუსი ძლიერია, იმუნური სისტემა ძალიან აქტიურდება, სრულიად მობილიზდება ვირუსების გასანადგურებლად, აი, ამ შემთხვევაში იმატებს ტემპერატურა. ეს არის ორგანიზმის ბუნებრივი რეაქცია და ხელი არ უნდა შეუშალოთ. წამლები მიიღეთ მხოლოდ მაღალი ტემპერატურის შემთხვევაში. **გაციების ზოგადი ნიშნები ასეთია: თავის ტკივილი, საერთო სისუსტე, უმადობა, ხანდახან ღებინება, ოფლიანობა, კუნთების და სახსრების ტკივილი. გაციება 2-დან 14 დღემდე შეიძლება გაგრძელდეს. თუ სიმპტომები 2 კვირაზე მეტხანს გაგრძელდა, სავარაუდოა, სხვა ბაქტერიული ინფექციის ზედდება.**



გრიპის გართულებებიდან აღსანიშნავია ფილტვების ანთება, შუაყურის ანთება, გულსისხლძარღვთა სისტემის დაზიანება, მიოკარდიტი, მენინგიტი. ეს ყველაფერი საშიშია ჩვილი ბავშვებისთვის, მოხუცებისა და ქრონიკული სნეულებით დაავადებული ადამიანებისთვის. გრიპის გადატანის შემდეგ შეიძლება დაგრჩეთ უძილობა, სისუსტე, შრომის უნარის დაქვეითება. სწორედ ამ პერიოდში იჩენს თავს სხვა დაავადებები ან მწვავდება ფარულად თუ ქრონიკულად მიმდინარე დაავადებები, მაგალითად, ტუბერკულოზი, რევმატიზმი.

გრიპის სამკურნალოდ, **უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ორგანიზმის ბრძოლის უნარის ამაღლება: საჭიროა სიმშვიდე, წოლა და საკმარისი ძილი, დღე-ღამეში 9-10 საათი მაინც. ნუ მიეძალებით ჭამას, მიიღეთ მხოლოდ აუცილებელი საკვები, ძირითადად, ცილოვანი და ნახშირწყლოვანი პროდუქტი, მაგალითად, რძის ნაწარმი, ბულიონი, ხილი, ბოსტნეული.** მადის დაკარგვა ორგანიზმის ბუნებრივი რეაქციაა. მიიღეთ თბილი სითხე, ამ დროს საჭიროა მაღალი სიცხისა და ოფლიანობის შედეგად დაკარგული სითხის შევსება. **შარდვის გაძლიერება ორგანიზმიდან დევნის შხამებს.**

**უნდა მოერიდოთ გაზიან და სპირტიან სასმელებს, შეწყვიტოთ სიგარეტის მოწევა, ბოლი აღიზიანებს სასუნთქ გზებს და ხელს უწყობს დაავადების პროგრესირებას.**

## გთავაზობთ რამდენიმე ხალხურ რეცეპტს, რომელიც დაგეხმარებათ გამოჯანმრთელებაში



*1*. **ანგინის საწინააღმდეგო რეცეპტი:**

**თერმოსში ვყრით სამ სუფრის კოვზ სამყურას დაქუცმაცებულ მასალას. ვასხამთ ზედ ნახევარ ლიტრ ადუღებულ წყალს, ვაყოვნებთ სამი-ოთხი საათით, შემდეგ ვწურავთ და ვინახავთ.** გამოყენების წესი: **ნაყენი გამოიყენება, როგორც სავლები პირის ღრუსა და ყელში. მიიღება დღეში 3-4-ჯერ (აქ წარმოდგენილი რეცეპტით შეიძლება ლარინგიტის, სტომატიტისა და პარადონტოზის მკურნალობა).**

*2*. **ყურის ტკივილის საწინააღმდეგო რეცეპტი:**

ვიღებთ საშუალო ზომის **უმი ჭარხლის თავს,** ვხეხავთ წმინდა სახეხზე, ვამატებთ **ერთ ჩაის ჭიქა წყალსა** და **სუფრის კოვზ ნატურალურ თაფლს.** ნარევს ვადუღებთ 15 წუთით დაბალ ცეცხლზე, ოდნავ ვაცივებთ და ვწურავთ. **გამონაწურ მასას ვახვევთ და მტკივნეულ ყურზე ვაფარებთ** (პოლიეთილენის პარკით), **შემდეგ ვიხვევთ თბილი ნაჭრით. ხანგრძლივობა 20 წუთი.**

*3*. **ჰაიმორიტის საწინააღმდეგო რეცეპტი:**

**ვიღებთ გამშრალი და დაფქვილი მრავალძარღვას ფოთლებს — სამი სუფრის კოვზს,** ასეთივე დამუშავებული **კაკლის ფოთლების 2 სუფრის კოვზსა** და **დაფქვილი ფასმანდუკის 2 სუფრის კოვზ ნარევს.** ვასხამთ **ერთ ჩაის ჭიქა მდუღარე წყალს,** ვაყოვნებთ თბილად შეფუთულ შალის ნაჭერში ერთი საათით, შემდეგ ვწურავთ. გამოყენება: აღნიშნული ნაყენით ხდება ცხვირის ნესტოების გამორეცხვა დღეში 4-5ჯერ.

*4*. **ანგინისა და ქრონიკული ტონზილიტის საწინააღმდეგო რეცეპტი:**

ანგინისა და ქრონიკული ტრონზილიტის მკურნალობა ხდება **ყვავტყემალას ნაყოფით.** ვიღებთ **ყვავტყემალას ნაყოფს** და ნებისმიერი მეთოდით (უმჯობესია, ელექტროსაფქვავით) გამოვწურავთ წვენს, ვაზავებთ ანადუღარ წყალთან პროპორციით 1:1-თან.

გამოყენება: **ვივლებთ ყელში 4-5-ჯერ ჭამის შემდეგ.**

*5*. **ხველების საწინააღმდეგო რეცეპტი:**

ვიღებთ წვრილად დაჭრილ **ევკალიპტს,** ვფქვავთ, ვიღებთ 1 სუფრის კოვზს, ვასხამთ 1 ჩაის ჭიქა **წყალს,** ვახურებთ თავზე და 15 წუთი ვადუღებთ. ვაყოვნებთ 2 საათი და ვწურავთ.

გამოყენება: **ვიღებთ ყლუპ-ყლუპად 2 საათის განმავლობაში.**

*6*. **ოტიტის მკურნალობა ვარდის ყვავილებით:**

**მტკივან ყურში დღეში სამჯერ ვიწვეთებთ ორ-სამ წვეთ ვარდის ეთერის ზეთს.**

*7*. **ყელის ტკივილის საწინააღმდეგო რეცეპტი:**

ავიღოთ **სალბის, კულმუხოსა** და **ევკალიპტის ფოთლები, გვირილის ყვავილი.** წვრილ-წვრილად ვამუშავებთ, ვურევთ, შემდეგ ერთ სუფრის კოვზს ვასხამთ ერთ ჩაის ჭიქა მდუღარე წყალს, ნახევარი საათით ვდგამთ წყლის აბაზანაში. ვაყოვნებთ 2 საათით ოთახის ტემპერატურაზე, შემდეგ ვწურავთ, ვიღებთ 2 სუფრის კოვზს, ვასხამთ ჩაის ჭიქაში, ვამატებთ მარილს, ვავსებთ ცივი წყლით.

გამოყენება: **ვივლებთ 2-3 საათში ერთხელ.**

ყელის ტკივილს ხსნის **მუხის ქერქი** და **ცაცხვის ყვავილი. 4 სუფრის კოვზ მუხის დაფქვილ ქერქს** და **2 სუფრის კოვზ ცაცხვის ყვავილებს** ვასხამთ 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალს, 6 საათით ვდგამთ ცხელ აბაზანაში. შემდეგ ვაყოვნებთ 2 საათი ოთახის ტემპერატურაზე და ვწურავთ ნაჭერში.

გამოყენება: **ნაყენს ვივლებთ 1-2 საათში ერთხელ.**

*8*. **ხველების (თანდართული ყელის ტკივილით) საწინააღმდეგო რეცეპტი:**

ვიღებთ **1 სუფრის კოვზ დაქუცმაცებულ ტუხტის ფესვებს,** ვასხამთ 100 მლ ლიტრ ცივ წყალს, ერთი საათის შემდეგ ვამატებთ 150 მლ ლიტრ მდუღარე წყალს. **ცალკე ვაკეთებთ ნარევს:** ვიღებთ **დიდკბილას ფესვებს, ვირისტერფას ფოთლებს, კამის თესლს,** ვურევთ. ვიღებთ 1 ჩაის კოვზს და ვყრით **ტუხტის ფესვებიან ნაყენში,** ვადუღებთ დაბალ ცეცხლზე 1 საათის განმავლობაში, შემდეგ 2 საათით ვტოვებთ ოთახის ტემპერატურაზე. ვწურავთ ნაჭერში. **მიიღება ჩაის ჭიქის 1/4 დღეში ოთხჯერ.**



## კვირგვინოსნები

**მაია ნიკოლეიშვილი**, *ექსპერტი*



**გასახდომ ოპერაციას რომ იკეთებენ,** განახევრებული კი არა, მესამედი წონები აქვთ, ოპერაციას იმიტომ იკეთებენ, რომ გახდნენ. **ვიცით, რომ საакашвილმა ეს ოპერაცია გაიკეთა და, ალბათ, შედეგიც სახეზეა.**

„ახალი თაობა“

**ირაკლი ბერაია**, *პარლამენტარი*



საქართველო **არასოდეს ყოფილა ნატოსთან ისე ახლოს,** როგორც დღეს.

„იმედინიუსი“

**პაატა ზაქარეიშვილი**, *ექსპერტ-კონფლიქტოლოგი*



დაიმახსოვრეთ ჩემი ნათქვამი: **2024 წლისთვის „ოცნება“ ყველა ოპოზიციურ ტელევიზიას გაანადგურებს!**

„ახალი თაობა“

**ეკა ბესელია**, *ყოფილი პარლამენტარი*



მაქვს განცდა, რომ **2011 წელში დავბრუნდი.** ჩვენი დემოკრატია და ადამიანის უფლებები ცუდად გამოიყურება.

„პალიტრანიუსი“

**დავით ქიქინაძე**, *„ტრიბუნას“ თავმჯდომარე*



დღეს ბიზნესმენები, რომლებიც „ქართულ ოცნებას“ აფინანსებენ, თავის დროზე **ვანო მერაბიშვილის** მზეს ფიცულობდნენ. ოპოზიციას ვადა გაუვიდა, **ხელისუფლების შესაცვლელად ჯერ ეს ოპოზიცია უნდა შეიცვალოს.**

„ახალი თაობა“

# როგორ მოვიქცეთ თუ კუნთები აგვტკივდა?



**ვარჯიშისა თუ ბევრი სიარულის შემდეგ კუნთების ტკივილი ჩვეულებრივი მოვლენაა. ერთნი ფიქრობენ, რომ, თუ კუნთები აგტკივდათ, ეს იმას ნიშნავს, რომ კარგად ივარჯიშეთ, მეორენი კი ფიქრობენ, რომ, თუ ადამიანი სწორად ვარჯიშობს, ტკივილი არ უნდა აწუხებდეს.**

ტკივილი, თავის მხრივ, ორგანიზმის დამცავი მექანიზმის, სიგნალის როლს ასრულებს. თუ ადამიანი რომელიმე ორგანოს ტკივილს ვერ გრძნობს, ეს იმას ნიშნავს, რომ რაღაც ფუნქცია აქვს მოშლილი. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ტკივილი ნებისმიერ შემთხვევაში კარგია. ვარჯიშის ან ბევრი სიარულის შემდეგ კუნთების ტკივილი ნორმალურია, მაგრამ, თუ რაიმე პათოლოგიის შედეგი არ არის, ტკივილი გარკვეული დროის შემდეგ უნდა გამოიკვეთოს და არა უშუალოდ პროცესში, მოგვიანებით კი უნდა შესუსტდეს. თუ ტკივილი უშუალოდ ვარჯიშის პროცესში დაგეწყოთ და არ იკლო, ეს იმაზე მიანიშნებს, რომ თქვენ რაღაც ტრავმა გაქვთ და სასურველია, გამოკვლევისთვის ექიმს მიმართოთ. გაითვალისწინეთ: თუ კუნთები გტკივათ, მაგრამ ვარჯიშს მაინც განაგრძობთ, შესაძლოა, სავალალო შედეგი მიიღოთ.

სპეციალისტების თქმით, არ უნდა ეცადოთ, გაუძლოთ ტკივილს. **თუ კუნთების ტკივილი ვარჯიშის ან სიარულის შემდეგ დაღლილობით არის გამოწვეული და არა ტრავმით, შეგიძლიათ გაიკეთოთ მასაჟი, მიიღოთ თბილი აბაზანა ან კონტრასტული შხაპი, გარდა ამისა, შეგიძლიათ გამოიყენოთ სპეციალური მედიკამენტური საშუალებები.**

# რა რაოდენობის წყალი უნდა მივიღოთ ყოველდღიურად?

50 კგ – X9 = 1,8ლ

60 კგ – 11X = 2,1ლ

70 კგ – X12 = 2,5ლ

80 კგ – 14X = 2,8ლ

90 კგ – X16 = 3,2ლ

100 კგ – 17X = 3,4ლ

=200მლ

## წყლის დალევის წესები:

- დალიეთ, როცა მოგწყურდებათ.
- წყალი ოთახის ტემპერატურის უნდა იყოს.
- წყალი ულუფებად გაანაწილეთ.
- დალიეთ ნელა, პატარა ყლუპებით.
- რაციონიდან ამოიღეთ გაზიანი წყალი.
- წყალს, გემოს მისაცემად, შეგიძლიათ დაუმატოთ ხილის, ბალახების ან ლიმონის წვენი.
- სპეციალისტთა გათვლებით, ადამიანს წონის 1 კგ-ზე 35-40 მლ წყალი სჭირდება.

# რომელი ათი პროდუქტია საუკეთესო გაციების თავიდან ასაცილებლად?

ზამთრის მოახლოებასთან ერთად გრიპისა და რესპირატორული დაავადების სეზონიც იწყება. როგორ დავიცვათ თავი გრიპისა და მწვავე ვირუსული ინფექციებისგან, ამას ინფოგრაფიკიდან შეიტყობთ:

**რომელი პროდუქტები უნდა ჩართოთ რაციონში იმისათვის, რომ ავად არ გახდეთ?**

1. ნიორი

**აძლიერებს იმუნიტეტს. ეხმარება ორგანიზმს ვირუსებთან ბრძოლაში.**

**ნივრის კბილი უნდა დალეჭოთ ან წვრილად დაჭრათ. ამ მცენარის უჯრედების მთლიანობის დარღვევისას წარმოიშობა ბაქტერიების საწინააღმდეგო ანტიბიოტიკი ალიცინი, რომელიც ასუფთავებს პირის ღრუსა და კუჭ-ნაწლავის სისტემას.**

**ნიორი ეფექტიანია გაციების დროს და მის შემდეგაც მისი ჭამა გართულებებს აგაცილებთ. თანაც, საკმარისია დღეში მხოლოდ ერთი კბილი.**

2. წითელი ბულგარული წიწაკა

**შეიცავს ციტრუსებზე მეტ C ვიტამინს და აძლიერებს იმუნიტეტს.**

3. ბროკოლი

**A, C, E ვიტამინების წყარო. აძლიერებს იმუნიტეტს.**

4. ასკილი

**C ვიტამინის წყარო. აქვს ანთებისა და ინფექციების საწინააღმდეგო თვისებები.**

5. შტოში

**შეიცავს A, B, C და K ვიტამინებს, აქვს ანთების საწინააღმდეგო თვისებები.**

6. თაფლი

**აქვს ოფლმდენი თვისებები, ხელს უწყობს იმუნიტეტის გაძლიერებას.**

7. სტაფილო

**შეიცავს A ვიტამინს, აძლიერებს ორგანიზმის მედეგობას ინფექციური დაავადებების წინააღმდეგ.**

8. მაწონი, იოგურტი, კეფირი

**აძლიერებს ორგანიზმის მიკროფლორას, ხელს უწყობს იმუნიტეტის გაძლიერებას.**

9. წყალი

**აძლიერებს ორგანიზმის წინააღმდეგობის გაწევის უნარს დაავადების მიმართ, არეგულირებს ნივთიერებათა ცვლის პროცესს.**

10. ზღვის თევზი და ზღვის პროდუქტები

**შეიცავს თუთიას, ხელს უწყობს ორგანიზმს გაციების წინააღმდეგ ბრძოლაში.**



# როგორ მოქმედებს ნიგოზი ქოლესტერინზე?

**სისხლში ქოლესტერინის მაღალი შემცველობა ჯანმრთელობისთვის საშიშია, ამიტომ მედიცინა გამუდმებით ეძებს ეფექტიან საშუალებას მის დასარეგულირებლად.** კალიფორნიის სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორებმა კვლევის შედეგად საინტერესო რამ აღმოაჩინეს — ნიგოზი ქოლესტერინის დონეს ამცირებს. ექსპერიმენტში 7 ქვეყნის 600 მოქალაქე მონაწილეობდა, ისინი რამდენიმე დღის განმავლობაში ყოველდღიურად მიირთმევდნენ ნიგოზს და ყველა მათგანის ორგანიზმში ქოლესტერინის დონე შემცირდა.

დადგინდა, რომ, თუ ადამიანი სამი კვირის განმავლობაში ყოველდღიურად 67 გ ნიგოზს მიიღებს, მის სისხლში ქოლესტერინის შემცველობა 7.4%-მდე დაეცემა. ნიგვზის მიღებისას გასათვალისწინებელია რამდენიმე ფაქტორი: თუ თქვენ მიირთმევთ შოკოლადში ან თაფლში, შაქარსა თუ მარილში ამოვლებულ ნიგოზს, ნუ გეგონებათ, რომ ეფექტი ანალოგიური იქნება. შაქარი და მარილი არანაკლებ საშიშია თქვენი ორგანიზმისთვის, ვიდრე ქოლესტერინი. ეცადეთ, ნიგოზი ყოველთვის იყიდოთ ნაჭუჭიანი და არა გარჩეული, რადგან არასათანადო შენახვის პირობებში სასარგებლო თვისებებს ვერ ინარჩუნებს.

**თუ გსურთ, შეამოწმოთ ხარისხიანია თუ არა ნიგოზი, შეგიძლიათ ექსპერიმენტი ჩაატაროთ:**

**დატოვეთ წყალში 12 საათის განმავლობაში, ამის შემდეგ ამოიღეთ, დაყარეთ მარლაზე, პერიოდულად დაასხით ცოტა წყალი. თუ 1–2 დღის შემდეგ ახალი წამონაზარდები არ გაჩნდა, კაკალში სასარგებლო ნივთიერებები აღარ არის და მისი მიღება თქვენს ორგანიზმს არ არგებს.**

## კვირგვინოსნები

**ფრიდონ ინჯია**
*პარლამენტარი*



რა კარგი იქნებოდა, რომ **ასი ივანიშვილი იყოს,** რა ბედნიერი იქნებოდა ჩვენი ქვეყანა.

„ალია“

**ლევან ალაფიშვილი**
*კონსტიტუციონალისტი*



**პოლიტიკური კრიზისი** არის როგორც სახელისუფლო, ისე ოპოზიციურ ფლანგზე.

„ახალი თაობა“

**კახა ოქრიაშვილი**
*პარტია „პროგრესი და თავისუფლების“ ლიდერი*



უნდა შევისისხლხორცოთ, რომ **კორუფცია სამშობლოს ღალატია** და ყოველდღიურ ცხოვრებაში სათანადოდ ვიმოქმედოთ!

„ინტერპრესნიუსი“

**კობა ნაყოფია**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



დიახ, **მელიას** მხარდამჭერი ვარ.

„ახალი თაობა“

**ბაჩო დოლიძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



პარტიებთან თანამშრომლობა კარგი და აუცილებელიცაა, მაგრამ არჩევნებზე ერთიანი სიით გასვლა არის **ბიძინა ივანიშვილთან** დამარცხების ფორმულა.

„პალიტრანიუსი“

**ანი სირაძე**
*მომღერალი*



რომანტიკული ვარ, მაგრამ **გიჟურ საქციელებს უფრო ბიჭისგან ველოდები.** ვცდილობ, კაცის გასაკეთებელი მე არ გავაკეთო.

„თბილისელები“

# მიხეილ ცაგარელი:

# დეკემბერი ამ წლის ერთ-ერთი საუკეთესო თვე იქნება



*— თვის რომელ მონაკვეთში იქნება განსაკუთრებით შესაძლებელი რთული საკითხების მოგვარება მშვიდობიანად, კომპრომისის დახმარებით ანდა როდის შეიძლება, წარმოიქმნას გეგმის განხორციელებისა და სწრაფი ქმედებისას დამამუხრუჭებელი გარემოებები? დეკემბერში რატომ გვმართებს ნებისმიერი საქმის შესრულებისას წინდახედულობის გამოვლენა? პლანეტების — მერკურისა და ვენერას თხის რქის ზოდიაქოში გადანაცვლების შემდგომ რა გახდება წარმატების საწინდარი? სხვადასხვა ფირმის ხელმძღვანელებს რისი შესაძლებლობა მიეცემათ და ამისთვის მათ რა მოეთხოვებათ? პლანეტა იუპიტერის გადანაცვლება ვერძის ზოდიაქოში რას განაპირობებს, რას შეუწყობს ან რას შეუშლის ხელს? რა და რა თვისებებს გაამახვილებს ადამიანებში თვის მესამე დეკადის დასაწყისში, ზამთრის მზებუდობის საკრალურ დღეს მზის გადანაცვლება მშვილდოსნიდან თხის რქის ზოდიაქოში? რა სირთულეებია მოსალოდნელი და რისგან გვმართებს თავის შეკავება თვის ბოლოს? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.*

**— ქრისტეშობისთვეში რას უნდა ველოდოთ, როგორია ასტროლოგიური პროგნოზი?**

— დეკემბერი ამა წლის ერთ-ერთი ყველაზე სასიკეთო თვე იქნება, რადგან დედამიწა საკმაო ხანს იმოძრავებს ჰარმონიული კოსმოსური ენერგიების ზონაში. ადამიანთა პოზიტიური განწყობა და მომატებული თავდაჯერებულობა სულიერ და შემოქმედებით ალმასვლას განაპირობებს, შრომისუნარიანობას გაზრდის. თვის დასაწყისში, განსაკუთრებით კი **5-12 დეკემბრის შუალედში,** შესაძლებელი იქნება მშვიდობიანად, კომპრომისების დახმარებით რთული საკითხებისა და კონფლიქტების მოგვარება. თუმცა, ამავდროულად **6 დეკემბრის შემდგომ** დასახული გეგმების განხორციელებისას და სწრაფი ქმედებისას შესაძლოა, დამამუხრუჭებელი გარემოებანი და სიტუაციები წარმოიშვას, ამიტომ საჭირო გახდება გარკვეული დრო და დამატებითი ენერგიის მობილიზება აუცილებელი და დროული ცვლილებების განსახორციელებლად და გეგმებში კორექტივების შესატანად. **ამავდროულად, ნებისმიერ საქმეში გვმართებს წინდახედულობის გამოვლენა, რადგან საბუთებსა თუ კონტრაქტებში დაშვებულმა შეცდომამ, შესაძლოა, მიღწეული შეთანხმებანი, განსაკუთრებით თუ ეს ეხება ბიზნესის ორგანიზებას და პარტნიორულ თანამშრომლობას, ნულამდე დაიყვანოს.**

**— დეკემბრის თვეში როგორი იქნება ვითარება ცის კაბადონზე?**

— ინტელექტისა და კომუნიკაციების მმართველი პლანეტა **მერკური** 7 დეკემბრიდან **თხის რქის** ზოდიაქოში გადაინაცვლებს, სადაც **10 რიცხვის შემდგომ** მას გვერდს დაუმშვენებს სიყვარულისა და სილამაზის მმართველი პლანეტა **ვენერაც.** ცის კაბადონზე პლანეტების ამგვარი განლაგების შედეგად მათი ზემოქმედების პერიოდში **მეტ წარმატებას მოიტანს კანონიერი, გამჭვირვალე და სამართლიანი მეთოდების გამოყენება. 11 დეკემბრიდან ზრდას დაიწყებს ეკონომიკა, საქმიანი აქტიურობის ინდექსები.** ბიზნესმენებსა და სხვადასხვა ფირმების ხელმძღვანელებს საქმის გაფართოების შესაძლებლობა მიეცემათ, რასაც იოლად მოახერხებენ, თუ გამოიყენებენ თანამშრომელთა ახალ-ახალ იდეებს, ინიციატივასა და შემოქმედებით პოტენციალს. **20 დეკემბრიდან იღბლიანობისა და წარმატების მმართველი პლანეტა იუპიტერი გადაინაცვლებს ვერძის ზოდიაქოში. შედეგად, როგორც ქალბატონებში, ისე მამაკაცებში, გაიზრდება შემოქმედებითი და სექსუალური პოტენციალი, რომელთა გაერთიანებაც ხელს შეუწყობს საოჯახო თუ საქმიანი შემოქმედებითობის ზრდასა და ალმასვლას, ამიტომ თვის ბოლოს, განსაკუთრებით კი 17-23 დეკემბრის შუალედში, ხელი შეეწყობა სასიყვარულო-რომანტიკული კავშირების განახლებასა და გამყარებას.** ამავდროულად, **მოჭარბებულმა აქტიურობის ენერგიამ, შესაძლოა, არსებული სიტუაციის ადეკვატურ აღქმას ხელი შეუშალოს, რის გამოც გართულდება ურთიერთობებში ზუსტი გარკვევა, ჩამოყალიბება და გააზრებული გადაწყვეტილებების მიღება.** სამაგიეროდ, ეს დრო მეტად სასიკეთო იქნება წინასაახალწლო სამზადისისთვის, საჩუქრებისა და ახალი ნივთების შესაძენად, რამეთუ 22 დეკემბრიდან სიტუაცია დაიწყებს დაძაბვას.

**— რა და რა თვისებებს გაამახვილებს ადამიანებში დეკემბრის მესამე დეკადის დასაწყისში მზის გადანაცვლება მშვილდოსნის ზოდიაქოდან თხის რქის ზოდიაქოში?**

— **მზე 22 დეკემბერს (01.49), ზამთრის მზებუდობის პერიოდში ყველაზე გრძელ და უმოკლეს დღეს, გადაინაცვლებს მშვილდოსნის ზოდიაქოდან თხის რქის ზოდიაქოში, რაც უახლოესი ერთი თვის მანძილზე ადამიანებში გააძლიერებს ორგანიზებულობას, შრომისუნარიანობას, პრაგმატულობას, დისციპლინას, ნებისყოფას და ასევე სიჯიუტესა და ზედმეტ პირდაპირობასაც.** თვის ბოლოს გონების, ინტელექტისა და კომუნიკაციების მმართველი პლანეტა **მერკური** მოძრაობას შეანელებს და 29 დეკემბრიდან გახდება **რეტროგრადული,** უკუმავალი. ამ ფონზე **23 დეკემბრის ახალმთვარეობამ,** შესაძლოა, არსებული კონფლიქტები კვლავ გაამწვავოს. ამ პერიოდში დაიძაბება ურთიერთობები, ნევროზულობა მოიმატებს, რის გამოც ასევე მოიმატებს საავტომობილო ავარიების ალბათობაც. ამავდროულად, წარმოიქმნება ახალი გარემოებები და ბევრ ადამიანს შეეცვლება სამომავლო გეგმები და მიზნები. ასევე შეთანხმება-მოლაპარაკებები, ხშირ შემთხვევაში არ შესრულდება, ხელშეკრულებებიც დაირღვევა. შესაბამისად, ამ პერიოდში მნიშვნელოვანი საბუთების გაფორმება და ინვესტირება არ ღირს, რათა გვერდი ავუაროთ სირთულეებს ფინანსური ოპერაციების განხორციელებისას და ასევე დანაკარგსა თუ შეფერხებებს შემოსავლის მიღებისას. თვის ამ მონაკვეთში მოსალოდნელია აგრეთვე ფასეული ქაღალდების ბირჟებზე დესტაბილიზაციაც. ყოველივე ამის მიუხედავად, სასურველია, შევინარჩუნოთ სიმშვიდე და ოპტიმისტურად განვეწყოთ.

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## 5 - 11 დეკემბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
ენერგიული, აქტიური, თუმცა, დაძაბული კვირა გელით, ამიტომ წარმატების მისაღწევად შეუპოვრობა და მიზანდასახული, გეგმაზომიერი მოქმედება გმართებთ. შესაძლოა, კვალიფიკაციის ამაღლება გახდეს საჭირო სათანადო თანამდებობის დასაკავებლად. საკუთარი საქმის დაწყება კი ჯერ არ არის რეკომენდებული. ეცადეთ, დროებითი სიმშვიდე პირად ცხოვრებაში მელანქოლიის მიზეზად არ იქცეს. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით და მძიმე ფიზიკურ რეჟიმზე უარი თქვით.

**კურო** (21.04-20.05)
შედარებით რთული პერიოდია. ენერგიის ნაკლებობის მიუხედავად ბევრი შეხვედრის ჩატარება და საქმის შესრულება მოგიწევთ. ნუ გარისკავთ, რათა რთულ სიტუაციაში არ აღმოჩნდეთ. ზედმეტად მომთხოვნი ნუ იქნებით, ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ და ეცადეთ, ეს კვირა მშვიდად გაიაროთ. ნუ გადაიღლებით, რათა ჯანმრთელობას არ ავნოთ. მოკლე მანძილზე მოგზაურობები კი სულიერ სიმშვიდესა და შვებას მოგგვრით.

**ტყუპი** (21.05-22.06)
თქვენი სასიცოცხლო ენერგია და შრომისუნარიანობა გაიზრდება, მაგრამ საქმეში ხელისშემშლელი ფაქტორებიც მოიმატებს. პროფესიული ამოცანების ამოსახსნელად, შესაძლოა, დამატებითი ცოდნის ან ინფორმაციის მიღება გახდეს აუცილებელი. ეცადეთ, წესები და კანონები არ დაარღვიოთ. პირად ცხოვრებაში ცვლილებები მეუღლეზე ან შეყვარებულზე იქნება დამოკიდებული. გადაადგილებებისა და კონტაქტების მრავალფეროვნება დამღლელი მოგეჩვენებათ.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
ემოციური თვალსაზრისით, არასტაბილური პერიოდია. თქვენგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო, მოქმედება გართულდება. ძველი გეგმებისა და მიზნების შეცვლამ, შესაძლოა, სასწრაფოდ ცვლილებების მოხდენა გაიძულოთ. ასევე შესაძლოა, ეჭვიანობა და გულჩათხრობა მოგეძალოთ როგორც სასიყვარულო, ისე საქმიანი პარტნიორების მიმართ, ამიტომ ხშირად განმარტოების სურვილი გექნებათ. მოგზაურობა კი ჯობს, გადადოთ, რადგან გაუთვალისწინებელი უსიამოვნებების ალბათობა არსებობს.

**ლომი** (23.07-23.08)
ენერგიის მომატების მიუხედავად, მელანქოლიის შეგრძნება გექნებათ. მარტოობა გაგიჭირდებათ, თუმცა, კარგი იქნება, თუ მხოლოდ ახლო მეგობრებთან იურთიერთებთ. საქმეების უმეტესობა დროებით დამუხრუჭდება, ამიტომ ბევრი თავისუფალი დრო გექნებათ. ამ პერიოდში სასიყვარულო ურთიერთობასა და გართობას ავანტიურული ხასიათი მიეცემა, რამაც, შესაძლოა, თქვენს ავტორიტეტს საფრთხე შეუქმნას. გადაადგილებებისას სიფრთხილე გმართებთ, რადგან ავარიისა და დაშავების ალბათობა არსებობს.

**ქალწული** (24.08-23.09)
საქმის რაოდენობა იმატებს, შესაძლოა, სხვისი მოვალეობის შესრულება მოგიწიოთ. მეგობრებთან შეხვედრები საქმის წარმართვასა და დროულად დასრულებაში ხელს შეგიშლით. გამოცდილ, განათლებულ და ავტორიტეტულ ადამიანებთან ურთიერთობა კი მრავალმნიშვნელოვან და საინტერესო ცოდნას შეგმატებთ. ფინანსებს გაუფრთხილდით და დიდ ხარჯს მოერიდეთ. ჯანმრთელობის მდგრადობის შესანარჩუნებლად კი ხშირ-ხშირად დაისვენეთ.

## 5 - 11 დეკემბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
ამბიციურობა და დროულად შედეგის მიღების სურვილი იმატებს, მაგრამ გარშემო მყოფებთან უთანხმოება და ორაზროვანი სიტუაციები თუ ცვლილებები მშვიდად მოქმედების საშუალებას არ მოგცემთ. პირდაპირობას მოერიდეთ და ურთიერთობისას მეტი თავდაჭერა და ტაქტიანობა გამოავლინეთ, რათა გარშემო მყოფებთან კეთილგანწყობა შეინარჩუნოთ. მდგრადი ჯანმრთელობის მიუხედავად, ეს კვირა შორეული მოგზაურობისთვის არ არის მიზანშეწონილი.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
საქმიანი შეხვედრა-განხილვებისას თავი შეიკავეთ ნაჩქარევი გადაწყვეტილებებისგან და შეამოწმეთ მიღებული ინფორმაცია. საყვარელი ადამიანის მიმართ ძალიან მომთხოვნი ნუ იქნებით, რათა ურთიერთგაგება არ გაიუარესოთ, კონტაქტების რაოდენობა შეამცირეთ და ეცადეთ, ახალ გაცნობილებს სიტყვაზე არ ენდოთ. მოკლევადიანი მოგზაურობები და ქალაქგარეთ გასეირნება მშვიდად ფიქრისა და ძალების აღდგენის საუკეთესო საშუალება იქნება.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
მოქმედებისას ახალ იდეასა და მეთოდს ნუ გამოიყენებთ, რათა გარშემო მყოფები არ გადაიმტეროთ. რთულ სიტუაციაში ნუ აჩქარდებით და დაუკავშირდით თანამოაზრეებსა და ახლო მეგობრებს. გარისკვა და აჩქარება დაუშვებელია, ხოლო ემოციურობა და დაძაბულობა ხელს შეგიშლით ურთიერთობაში და სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში. ქალაქში გამგზავრებაზეც უარი თქვით, რათა გზაში პრობლემები არ შეიქმნას.

**თხის რქა** (22.12-19.01)
მხოლოდ ის საქმე შეასრულეთ, რომელსაც ნამდვილად გაუმკლავდებით. გადაღლა კი შესაძლოა, ავადმყოფობის მიზეზი გახდეს. კონტაქტების რიცხვი შეამცირეთ და ეცადეთ, ოჯახს, სახლსა და საყვარელ ადამიანებს მეტი დრო დაუთმოთ. სასიკეთოა ლოცვა და სულიერი პრაქტიკა. მეგობრები დაგეხმარებიან, თუმცა, დაქვეითებული ენერგია ჩანაფიქრის განხორციელების საშუალებას არ მოგცემთ. დაღლას კი ბუნების წიაღში სეირნობით მოიხსნით.

**მერწყული** (20.01-18.02)
ეცადეთ, ძალები მოიკრიბოთ, ყველაფერი კარგად გაანალიზოთ და დასახულ მიზანს არ გადაუხვიოთ. ინტერესის დასაკმაყოფილებლად ბევრ ადამიანთან კონტაქტი მოგიწევთ, რაც დამღლელი, მაგრამ მომგებიანი აღმოჩნდება თქვენი კარიერისა და ფინანსური მდგომარეობისთვის. ეცადეთ, ოჯახში კომფორტული გარემო შექმნათ, რათა მოდუნება და ძალების აღდგენა შეძლოთ. შეყვარებულთან ჰარმონიული ურთიერთობა თავდაჯერებას შეგმატებთ, მოგზაურობას კი მოერიდეთ.

**თევზები** (19.02-20.03)
თქვენს საქმიანობაში ანდა ბიზნესში შესაძლოა, დამატებითი პრობლემები გაჩნდეს, რაც თქვენი უკმაყოფილებისა და გარშემო მყოფებთან უთანხმოების მიზეზი გახდება. მატერიალური, პრობლემაც გართულდება. შესაძლოა, ძველი ვალდებულების შესრულება და ვალის დაბრუნება მოგიწიოთ, აჩქარება მხოლოდ გააუარესებს სიტუაციას. კარგი იქნება, თუ ხშირად დაისვენებთ და ჯანმრთელობას გაუფრთხილდებით. მოგზაურობა კი ჯობს, გადადოთ.

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია

**5, 7, 8 და 10 დეკემბერი**

**8 დეკემბერი – სავსემთვარეობა, პიკი – 08.09 საათზე;**
**23 დეკემბერი – ახალმთვარეობა, პიკი – 14.17 საათზე.**





საქართველო- ისრაელის ერთობლივი კლინიკა
გიდმედი
გქონდეთ ჩვენი იმედი!
ნებისმიერი ქირურგიული და უროლოგიური პათოლოგია
თბილისი, ლუბლიანას ქ. 2/6, მეხუთე სართული. 591 35 33 55

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 5 დეკემბერი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 08.12 საათზე, ჩადის 17.31 საათზე. **მთვარე** კუროს ზოდიაქოშია. ამოდის 14.49 საათზე, ჩადის 6 დეკემბერს 04.15 საათზე (მთვარის მე-13 დღე იწყება 15.44 საათზე. მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ყურადღება მიაქციეთ მნიშვნელოვან საკითხს და დროს ნუ დაკარგავთ მეორეხარისხოვან საკითხებზე. იმატებს კონფლიქტის წარმოშობის ალბათობა ხელმძღვანელთან ან საგზაო პოლიციის წარმომადგენლებთან. ეგოიზმი და სხვისი მართვის სურვილი აკონტროლეთ. არ არის სასურველი სარისკო ქმედება, სულსწრაფი გადაწყვეტილებების მიღება, განკითხვა, სიბრაზის გამოვლენა, კისრის მკვეთრი მოძრაობა. კარგი დღეა ქორწინებისთვის, მგზავრობისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, შემოქმედებისთვის, ვაჭრობისთვის, სამშენებლო მასალების, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, კოსმეტიკის შესაძენად, სასიყვარულო კონტაქტებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, ონიქსი, მარჯანი, ზურმუხტი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის.

## 6 დეკემბერი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 08.13 საათზე, ჩადის 17.30 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (23.50) ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 15.16 საათზე, ჩადის 7 დეკემბერს 05.22 საათზე (მთვარის მე-14 დღე იწყება 15.57 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 23.02 საათიდან 23.59 საათამდე. **ტენდენციები:** ტრავმულ-ავარიული დღეა, ყურადღება გმართებთ! ურთიერთობისას აკონტროლეთ ეგოიზმი, სიჯიუტე, მესაკუთრეობა, სხვისი მართვის სურვილი. არ არის სასურველი სარისკო ქმედება, სულსწრაფი გადაწყვეტილებების მიღება, განკითხვა, გაბრაზება, საფულეც აკონტროლეთ. კარგი დღეა ქორწინებისთვის, სასიყვარულო კონტაქტებისთვის, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, ვაჭრობისთვის, მგზავრობისთვის, ავეჯის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლისა და პარფიუმერია-კოსმეტიკის შესაძენად, შემოქმედებისთვის. ხელი შეეწყობა შარდსასქესო სისტემის მკურნალობას. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, ქრიზოპრაზი, ყვითელი იასპი, ზურმუხტი. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, მერწყულისთვის.

## 7 დეკემბერი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 08.14 საათზე, ჩადის 17.30 საათზე. **მთვარე** ტყუპის ზოდიაქოშია. ამოდის 15.48 საათზე, ჩადის 8 დეკემბერს 06.28 საათზე (მთვარის მე-15 დღე იწყება 16.16 საათზე. მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ყურადღება გმართებთ, ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენების დღეა. მაღალია ტრავმულ-ავარიული სიტუაციების წარმოშობის ალბათობა. ზედმეტი ნევროზულობა და აღზნება, შესაძლოა, ურთიერთობისას განაწყენების მიზეზი გახდეს. არ არის სასურველი უჰაერო სივრცეში ყოფნა, სიმძიმის აწევა, ახალი საქმის დაწყება, ქორწინება, თმის შეჭრა-შეღებვა, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. კარგი დღეა ინტერვიუებისთვის, რეკლამირებისთვის, მიმოწერისთვის, სწავლისთვის, საბანკო ოპერაციებისთვის, მშენებლობისთვის, საკომუნიკაციო აპარატურის შესაძენად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია სასუნთქი სისტემა, მხრები, ხელები. **ქვები:** ტოპაზი, ჰიაცინტი, აკვამარინი, ლაბრადორიტი, ამაზონიტი, ჰელიოტროპი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 8 დეკემბერი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 08.15 საათზე, ჩადის 17.30 საათზე. **მთვარე** ტყუპის ზოდიაქოშია. ამოდის 16.27 საათზე, ჩადის 9 დეკემბერს 07.33 საათზე (მთვარის მე-16 დღე იწყება 16.43 საათზე. **სავსემთვარეობაა,** პიკი — 08.09 საათზე. ამ დროს იწყება მე-3 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს მეტი ყურადღება გმართებთ. სავსემთვარეობა განაპირობებს აგრესია-დეპრესიის გამოვლენას, ცდუნებებს, შეცდომებს, კონფლიქტებს, ტრავმებს. მაღალია ჭორების, ინტრიგების, ქურდობის ალბათობა. დღეს ინტელექტისა და კომუნიკაციების მმართველი პლანეტა **მერკური** გადაინაცვლებს **თხის რქის** ზოდიაქოში, რაც გაამახვილებს და გააძლიერებს ორგანიზებულობას, დისციპლინას, ნებისყოფას, შეუპოვრობას და ასევე სიჯიუტესა და პირდაპირობასაც. დღეს მოერიდეთ უჰაერო სივრცეში ყოფნას, ფულის სესხება-გასესხებას, ახალი საქმის დაწყებას. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, მხრები, ხელები. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, გიშერი, ოპალი, აქატი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, ლომისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის.

## 9 დეკემბერი, პარასკევი

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 08.16 საათზე, ჩადის 17.30 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (11.50) კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 17.30 საათზე, ჩადის 10 დეკემბერს 08.32 საათზე (მთვარის მე-17 დღე იწყება 17.22 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული** მთვარის პერიოდია 10.13 საათიდან 11.50 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს სასიკეთო დღეა ოჯახურ-ნათესაური ურთიერთობებისთვის, ეროვნული ფასეულობების დასაცავად. კარგი დღეა მეგობრული და ნათესაური კავშირების გასაღრმავებლად, საყოფაცხოვრებო ნივთების, ავეჯის, ანტიკვარიატის, ხალხური რეწვის ნიმუშების შესაძენად, ბავშვის ჩასახვისთვის, მცენარეთა დარგვა-გადარგვისთვის. არ არის სასურველი ზედმეტად ფულის ხარჯვა, ინვესტიცია, კაპიტალდაბანდება, სესხის აღება, ბინის შეცვლა, საბუთები ხელმოწერამდე კარგად შეამოწმეთ. მაღალია ფინანსური შეცდომების ალბათობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია კუჭი, მკერდი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი. **ქვები:** ზურმუხტი, აქატი, ოპალი, რაუხტოპაზი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, სასწორისთვის.

## 10 დეკემბერი, შაბათი

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 08.17 საათზე, ჩადის 17.30 საათზე. **მთვარე** კირჩხიბის ზოდიაქოშია. ამოდის 18.06 საათზე, ჩადის 11 დეკემბერს 09.25 საათზე (მთვარის მე-18 დღე იწყება 18.16 საათზე. მე-3 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** სასიკეთოა სულიერი მდგომარეობის განახლება, ტრადიციებში ჩაღრმავება. დღეს სიყვარულისა და სილამაზის მმართველი პლანეტა ვენერა გადაინაცვლებს თხის რქის ზოდიაქოში, რაც ურთიერთობებისას გააძლიერებს თავშეკავებას, მოთმინებას, შეუპოვრობას და გრძნობების გამოვლენას არა სიტყვებით და ემოციებით, არამედ საქმითა და მოქმედებით. კარგი დღეა არაფორმალურ გარემოში მოლაპარაკებისთვის, ვაჭრობისთვის, ავეჯის, საყოფაცხოვრებო ნივთების, ანტიკვარიატის, ხალხური რეწვის ნიმუშების შესაძენად, საოჯახო-სანათესაო ურთიერთობებისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, ბინის შეცვლა, სესხის აღება, სასმელ-საჭმლის ხარისხი გააკონტროლეთ. ორგანიზმი მიმართულია თვითწმენდისკენ, ამიტომ ზედმეტ საკვებს ნუ მიიღებთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია კუჭი, მკერდი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი. **ქვები:** ზურმუხტი, ოპალი, აქატი, მალაქიტი, მარგალიტი. **პოზიტიური დღეა** ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** ტყუპისთვის, ლომისთვის.

## 11 დეკემბერი, კვირა

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 08.18 საათზე, ჩადის 17.30 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (23.10) ლომის ზოდიაქოში. ამოდის 19.05 საათზე, ჩადის 12 დეკემბერს 10.10 საათზე (მთვარის მე-19 დღე იწყება 19.23 საათზე, მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 22.49 საათიდან 23.59 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს პროვოკაციებს მოერიდეთ. შესაძლებელია ძველი პრობლემის გადაჭრა ახლებური მიდგომით. თავმდაბლობა გამოავლინეთ და შექება ნუ გაგაყოყოჩებთ. ფიზიკურ-ემოციურ გადაღლას მოერიდეთ. კარგი დღეა ტრადიციების პატივისცემისთვის, საოჯახო-სანათესაო ურთიერთობებისთვის, შემოქმედებისთვის, კულინარიული საქმიანობისთვის, ვაჭრობისთვის, მცენარეების დარგვა-გადარგვისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, ბინის შეცვლა, სესხის აღება. ეცადეთ, დაისვენოთ. იმოქმედეთ ინტუიციაზე დაყრდნობით. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია კუჭი, მკერდი, სისხლძარღვები, გული, ღვიძლი. **ქვები:** ზურმუხტი, რაუხტოპაზი, აქატი, მალაქიტი, ოპალი, ალექსანდრიტი. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის. **ნეგატიურია** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.



## საეკლესიო კალენდარი



5 დეკემბერი - ხსენება კეთილმსახურისა მთავრისა მიხეილ ტვერელისა

✝ 5 დეკემბერი. ორშაბათი. **შემდგომი დღესასწაული ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ტაძრად მიყვანებისა.** მოციქულთა ფილიმონისა და არქიპოსი, 70-თაგანთა და მოციქულთა სწორისა მოწამისა აპფიასი; მოწამეთა: კიკილიასი, ვალერიანესი, ტიბურტისა და მაქსიმესი; მოწამისა პროკოფი წიგნისმკითხველისა; მოწამისა მენიგნისა; ღირსისა აგაბო ისმაიტელისა; მართლისა მიქაელ მხედრისა, ბულგარელისა; კეთილმსახურისა მთავრისა მიხეილ ტვერელისა.

✝ 6 დეკემბერი. სამშაბათი. მღვდელმოწამისა გრიგოლ არქიმანდრიტისა, ოსვენციმის ბანაკში აღსრულებულისა; ამფილოქესი, იკონიელი ეპისკოპოსისა; გრიგოლისა, აკრაგანტიელი ეპისკოპოსისა; მოწამეთა სისინისა, კვიზიკელი ეპისკოპოსისა და თეოდორე ანტიოქიელისა; კეთილმსახურისა დიდისა მთავრისა ალექსანდრე ნეველისა, სქემაში ალექსისა.

✝ 7 დეკემბერი. ოთხშაბათი. **დიდმოწამისა ეკატერინე ყოვლდაბრძენისა, ალექსანდრიელისა;** დიდმოწამისა მერკურისა; მოწამეთა ავგუსტასი — აგვისტა დედოფლისა, პორფირი სტრატილატისა და 200-თა მხედართა; ღირსისა მასტრიდია ქალწულისა; ღირსისა სიმონ სოიგინელისა.

✝ 8 დეკემბერი. ხუთშაბათი. **წარგზავნა ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღესასწაულისა.** მღვდელმოწამეთა კლიმენტი რომის პაპისა და პეტრესი, ალექსანდრიელი მთავარეპისკოპოსისა; ღირსისა პეტრე მდუმარისა.

✝ 9 დეკემბერი. პარასკევი. **ღირსისა ალვიპი მესვეტისა;** ღირსისა იაკობ განდეგილისა; დიდმოწამე გიორგის ტაძრის განახლებისა კიევში; ღირსისა აკაკი სინელისა, „კიბესა" შინა მოხსენიებულისა.

✝ 10 დეკემბერი. შაბათი. დიდმოწამისა იაკობ სპარსისა; ღირსისა პალადი ალექსანდრიელისა; ღირსმოწამეთა ჩვიდმეტთა მონაზონთა ინდოეთს; ღირსისა რომანოზისა.

✝ 11 დეკემბერი. კვირა. ღირსმოწამისა და აღმსარებელისა სტეფანე ახლისა; მოწამისა ირინარქესი და წმიდათა 7-თა დედათა; მოწამეთა: სტეფანესი, ბასილისა, გრიგოლისა, სხვა გრიგოლისა, იოანესი და სხვათა მრავალთა.


თამარისი Tamarisi

დაინახე:




ბათუმი, კონსტანტინე გამსახურდიას 38

571 19 93 93 598 79 40 00

www.facebook.com/tamarisioptics






ელის საგვარეულო, სამკურნალო მალამო თქვენი სილამაზისა და ჯანმრთელობისთვის!

თბილისი, ფალიაშვილის 81, ვაკის პარკთან

599-22-59-09

აჩერებს **ართრიტის, ართროზის, კოქსართროზისა** და **ოსტეოპოროზის** (და სხვა) პროცესს ძალიან ეფექტურად; აქრობს **ანთებას თიაქრის** დროს და უბრუნებს **სახსარს** ქმედითუნარიანობას; კურნავს **მუხლის სახსროვან პათოლოგიებს** და ხსნის ტკივილს; კვებავს **სახსარსა** და **ძვალს;** აფერხებს **სითხის განლევას;** ხსნის **შეშუპებასა** და **დასიებას;** აცხრობს **ვენების ანთებით** პროცესს; აჩქარებს **გაბზარული ძვლის აღდგენას;** ამაგრებს **ქსოვილებს** და **მყესებს;** აუმჯობესებს **კანის სტრუქტურას** და მასაჟის ფონზე ერევა **ცელულიტს;** ხდის **კანს ელასტიკურს;** შეიცავს უამრავ ვიტამინსა და მინერალს.

მალამო არის ქართული საგვარეულო რეცეპტი ბუნებრივი კომპონენტებით.





მაღაზია «ბუკვიცა»

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე

574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.


### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: **1. ტერტერა; 6. კონგო; 12. სკოლა; 13. წრეხაზი; 14. მონტანა; 15. რუმბი; 16. ბადრი; 17. ნოტაცია; 18. ელერონი; 19. კრეტა; 20. ატრია; 21. როინიში; 24. აბულია; 28. ტვინი; 31. ტუ; 32. კარავი; 33. კლავესინი; 34. იდეა; 35. მარტი; 37. დონ; 38. ბუდე; 39. ვაი; 40. ჯოტო; 41. ტრასა; 42. რეიდი; 43. ქიმი; 45. რეკლამა; 48. თირი; 50. ეპიტაფია; 53. რული; 54. ინდის; 57. დასი; 58. მაკიაველი; 60. აგრაფია; 61. ბზე; 62. კია; 63. რინგი; 64. რისკი; 65. ატამანი; 66. სტარი; 67. სი.**

შვეულად: **1. ტემპერა; 2. რანდევუ; 3. ეტალონი; 4. ასაბია; 5. ქონდარი; 6. კარიკატურა; 7. ნამქერი; 8. ოწინარი; 9. ცენტრი; 10. მარცხი; 11. დინასი; 22. ნარინჯი; 23. შევიოტი; 25. ბულბული; 26. ლევრეტი; 27. არსენალი; 29. ნადი; 30. ონავარი; 32. კადრილი; 35. მირკანი; 36. რომანი; 42. რაე; 43. ქარხანა; 44. მალარია; 46. აფლეკი; 47. მაკიაჟი; 49. რადარი; 51. პოკერი; 52. ტრანსი; 54. ისანი; 55. სმენა; 56. აფრა; 59. ლი; 61. ბის.**

სანტიმეტრიკაბალადამანაგუაშირაქიტირიმესამე
ანკარატომატიპიანომერინოსირიელიოტიტიტულიპი

| სიგრძის საზომი ერთეული | მონური დამოკიდებულება | „ქილილა და ...“ | სახატავი საღებავი | ბავშვთა დაავადება | თამასუქი, რომლითაც უნდა მიიღონ ფული | „... და ღამე“ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფერმწერი რაფაელ ... | დაბადების მოწმობა | ზღვარული შინაარსის მცირე ზომის სტროფული ლექსი | ნიკარაგუას დედაქალაქი | ველი წითელწყაროს რაიონში | სასრო-ლეთი | სამის რიგობითი რიცხვითი სახელი |




თარაზულად: 1. სომეხთა მღვდელი; 6. აფრიკის სახელმწიფო; 12. საშუალო სასწავლებელი; 13. მათემატიკური შეკრული მრუდი; 14. აშშ-ის შტატი; 15. ძროხის ტყავის დიდი ტიკი; 16. სავსე მთვარის ეპითეტი; 17. ჭკუის სწავლება, დარიგება; 18. თვითმფრინავის ფრთების ბოლოების მოძრავი ზედაპირი; 19. საბერძნეთის კუნძული; 20. მოხარშული ცომის ნაჭრების კერძი; 21. გერმანული როიალი; 24. ნებისყოფის პათოლოგიური სისუსტე; 28. აზროვნების ორგანო; 31. თვითმფრინავების რუსული მარკა; 32. ნაჭრის დროებითი სადგომი; 33. ფორტეპიანოს წინამორბედი საკრავი; 34. აზრი, ჩანაფიქრი; 35. გაზაფხულის თვე; 37. ზრდილობიანი მიმართვა მამაკაცისადმი ესპანეთში; 38. ჩიტის სახლი; 39. ალექსანდრე გრიბოედოვი — „... ჭკუისაგან“; 40. იტალიელი ფერმწერი; 41. გეზნიშანი; 42. მოულოდნელი რევიზია; 43. ვარსკვლავის წვეტი; 45. ღონისძიება მყიდველის მიზიდვის მიზნით; 48. ნაცრისფერი რბილი ქვა; 50. საფლავის ქვის წარწერა; 53. თვლემა; 54. ფინიკი — იგივე ... ხურმა; 57. თეატრალური კოლექტივი; 58. იტალიელი პოლიტიკური მოაზროვნე, მწერალი; 60. წერის უნარის დაკარგვა; 61. პურეულის ნამჯის ნალეწი; 62. კორეული ავტომობილი; 63. კრივის მოედანი; 64. ალალბედზე მოქმედება; 65. ბანდის ხელმძღვანელი; 66. „ბითლზის“ წევრი; 67. მე-7 ნოტი.

შვეულად: 1. ერთგვარი სახატავი საღებავი; 2. პაემანი; 3. რისამე საზომი, სტანდარტი; 4. გასვენებაზე შორიდან მოსული ჭირისუფლის მხლებლები; 5. მწვანილის სახეობა; 6. ვინმეს დამახინჯებული, სასაცილო ნახატი; 7. ქარისგან ჰაერში ატანილი ან სადმე შეგროვებული თოვლი; 8. ჭიდან წყლის ამოსაღები მოწყობილობა; 9. რისამე შუაგული; 10. წარუმატებლობა; 11. ცეცხლგამძლე აგური; 22. ციტრუსოვანი მცენარე; 23. შალის რბილი საკოსტიუმე ქსოვილი; 25. მგალობელი ჩიტი; 26. ოთახის მოკლებეწვიანი ძაღლი; 27. იარაღის საწყობი; 29. მამითადი; 30. ცელქი, ანცი; 32. რამდენიმე წყვილის ცეკვა; 35. მარტის თვის ძველი ქართული სახელი; 36. სასიყვარულო ურთიერთობა; 42. ქართული რ-ს სახელი; 43. სამრეწველო საწარმო; 44. ციებ-ცხელება; 46. ამერიკელი მსახიობი ბენ ...; 47. სახეზე ფერის წასმა; 49. ლოკატორი; 51. ბანქოს ერთგვარი თამაში; 52. ფსიქიკური აშლილობის ერთ-ერთი ფორმა; 54. თბილისის ისტორიული უბანი; 55. ყურის შეგრძნება; 56. იალქანი; 59. მსახიობი ვივიენ ...; 61. ნომრის გამეორების მოთხოვნის შეძახილი.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| გველის ნაირსახეობა | მოხარშული პომიდვრის წვენი | ხმადაბლა (მუს.) | ნაზბეწვიანი ცხვრის ჯიში | კამბოჯის ფულის ერთეული | ყურის ანთება | ტიტა | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მუსიკოსი პოლ ... | რისთვის? | არატიპურობა | ოთახი სასტუმროში | სოფელი სენაკის რაიონში | ფრანგი პოეტი | საგვარეულო წოდებულება | 3,14 |

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

ასავალ დასავალი

2022 წლის 5 – 11 დეკემბერი №50 (1462)

გამოდის ორშაბათობით

2 009882 637296

მეღიაჰოლჰოლღინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

სარედაქციო კოლეგია


*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*


წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: **თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი“**.
ტელეფონები: **215-25-25; 215-35-35; (+995) 570-50-50-50; (+995) 570-50-50-70**
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე:
**www.facebook.com/Asavali.com** გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**


